



კატეხიზმო  
ანუ  
სახელმძღვანელო  
მართლმადიდებლური ეკლესიის  
მრწამსის შესასწავლად

(იბეჭდება 1911 წლის გამოცემის მიხედვით)

თბილისი

„წიგნის სავანე“

2017

†  
**კატეხიზმო**  
**ანუ**  
**სახელმძღვანელო**  
**მართლმადიდებელი ეკლესიის მრწამსის შესასწავლად**

\* \* \*

## ნაწილი პირველი - სჯული - რელიგია

სჯული არის სულიერი კავშირი ღმერთსა და კაცს შორის. ერთის მხრივ კაცი ევედრება ღმერთს თავის საჭიროებისათვის, მეორეს მხრივ ღმერთი აძლევს კაცს თავის წყალობას. ამ ურთიერთობას ღმერთსა და კაცს შორის აქვს ღრმა საფუძველი თვით კაცის არსებაში, მის სულსა და გონებაში. ქვეყანაზე არ მოიპოვება არც ერთი ერი, რომ არ სწამდეს ღმერთი და არ ჰქონდეს სჯული. ერთი ძველი მწერალთაგანი ამბობს, ქვეყანაზედ შეგხვდება ბევრი იმისთანა ერი, რომელმაც არ იცის ხმარება ფულისა, არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ბინა, არ იცის ხელოვნება, არ აქვს გამაგრებული ადგილები, ქალაქები, მაგრამ არ არის არსად იმისთანა ერი, რომ არ სწამდეს ღმერთი, არ ჰქონდეს ლოცვები, არ სწამდეს მსხვერპლი და ფიცი. მრავალი ახლანდელი ღრმა სწავლულიც უცილობლად და უეჭველად ამტკიცებს, სარწმუნოება და სჯული ღვთისა საყოველთაოა.

## ქრისტიანობა

ქვეყანაზე ახლაც არის და უწინაც იყო ბევრი სხვადასხვა სჯული, მაგრამ არც ერთი არ არის ჭეშმარიტი, გარდა ქრისტიანობისა. ღვთისაგან განცხადებული ჭეშმარიტება მოიპოვება მხოლოდ ქრისტიანობაში და ძველი აღთქმის სჯულში, რომელიც იყო მომზადება ქრისტეს სჯულისათვის.

ქრისტიანობა არის ერთადერთი სჯული, რომელიც აკმაყოფილებს კაცის სულის ყოველსავე მოთხოვნილებას. ამ სჯულმა არ იცის გარჩევა ტომისა, ეროვნებისა, სქესისა და ასაკისა: თვით სახარება არის წიგნი სამარადისო, ყველა დროისა და ყველა ხალხისათვის გამოსადეგი, საჭირო და გასაგები; როგორც ამ ოცი საუკუნის წინათ, ისე ახლაც ქრისტიანობას აქვს ერთი და იგივე ცხოველი ძალა; მისს საკეთილო და სასარგებლო ძალას განიცდიან, როგორც მდიდარნი, ისე გლახაკნი, როგორც სწავლულნი, ისე უსწავლელნიც. მხოლოდ ქრისტემ აუწყა ქვეყნიერებას ისეთი სწავლა-მოდღვრება, რომელიც ძველ ბრძენებს, სჯულისმდებელებს, ზნეობის მასწავლებლებს არც თვალთ უხილავთ, არც ყურით სმენიათ და არც ფიქრად მოსვლიათ. მხოლოდ ქრისტიანობამ აუწყა კაცობრიობას, ყველანი ერთმანეთის ძმები ხართო; მოსპო მონობა და კანონის წინაშე გაათანასწორა ყველანი; იქადაგა საყოველთაო სიყვარული, რომელიც შეიცავს ყველას, განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და მდგომარეობისა. ამოტომ ყველამ უნდა სცნას, რომ ქრისტიანობა არის ჭეშმარიტი სჯული, ჭეშმარიტი სარწმუნოება და მისი დამფუძნებელი იესო ქრისტე არის ღმერთკაცი.

## საღმრთო განცხადება

მართლმადიდებელი ეკლესია სწავლა-მოდერნებს იღებს საღმრთო განცხადებიდან. **საღმრთო განცხადებად** იწოდება ყოველივე ის, რაც თვით ღმერთმა კაცს გამოუცხადა, რათა მან შესძლოს ჭეშმარიტი თაყვანისცემა და მისი რწმენა.

სხვადასხვა დროს ღმერთი სხვადასხვანაირად უცხადებდა ხალხს თავის სჯულს; ადამ და ევას მაგალითად, ღმერთი თვითონ ეცხადებოდა სამოთხეში, როგორც მოსიყვარულე მამა და ასწავებდა. როდესაც, ადამ და ევას შეცოდებისა და სამოთხიდან გამოდევნის შემდეგ, ხალხი ცოდვის გამო დაშორდა ღმერთს და დაიწყო მისი დავიწყება, მაშინ ღმერთმა გამოირჩია განსაკუთრებით ღრმად და გულწრფელად მორწმუნე, თვისი სათნო კაცები, რომლებიც იღებდნენ მისგან განცხადებას და აუწყებდნენ სხვათა. ასეთ ღვთის გამორჩეულებად იყვნენ: ადამი, ნოე, აბრაამი, მოსე და სხვა წინასწარმეტყველები.

ამათ მიიღეს ღვთისაგან მხოლოდ დასაბამნი საღმრთო განცხადებისა და გაავრცელეს ხალხში; სავსებით და სრულიად კი ღვთის განცხადება ქვეყანაზე მოიტანა იესო ქრისტემ, განხორციელებულმა ღმერთმა და გაავრცელა მთელს ქვეყანაზე თვისის მოციქულების საშუალებით. ამას ცხადად ამბობს პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში ებრაელთა მიმართ: „მრავლით კერძო და მრავლით სახით მაშინვე ღმერთი ეტყოდა მამათა წინასწარმეტყველთა მიერ, ხოლო უკანასკნელთა ამათ დღეთა მეტყოდა ჩვენ ძისა მიერ თვისისა, რომელი იგი დაადგინა მკვიდრად ყოველთა, რომლისგანცა შეჰქმნა ღმერთმან საუკუნენი.“ (ებრ. 1, 1-2).

კაცს შეუძლია ღვთისაგან შექმნილი ქვეყნის განხილვით დარწმუნდეს, რომ არსებობს ღმერთი, რომ ის არის ყოვლად ძლიერი, ყოვლად სახიერი, ყოვლად მოწყალე: ამას ეწოდება **ბუნებითი განცხადება**. მაგრამ ეს ბუნებითი განცხადება არ არის სრული და ამიტომ არც საკმარისა; ამ განცხადებას შეუძლია მხოლოდ რამდენადმე მოამზადოს კაცი და ხელმძღვანელობა გაუწიოს შესათვისებლად იმ ღვთის ცნობისა, რომელსაც მიიღებს საღმრთო განცხადებიდან.

## საღმრთო გარდამოცემა და საღმრთო წერილი

**საღმრთო განცხადება** ვრცელდება ქვეყანაზე საღმრთო წერილით და საღმრთო გადმოცემით.

**საღმრთო წერილი** ეწოდება იმ წიგნებს, რომელიც დაწერილია სულიწმიდით განბრძნობილ კაცთა - წინასწარმეტყველთა და მოციქულთაგან. ამ წმიდა წიგნების კრებულს ეწოდება **ბიბლია**. საღმრთო წერილი დაწერილია ღვთისაგან გამორჩეულ და განათლებულთაგან; ასეთები იყვნენ ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველნი, ახალში - მოციქულნი, მთელს ბიბლიაში 77 წიგნია. ჩამოვთვალოთ ეს წიგნები იმ რიგზე, როგორც დაწყობილია ქართულ დაბადებაში: 1) დაბადება, 2) გამოსვლათა, 3) ლევიტელთა, 4) რიცხვთა, 5) მეორე სჯულისა, 6) ისუ ძისა ნავესი, 7) მსაჯულთა, 8) რუთისა, 9) პირველი მეფეთა, 10) მეორე მეფეთა, 11) მესამე მეფეთა, 12) მეოთხე მეფეთა, 13) პირველი ნემშთა, 14) მეორე ნემშთა, 15) პირველი ეზდრასი, 16) ნეემიასი, 17) მეორე ეზდრასი, 18) მესამე ეზდრასი, 19) წიგნი ტობიასი, 20) ივდიითისა, 21) ესთერისა, 22) წიგნი იობისა, 23) დავითნი, 24) იგავნი სოლომონისნი, 25) ეკლესიასტე, 26) ქება ქებათა, 27) წიგნი სიბრძნისა სოლომონისა, 28) წიგნი სიბრძნისა ისო ძისა ზირაქისა, 29) წინასწარმეტყველება ესაიასი, 30) წინასწარმეტყველება იერემიასი, 31) გოდებანი იერემისა წინასწარმეტყველისანი, 32) ბარუქისა, 33) ეზეკიელისა, 34) დანიელისა, 35) ოსესი, 36) იობელისა, 37) ამოსისა, 38) აბდიასი, 39) იონასი, 40) მიქიასი, 41)

ნაუმისა, 42) ამბაკუმისა, 43) სოფონასი, 44) ანგიასი, 45) ზაქარიასი, 46) მალაქიასი, 47) პირველი მაკაბელთა, 48) მეორე მაკაბელთა, 49) მესამე მაკაბელთა, 50) მეოთხე მაკაბელთა, 51) სახარება მათესი, 52) სახარება მარკოზისა, 53) სახარება ლუკასი, 54) სახარება იოანესი, 55) საქმე წმიდათა მოციქულთა, 56) ეპისტოლე იაკობისი, 57) პირველი ეპისტოლე პეტრესი, 58) მეორე ეპისტოლე პეტრესი, 59) პირველი ეპისტოლე იოანესი, 60) მეორე ეპისტოლე იოანესი, 61) მესამე ეპისტოლე იოანესი, 62) ეპისტოლე იუდასი, 63) ეპისტოლე პავლე მოციქულისა რომაელთა მიმართ, 64) პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, 65) მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, 66) გალატელთა მიმართ, 67) ეფესელთა მიმართ, 68) ფილიპელთა მიმართ, 69) კოლასელთა მიმართ, 70) პირველი ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ, 71) მეორე ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ, 72) პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ, 73) მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ, 74) ეპისტოლე ტიტეს მიმართ, 75) ფილიმონის მიმართ, 76) ებრაელთა მიმართ, 77) გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა.

**განიყოფა საღმრთო წერილის წიგნთა.** საღმრთო წერილის წიგნები მათი დაწერის დროის მიხედვით განიყოფა ორ დიდ ნაწილად - ძველ და ახალ აღთქმის წიგნებად. ძველი აღთქმის წიგნები ეწოდება იმ წიგნებს, რომელიც დაიწერა ქრისტეს მოსვლამდე და მალაქია წინასწარმეტყველამდე (1600 -400 წ. ქრისტემდე); ახალი აღთქმის წიგნები ეწოდება იმ წიგნებს, რომელიც დაწერილია ქრისტეს შემდეგ მოციქულებისაგან (41 -100წ.).

ორივე აღთქმის წიგნები შინაარსით განიყოფა ოთხ ნაწილად: 1) **წიგნნი სჯულდებითნი**, რომელნიც შეიცავენ უმთავრესად ძირითად კანონებს სარწმუნოებრივ ცხოვრებისას; ძველ აღთქმის წიგნებს შორის ამ ნაწილს ეკუთვნის ხუთი წიგნი მოსესი: დაბადება, გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე სჯულისა. ახალ აღთქმაში - ოთხი სახარება: მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი. 2) **წიგნნი ისტორიულნი**, რომელნიც შეიცავენ ისტორიას ღვთისა და კაცთა შორის დიდებულ აღთქმისას. ძველ აღთქმაში ამ ნაწილს ეკუთვნის შემდეგი წიგნები; ისუ ძისა ნავესი, მსაჯულთა, რუთისა, ოთხი წიგნი მეფეთა, ორი წიგნი ნეშტთა, ორი წიგნი ეზდრასი, ნეემიასი, ტობიასი, ივდიითისა, ესთერისა და სამი წიგნი მაკაბელთა; ახალ აღთქმაში მხოლოდ ერთი წიგნია ისტორიული - საქმე მოციქულთა; 3) **სწავლებითნი ანუ სამომღვრო წიგნნი**, რომელნიც შეიცავენ სწავლა-მომღვრებას სჯულისა, ზნეობისა და კეთილმსახურებისას. ძველს აღთქმაში მათ ეკუთვნიან: წიგნი იობისა, დავითნი, იგავნი სოლომონისნი, ეკლესიასტე, ქება ქებათა, სიბრძნე სოლომონისა, სიბრძნე ისუ ძისა ზირაქისა და მესამე წიგნი ეზდრასი; ახალ აღთქმაში სამომღვრო წიგნებად ითვლება მოციქულთა ეპისტოლენი, რიცხვით 21; 4) **წიგნნი წინასწარმეტყველებითნი**, რომელნიც შეიცავენ წინასწარმეტყველებას ქრისტესა, მის სასუფეველსა და ახალი აღთქმის ეკლესიის წინასწარმეტყველთა წიგნები, რიცხვით 16; ახალ აღთქმაში ერთი წინასწარმეტყველებითი წიგნია - გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა. ღირსებით საღვთო წერილის წიგნები განიყოფა ორ ნაწილად: - დაკანონებულ და არადაკანონებულ წიგნებად. **დაკანონებული წიგნები** ეწოდება იმ წიგნებს, რომელიც წმ. მამათა და კრებათაგან ცნობილია ნამდვილად მოციქულთა და წინასწარმეტყველთაგან დაწერილად და ამიტომ, როგორც უეჭველად ღვთივ სულიერნი, - სავალდებულოა სახელმძღვანელოდ სჯულისა და ცხოვრებისათვის. **არადაკანონებული წიგნები** ის წიგნებია, რომელსაც არა აქვს ზემოაღნიშნულ წიგნთა ღირსება და ამიტომ არ არის სავალდებულო ყველასათვის. არადაკანონებულ წიგნებად ძველი აღთქმის საღმრთო წერილში ითვლება შემდეგი წიგნები: წიგნი ტობიასი, ივდიითისა, სიბრძნე სოლომონისა, ისუ ძისა ზირაქისა, წინასწარმეტყველება ბარუქისა, მეორე და მესამე წიგნი ეზდრასი და სამივე წიგნი მაკაბელთა. გარდა ამ მთელ წიგნებისა, არადაკანონებულად, ანუ კერძო წიგნებად ითვლება ზოგიერთი

ადგილი დაკანონებულ წიგნებისა, მაგ. ას ორმოცდა მეთერთმეტე ფსალმუნი დავითნში, ლოცვა მანასიასი, მეორე ნემტთა წიგნის ბოლოში, ესთერის წიგნში მერვე და მეცხრე თავის ბოლოს მუხლებად დაყოფილი ნაწილი, გალობა სამთა ყრმათა დანიელის წინასწარმეტყველებაში (თ.5), სუსანას ამბავი (იქვე, თ. 13), ბილის და ვეშაპის ამბავი (იქვე, თ.14). დანარჩენი წიგნები ძველი აღთქმისა და ყველა წიგნი ახალი აღთქმისა სულ დაკანონებულად და სავალდებულოდ ითვლება.

## პირველი ენა საღმრთო წერილის წიგნებისა

ძველი აღთქმის საღმრთო წერილის ყველა სავალდებულო წიგნი დაწერილია ებრაულად, რადგანაც ამ ენით ლაპარაკობდნენ დამწერნიც და ისინიც ვისთვისაც დანიშნული იყო წიგნები. ახალი აღთქმის წიგნები, გარდა მათეს სახარებისა, დაწერილია ბერძნულად.

## ღვთივ-სულიერება საღმრთო წერილისა

ჩვენ გვრწამს, რომ საღმრთო წერილის წიგნები, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმისა, დაწერილია ღვთივ-განბრძნობილ კაცთაგან. თვით უფალი იესო ქრისტე ძველი აღთქმის წიგნებს უწოდებდა ღვთის სიტყვას, მოიხსენიებდა სული წმიდის სიტყვად, ღვთის ბრძანებად; მოციქულებიც, თანახმად მაცხოვრისა, საღმრთო წიგნებად რაცხდნენ ძველ აღთქმას. თვით მოციქულებს მაცხოვარმა აღუთქვა მოვლინება წმ. სულისა, რომელიც ეტყოდა მათ ყოველსავე. სული წმიდა უცხადებდა ხოლმე მოციქულებს და წინასწარმეტყველებს იმას, რაც სრულიად არ იცოდნენ, - მაგალითად, ისინი წინასწარმეტყველებდნენ მომავალს, ან ამბობდნენ იმისთანა სწავლა - მოძღვრებას, რომლის შეთხზვაც სრულიად არ შეეძლოთ; ხან-კი იმგვარ ამბებს სწერდნენ, რომელიც თვითონ იცოდნენ; მაშინ სული წმიდა მხოლოდ იცავდა შეცდომათაგან; უხსნიდა გაუგებარს და შეავსებდა მოგონებას, მაგრამ იმავე დროს არ ავიწროებდა აზრის წარმოთქმაში.

ის, რომ საღმრთო წერილი მართლა ღვთის სიტყვაა, ამას გვარწმუნებს:

1) **სიმაღლე** სწავლისა, რომელიც შესულია საღმრთო წერილში. მაგ. სამებისა, ღვთის განხორციელებისა, ერთი ღმერთისა, ღვთის სიყვარულისა, სიმდაბლისა და მტერთა სიყვარულის შესახებ სწავლა ისეთი მოძღვრებაა, რომლის მოგონებაც არ შეეძლოთ უბრალო კაცებს, როგორნიც იყვნენ მოციქულნი და წინასწარმეტყველნი.

საღმრთო წერილის წიგნები დაწერილია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კაცთაგან, სხვადასხვა ადგილას, მაგრამ მაინც ისე ეთანხმებიან ერთმანეთს, თითქოს ერთი კაცის დაწერილი იყოს, მაშინ, როცა ორი კაცის ნაწერი ერთ საგანზე არ ეთანხმება ერთმანეთს. ამასთანავე, საღმრთო წერილის წიგნები თავისუფალია ყველა იმ ცრუ-მორწმუნეობისა და ცთომილებისაგან, რომელიც გავრცელებული იყო ხალხში მათი დაწერის დროს.

2) **წინასწარმეტყველებანი**, რომელიც მოიპოვება ძველი აღთქმის წიგნებში. ისაია და დავით წინასწარმეტყველნი ისეთი სიცხადით აღგვიწერენ იესო მაცხოვრის ვნებას ჯვარზედ, თითქოს თითონ დასწრებიან ჯვარცმასო, მაგრამ კაცმა არა იცის-რა, მხოლოდ ღმერთს შეუძლია წინად ცნობა მომავლისა; მაშ, თუ წინასწარმეტყველები რამდენსამე საუკუნით წინად სწერდნენ, რა მოხდებოდა შემდეგში, უეჭველია - სული წმიდისა და ღვთის ძალით იყვნენ განბრძნობილნი.

3) **სასწაულნი.** კაცს სასწაულის ქმნა არ შეუძლია არც თავის ძალით, არც ხელოვნებით; მკვდრის აღდგინება, სნეულის განკურნება ხელის შეხებით, ან ერთი სიტყვის წარმოთქმით შეუძლია მხოლოდ ღმერთს და მისი ძალით იმ კაცს, რომელიც მასთან ახლოა და მისი სათნოა. ამავე ძალით ხელმძღვანელობს ამისთანა კაცი სწავლის ქადაგების დროსაც; როცა ამბობს ღვთის სახელით, უეჭველია, ამბობს ღვთის სიტყვას. თვით მაცხოვარი სასწაულებს რაცხს თვისის საღმრთო მოვლინების ნიშნად: „საქმენი, რომელნიც მომცნა მე მამამან, რათა აღვასრულნე იგინი, ესევე საქმენი ჰსწამებენ ჩემთვის, რომელთა მე ვიქმ, რამეთუ მამამან მომავლინა მე.“ (იოანე. 5, 36).

ის, რომ საღმრთო წერილი ღვთის სიტყვაა, ეს მტკიცდება კიდევ იმ დიდისა და ძლიერის მოქმედებით, რომელიც აქვს მკითხველსა და მსმენელზე; ძლიერი მოქმედება საღმრთო წერილისა კაცთა გულზე სჩანს ცხადად იქიდან, რომ უსწავლელმა და უბრალო მოციქულებმა მოაქციეს ქრისტესადმი მრავალი სწავლული და ბრძენი კაცი და მცირე ხანში გაავრცელეს სახარება ქვეყნად. გარდა ამისა, ყოველს მორწმუნეს შეუძლია იგრძნოს საკეთილო გავლენა სახარებისა, ჰპოვოს მასში ნუგეში, რადგანაც საღმრთო წერილი არის სიტყვა ღვთისა და ნება ღვთისა, ამიტომ ყოველი ქრისტიანი უნდა კითხულობდეს და სწავლობდეს სასოებით და კრძალულებით, იმ სურვილით, რომ მიიღოს მისგან სარგებლობა სულიერი; საღმრთო წერილი უნდა გვესმოდეს ისე, როგორც ესმოდათ წმ. მამებს, რომელთაც წმიდა ცხოვრებისათვის ღმერთმა მისცა ნიჭი საღმრთო წერილის სწორედ განმარტებისა.

**საღმრთო გადამოცემა** არის გადაცემა ერთის თაობიდან მეორეზე სიტყვით და მაგალითით სარწმუნოების სწავლისა, ღვთის სჯულისა, საიდუმლოთა და საღმრთო წესებისა. საღმრთო გადამოცემა უძველესია საღმრთო წერილზე.

ჩვენ ვიცით, რომ ღმერთი თვითონ ეცხადებოდა ადამსა და ევას და ასწავლიდა თავის წმიდა სჯულს. ღვთის ბრძანება ადამს არ დაუწერია, არამედ ზეპირად გადასცა თავის შვილებს, მათ კიდევ თავის შვილებს. შემდეგ ადამისა, ღმერთი ეცხადებოდა ნოეს, აბრაამს, ისააკს, იაკობს და სხვათა და ასწავებდა, როგორ უნდა ეცხოვრათ ღვთის სათნოდ და ღვთის სჯულზედ, რა წესები აღესრულებინათ, როგორ ელოცათ და სხვა. ეს ღვთის ბრძანებანი ამათ გადასცეს თავის შვილებს ზეპირად და მხოლოდ მოსე წინასწარმეტყველმა ჩაწერა ღვთის მოცემული სჯული და ამით დაედო საფუძველი საღმრთო წერილს, მაგრამ ამ დროსაც ბევრი რამ დარჩა ჩაუწერილი და ინახებოდა ხალხის ხსოვნაში ზეპირი გარდამოცემით. მოსეს შემდეგ წინასწარმეტყველებსაც ყოველივე ღვთის ნაბრძანები არ ჩაუწერიათ, ბევრი ზეპირად გადასცეს ხალხს. ამ რიგად ბევრი რამ ძველს აღთქმაში ინახებოდა ზეპირი გარდამოცემით, დაუწერავად. (ადამმა მიიღო ღვთისაგან და გადასცა შვილებს განცხადება ნეტარის ცხოვრებისა, ქვეყნის გაჩენისა, კაცის გაჩენისა, სამოთხეში ნეტარ ცხოვრებისა, შეცოდებისა, სამოთხიდან განდევნისა და აღთქმულის მაცხოვრისა. ნოემ აცნობა ხალხს საყოველთაო გარყვნისა და მსოფლიო წარღვნის ამბავი. აბრაამმა აუწყა ღვთისგან მისი გამორჩევა და მისი შთამომავლობისაგან მაცხოვრის მოსვლა. მოსემ აუწყა ეგვიპტეში ყოფნა, იქიდან გამოსვლა და ღვთისაგან მიღებული სჯული. წინასწარმეტყველებმა წინასწარ სთქვეს მაცხოვრის მოსვლა, ცხოვრება, სიკვდილი და აღდგომა).

ახალ აღთქმაშიც ქრისტე ღმერთი ზეპირად ქადაგებდა; მის ამალღებისა და სული წმიდის გადამოსვლის შემდეგაც, მოციქულები ზეპირად ქადაგებდნენ ქრისტესგან გაგონილ სწავლას. მხოლოდ შემდეგში ზოგიერთმა მოციქულმა, მორწმუნეთა საჭიროებისა და კერძო მოთხოვნილების გამო, დაწერა ეპისტოლეები; აზრი ამ ეპისტოლეების დაწერისა იყო სწავლება და განმტკიცება სჯულისა, განმარტება ზოგიერთი საგნისა, გაფრთხილება ცრუ მოძღვრებისაგან და დაცვა ჭეშმარიტი სწავლის წარყენისაგან.

თვით მოციქულები ეპისტოლეებში ყველაფერს არ სწერდნენ და აცხადებდნენ სურვილს მორწმუნეებთან ზეპირ საუბრისას, მაგ. იოანე მახარებელი სწერს ეპისტოლეში: „მრავალი მინდა მიწერად თქვენდა, არამედ არა ვინებე ქარტითა და მეღნითა, რამეთუ ვესავ მოსვლად თქვენდა და პირისპირ სიტყვად, რათა სიხარული იგი თქვენი სავსებით იყოს.“ (2-იოანე. 1,12). რა ილაპარაკა იოანე მოციქულმა პირისპირ თავის მოწაფეებთან, ეს წერილობით არ შენახულა: იგივე მოციქული მოწმობს, რომ არც სახარებაშია ჩაწერილი ყოველივე ის, რაცა სთქვა და ჰქმნა იესომო. (იოანე. 21,25).

იესო ქრისტე აღდგომის შემდეგ ორმოცი დღის განმავლობაში უქადაგებდა და ასწავებდა მოციქულებს **სასუფეველისათვის ღვთისა**, მაგრამ ეს ქადაგება არსად არ არის ჩაწერილი, არამედ გადმოცემულია მორწმუნეთა მიმართ ზეპირად. ამ რიგად, ახალ აღთქმაშიც სიტყვა ღვთისა, საღმრთო წიგნებში ჩაუწერელი, ინახებოდა გარდამოცემით, - ზეპირად.

საღმრთო გადმოცემას ისეთივე მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, როგორც საღმრთო წერილს და აუცილებლად საჭიროც არის. ამიტომაც პავლე მოციქული ურჩევს თესალონიკელ ქრისტიანებს შეიწყნარონ და დაიცვან მტკიცედ ყოველივე, რაც კი ისწავლეს მისგან სიტყვით თუ წერილით.

**საღმრთო გადმოცემა საჭიროა:** 1) საღმრთო წერილის სწორად ასახსნელად და გასაგებად, - ის გვიხსნის მნიშვნელობას და აზრს საღმრთო წიგნისას, ან რომელისამე ადგილისას; 2) საიდუმლოების სწორედ შესრულებისათვის, საღმრთო წერილში სრულიად არ არის მოხსენებული, თუ როგორ უნდა შესრულდეს რომელიმე საიდუმლო; წესი საიდუმლოთა შესრულებისა სავსებით დამყარებულია გარდამოცემაზე. 3) საჭიროა გარდამოცემა დასამტკიცებლად ზოგიერთ ჭეშმარიტებათა, მაგ. ხატთა, წმიდათა, მათ ნაწილთა თაყვანისცემისა; ეს საღვთო წერილში არ არის მოხსენებული ცხადად. 4) ბოლოს საღმრთო გარდამოცემა საჭიროა კიდევ იმისთვის, რომ დაცულ იქნას სხვადასხვა წესი მართლმადიდებლური ღვთისმსახურების დროს.

მცველი და შემნახველი საღმრთო გარდამოცემისა არის წმიდა ეკლესია. ეს საღმრთო გარდამოცემა დაცულია წმ. მამათა ნაწერებსა და საეკლესიო კრებების დადგენილებათა შორის; ამიტომ პავლე მოციქული იტყვის: ეკლესია არის სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა. (1-ტიმ. 3,15).

## ნიშნები ჭეშმარიტი გარდამოცემისა

**ჭეშმარიტი გარდამოცემა:** 1) არ უნდა იყოს წინააღმდეგი უკვე შეწყნარებული და ცნობილი სამოციქულო გარდამოცემისა; უნდა ეთანხმებოდეს საღმრთო წერილს, რადგან ორივეს აქვთ ერთი წყარო - სული წმიდა. 2) საჭიროა, რომ არა ერთი რომელიმე, არამედ ყველა ეკლესია ამოწმებდეს გარდამოცემის სინამდვილესა და თვით გარდამოცემა მოციქულთა დროიდან იწყებოდეს. 3) საჭიროა იყოს ერთსულოვანი მოწმობა და თანხმობა ყველა სამოციქულო ეკლესიისა გარდამოცემის შესახებ.

## სიმბოლო სარწმუნოებისა (მრწამსი)

საღმრთო წერილისა და საღმრთო გარდამოცემის სწავლა-მოდვრება, შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა სწამდეს მართლმადიდებელ ქრისტიანს ღმერთი, რა არის საჭირო მისი სულის საცხოვნებლად, მკაფიოდ და მოკლედ გამოთქმულია სარწმუნოების სიმბოლოში, ანუ როგორც ქართულად ეწოდება "მრწამსში." (სიმბოლო ბერძნული სიტყვაა და ქართულად უდრის "ნიშანს". სიმბოლო უწინ ეწოდებოდა მოკლედ გამოხატულს სარწმუნოების აღსარებას; ეს არჩევდა ქრისტიანეს არა ქრისტიანეთაგან. ქართული სახელწოდება "მრწამსი" წარმომდგარია მრწამსის პირველი სიტყვიდან). მრწამსი მართლმადიდებელი ეკლესიისა იკითხება ესე:

- ა. მრწამს ერთი ღმერთი მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა.
- ბ. და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხოლოდ შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.
- გ. რომელი ჩვენთვის, კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდმოხდა ზეცით და ხორცილი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა;
- დ. და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატუს -ზე, და ივნო და დაეფლა.
- ე. და აღსდგა მესამესა დღესა, მსგავსად წერილისა;
- ვ. და ამალდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.
- ზ. და კვლავ მომავალ არს დიდებით. განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.
- წ. და სული წმიდა, უფალი და ცხოველს მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისათანა და მისა თანა თაყვანის - იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.
- თ. ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია;
- ი. აღვიარებ ერსა ნათლის-ღებასა მოსატევებელად ცოდვათა;
- ია. მოველი აღდგომასა მკვდრეთით;
- იბ. და ცხოვრებასა მერმისა მისსა საუკუნისასა. ამინ.

ეს სიმბოლო მართლმადიდებელი სარწმუნოებისა შეადგინეს წმ. მამებმა ნიკეას (325წ.) და კონსტანტინეპოლის (381წ.) მსოფლიო კრებაზე. მრწამსი შეიცავს საღმრთო წერილსა და საღმრთო გარდამოცემაზე დაფუძნებულ სწავლას მართლმადიდებელ ეკლესიისას სამების პირველ პირზე - მამა ღმერთზე, რომელმაც შექმნა ცა და ქვეყანა და განაგებს მას, სამების მეორე პირზე - ძე ღმერთზე, რომელიც განხორციელდა მარიამ ქალწულისაგან: სამების მესამე პირზე - სულიწმიდაზე, ქრისტეს ეკლესიაზე. საიდუმლოზე, საზოგადო მკვდრეთით აღდგომაზე და მომავალ ცხოვრებაზე. ამიტომ "მრწამსის" ცოდნა სავალდებულოა თითოეული მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის. "მრწამსი" განიყოფება 12 წევრად ანუ მუხლად.



## მრწამსის პირველი წევრი

მრწამსის პირველი წევრი იკითხება ესე:

**მრწამს ერთი ღმერთი მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა.**

**რწმენა ღვთისა** არის დაჯერება, დარწმუნება, რომ ღმერთი ნამდვილად არსებობს და მას ეკუთვნის ყველა ის თვისებანი, რომელსაც მიაწერს საღმრთო წერილი. ღვთის არსებობას გვარწმუნებს დაკვირვება ჩვენს გარშემო ქვეყნისა. ცის მნათობნი და ქვეყანაზე მცენარე-ცხოველნი გვიმტკიცებენ, რომ არის მათი შემოქმედი, ყოვლად ბრძენი და ყოვლის შემძლებელი ღმერთი; მოციქულიც ბრძანებს: „თვინიერ სარწმუნოებისა, ვერ შესაძლებელ არს სათნო ყოფა ღმრთისა; რამეთუ სარწმუნოება უღირს, რომელი მოუხდების ღმერთსა, რამეთუ არს და მეძიებელთა მისთა სასყიდლის მიმცემელ იქმნების.“ (ებრ. 11, 6).

ცხოველი და ჭეშმარიტი სარწმუნოება უთუოდ უნდა გამოიხატოს სიტყვით და მოქმედებით, ესე იგი უნდა იყოს ცხადი და აშკარა, ისე რომ ვერც მუქარამ, ვერც ტანჯვამ და ვერც თვით სიკვდილმა ვერ გვათქმევინოს უარი ღვთის სარწმუნოებაზე და უფალ იესო ქრისტეზე. ამას ეწოდება აღსარება სარწმუნოებისა. ეს აღსარება სარწმუნოებისა საჭიროა ჩვენი ცხოვრებისათვის; ვინც თავის სარწმუნოებას არ ამტკიცებს სიტყვით და საქმით, იმას არ ჰქონია ჭეშმარიტი სარწმუნოება ღვთისა და მომავლის ცხოვრებისა. პავლე მოციქული ბრძანებს: „გულითა გვრწამს სიმართლედ, ხოლო პირითა აღვიარებთ საცხოვრებელად.“ (რომ. 10,10). და გვაჩვენებს რომ სარწმუნოება და მისი აღსარება განუყოფელი არიან ერთმანეთისაგან, - სარწმუნოება დაფარულია, როცა იმყოფება გულის სიღრმეში, ხოლო სარწმუნოება, განცხადებული სიტყვით და საქმით, არის აღსარება მისი.

მრწამსის სიტყვები **ერთი ღმერთი** გვაჩვენებს ღვთის ერთობას. ეს სიტყვები ჩართულია მრწამსში უარის საყოფელად წარმართთა მრავალ-ღმერთობისა, რომელთაც დაკარგეს ჭეშმარიტი სარწმუნოება ერთი ღმერთისა და აღიარებდნენ მრავალ ღმერთებს. პავლე მოციქული ცხადად სწერს: „არავინ არს ღმერთი სხვა, გარნა მხოლო იგი ერთი ღმერთი... ჩვენდა ერთ არს ღმერთი მამა, რომლისაგან არს ყოველი, და ჩვენ მისა მიმართ.“ (1-კორ. 8,4-6).

**არსება ღვთისა და მისი თვისებანი.** ღვთის არსების გაგება და მიწოდება კაცისათვის შეუძლებელია. პავლე მოციქული ბრძანებს, რომ ღმერთი არის „ნათელსა მყოფი მიუწვთომელსა, რომელი არავინ იხილა კაცთაგანმან, არცა ხილვად ხელეწიფების.“ (1-ტიმ. 6,17). მაგრამ შესაძლებელია ვიცოდეთ ღმერთისა ის, რაც თვით ღმერთმა გამოგვიცხადა საღმრთო წერილში. საღმრთო წერილიდან კი ვიცით, რომ ღმერთი არის სული, საუკუნო ყოვლად სახიერი, ყოვლად მეცნიერი, ყოვლად მართალი, ყოვლის შემძლებელი, ყოველგან მყოფი, უცვალებადი, ყოვლადკმაყოფილი, ყოვლად ნეტარი.

ა) **ღმერთი არის სული**, ესე იგი არსება სულიერი, არა ნივთიერი. განუსაზღვრელი ადგილით და სივრცით; მაგრამ ამასთანავე არის არსება თავისუფალი, გონიერი, ცხოველმყოფელი, თვითარსი. ეს თვით მაცხოვარმა განმარტა სამართელ ქალთან საუბრის დროს - „სულ არს ღმერთი და თავყვანის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა არს თავყვანის-ცემა.“ (იოანე. 4, 24).

საღმრთო წერილი ხშირად მიაწერს ხოლმე ღმერთს კაცური სხეულის ნაწილებს, მაგ. გულს, თვალებს, ყურებს, ხელებს; ამით საღმრთო წერილი გამოხატავს ღვთის სხვადასხვა თვისებას, მაგ. გული ნიშნავს ღვთის სიყვარულს და სახიერებას, თვალები და ყურები -

ყოვლად მეცნიერებას, ხელები - ყოვლის შემძლებლობას; აქ საღმრთო წერილი უახლოვდება კაცურს ენას და სახეს, რომ უფრო ადვილი გასაგები გახადოს ჩვენთვის ღვთის არსება. მსგავსადვე ამისა, ხატებზე ღმერთი მთელის თვისის არსებით კი არ არის გამოსახული, ვითომც ჰქონდეს მართლა სხეული, არამედ იმ სახით, როგორითაც თვითონ ინება გამოცხადება კაცთა წინაშე; მაგ. აბრაამს გამოეცხადა სამი მგზავრის სახით, დანიელს - მხცოვანის სახით; სული წმიდა გამოეცხადა ნათლისღების დროს მტრედის სახით, მაცხოვარი კი განხორციელდა, ცხოვრობდა კაცთა შორის კაცის სახით; ამიტომაც კაცის სახითა ხატავენ.

ბ) **ღმერთი არის საუკუნო**, ესე იგი დაუსაბამო და დაუსრულებელი, მარადის ყოფილა, არის და იქნება. ღვთის მარადისობას დავით წინასწარმეტყველი სწერს: „პირველ მათა დაბადებამდე და შექმნად ქვეყანისა და სოფლისა და საუკუნიდგან და უკუნისამდე შენ ხარ.“ (ფს. 89,2). იოანე მოციქული ამბობს ღვთის შესახებ, რომ: „ის იყო, არის და მომავალ არს.“ (გამოცხ. 4,8).

გ) **ღმერთი არის ყოვლად სახიერი**, ესე იგი ყოვლად კეთილი. სურს ყოველთათვის კეთილი და აძლევს კაცს ყოველსავე, რაც საჭიროა მისი არსებობისათვის, ღვთის სახიერებისას მაცხოვარი ბრძანებს: „არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოდ ღმერთი.“ (მათე, 19, 17), ესე იგი არ შეიძლება ვისმე კაცთაგანს ეწოდოს კეთილი, გარნა ღვთისა; კაცი შეიძლება იყოს კეთილი მხოლოდ თავისსავე მსგავს კაცთაგან შედარებით. იოანე მოციქული ბრძანებს: „**ღმერთი სიყვარული არს.**“ (1-იოანე. 4,16).

გამოუთქმელი სიყვარული და სახიერება ღვთისა გამოიხატა - 1) კაცის შექმნით ღვთის სახედ და ხატად, 2) მის გამოხსნით განხორციელებულ ძის სისხლით, - „ესრედ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოჰსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარჰწყმდეს, არამედ აქვნიდეს ცხოვრება საუკუნო.“ (იოანე. 3,16).

დ) **ღმერთი არის ყოვლად მეცნიერი**, ხედავს კაცის ყოველსავე ნაბიჯს, იცის ჩვენი საჭიროება, ყოველი ჩვენი საიდუმლო განზრახვა და სურვილი; იცის აწმყო, წარსული და მომავალი; ამის მაგალითნი არიან წინასწარმეტყველნი, რომელთაც, რამდენსამე საუკუნის წინად, ღვთის ჩაგონებით, წინასწარ სთქვეს მომავალი. იოანე მოციქული ბრძანებს: „უფროს არს ღმერთი გულისა ჩვენისა და იცის ყოველი.“ (1-იოანე, 3,20); „არა რაი არს დაბადებული, დაფარულ წინაშე მისსა.“ (ებრ, 4,13).

ე) **ღმერთი არის ყოვლად მართალი – მართლ-მსაჯული**. „მართალ არს უფალი და სიმართლენი შეიყვარნა და სიწრფოებანი იხილნა პირმან მისმან.“ (ფს. 10,7). პავლე მოციქული ბრძანებს: „მიაგებს ღმერთი კაცად კაცადსა საქმეთა მითთაებრ; და, - არა არს თვალღება ღვთისა თანა.“ (რომ. 2, 6-11), ესე იგი ღმერთი ანიჭებს კაცს ყოველსავე თანახმად ღირსებისა: როგორც მართლმსაჯული, არც ერთს კეთილს საქმეს არ დასტოვებს დაუჯილდოებლად და ბოროტსა დაუსჯელად.

ვ) **ღმერთი არის ყოვლად შემძლებელი**: შეუძლია ჰქმნას ყოველივე, რაც გამომდინარეობს მისი სიბრძნისა და სახიერებისაგან; ხოლო თუ ღმერთს არ შეუძლია სცოდოს, ან მოიქცეს უაზროდ, ეს არ ზღუდავს მის ყოვლად-შემძლებლობას, რადგანაც შეცოდება, ან უაზროდ მოქცევა წინააღმდეგია ღვთის ბუნებისა. ღვთის ყოვლად-შემძლებლობა სჩანს ქვეყნის გაჩენით არა რაისაგან და სასწაულებით, რომელთაც იქმოდა თვით, ან მისი ძალით მისგანვე გამორჩეულნი კაცნი. დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს ღვთის ყოვლად-შემძლებლობისათვის: „მან სთქვა და იქმნეს, თავადმან ამცნო და დაებადნეს.“ (ფს. 32, 9). მთავარანგელოზი გაბრიელი ღვთის ყოვლად-შემძლებლობისათვის ამბობს: „არა შეუძლებელ არს წინაშე ღვთისა ყოველი სიტყვა.“ (ლოუკ. 1, 37). (ზოგს ღვთის ყოვლად-შემძლებლობის ეჭვი აქვს; ამბობენ: ღმერთს არ შეუძლია იცრუოს, მოკვდეს, უკვდავი

მოკვდავად აქციოს, წარსული აწმყოდ და სხვა. მაშასადამე, არა ყოფილა ყოვლად შემძლებელიო. ნეტარი ავგუსტინე ამის შესახებ ბრძანებს: „როდესაც ვამბობთ, ღმერთს არ შეუძლია მოკვდეს, ან იცრუოს, ამითი არა მცირდება მისი ყოვლადშემძლებლობა, პირიქით, მისი შემძლებლობა შემცირდება, თუ შეუძლებელისათვის შესაძლებელი გახდება. სწორედ ამიტომ არის ის ყოვლადშემძლებელი, რომ არ შეუძლია არც მოკვდეს, არც მოტყუვდეს. ყოვლად-შემძლებელს უნდა შეეძლოს იმისი ქმნაც, რაც სურს და აგრეთვე არ განიცადოს ის, რაც არ უნდა; რომ განიცადოს ის, რაც არ უნდა, მაშინ ყოვლად-შემძლებელი აღარ იქნებოდა).

ზ) **ღმერთი არის ყოველგან მყოფი.** ღმერთი ყველგან არის მთელი თავისი არსებით და არ არის ადგილი, საცა ის არ იყოს. ღვთის ყველგან მყოფობისათვის დავით წინასწარმეტყველი სწერს: „ვიდრემე ვიდე სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ვიდრემე ვილტვოდე? აღვთუვხდე ცად, შენ მუნ ხარ; შთათუვხდე ჯოჯოხეთად, ახლოსვე ხარ; აღთუვიპყრნე ფრთენი ჩემნი განთიად და დავემკვიდრო მე დასასრულსა ზღვისასა, და რამეთუ მუნცა ხელი შენი მიძლოდეს მე, და მარჯვენემან შენმან შემიწყნაროს მე.“ (ფს. 138,7).

საღმრთო წერილში ხშირად წერია, ღმერთი იმყოფება ცაში, ეკლესიაშიო; ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი განსაკუთრებით იმყოფება ცათა შინა, საცა ანგელოზები ადიდებენ დაუცხრომელად, ტაძრებში და მაღლით მავედრებელთა და მლოცველთა გულში კი არის საიდუმლოდ (იმყოფება თუ არა ღმერთი იქ, საცა მისი სიწმიდის საწინააღმდეგო საქმეებია, მაგ: ბოროტ-მოქმედებანი? უეჭველია - იმყოფება, როგორც მცველი და მსაჯული, ჯოჯოხეთში უმეტესად არის გაძლიერებული ბოროტება, მაგრამ, დავით წინასწარმეტყველის სიტყვით, ღმერთი იქაც არის (ფს. 139, 8). მაშასადამე, შეუძლებელია წარმოდგენა იმისთანა ადგილისა, ან მდგომარეობისა, რომ იქ ღმერთი არ იმყოფებოდეს. ღვთის სიწმიდზე იმ უწმინდურ ადგილებით სრულიადაც არ შეურაცხიყოფა, მსგავსად იმისა, როგორც მზის სხივი არა ჰკარგავს სინათლეს და ბრწყინვალეობას, როცა ჭუჭყიან ადგილს ეფინება).

წ) **ღმერთი არის უცვალებელი,** უცვალებელია თავის არსებით, თავის მოქმედებით და ძალით. იაკობ მოციქულის სიტყვით, ღმერთს არა აქვს ცვალება, გინა ქცევისა აჩრდილი. (იაკობ. 1,17).

თ) **ღმერთი არის ყოვლად კმაყოფილი, ყოვლად ნეტარი,** ესე იგი არ ესაჭიროება კაცთა ხელით სამსახური, არამედ თვითონ მისცემს ყოველთა ცხოვრებასა და სულსა ყოვლით კერძო. (საქმე. 17, 25).

ამასთანავე ის არის ყოვლად ნეტარი და მხოლოდ ძლიერი მეუფე მეუფეთა და უფალი უფლებათა (ტიმ. 6,15). ღმერთი, არა თუ თვითონ არის ნეტარი, ყველასათვის ნეტარების წყაროა, როცა კაცი უახლოვდება ღმერთს კეთილი ცხოვრებით, მაშინ გრძნობს მომეტებულ ნეტარებასა და ბედნიერებას.

## ზნეობრივი მნიშვნელობა ღვთის არსებობის აზრისა

**ღმერთი ყველგან მყოფია და ყოვლად-მეცნიერი.** მის თვალ წინ არის მთელი ჩვენი ცხოვრება. ამიტომ საჭიროა, მუდამ გულში ჰქონდეს კაცს მოკრძალებით შიში ღვთისა; ეს მუდმივი ხსოვნა ღვთისა არის კაცისათვის საუკეთესო მცველი ცოდვისაგან. ამიტომ საღმრთო წერილში სწერია: დასაბამი სიბრძნისა არს შიში ღმრთისა.

**ღმერთი სახიერია** (კაცთ-მოყვარე) **და მოწყალე**, ამიტომ ყოველთვის უნდა მივმართოთ ლოცვით, როგორც მოსიყვარულე მამას, **ღმერთი ყოვლად-შემძლებელია**, ამიტომ არ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთილებას ცხოვრებაში გაჭირვების ჟამს: ღმერთს შეუძლია დაიფაროს გაჭირვებისგან ყოველივე, ვინც კი მიმართავს ლოცვით.

**ღმერთი არის ყოვლით სრული არსება**; ყოველივე კეთილი თვისება, რომელიც ჩვენში მოიპოვება მცირედ, ღმერთს აქვს სრულად; ქრისტე გვიბრძანებს ამ სისრულის მიწევნას. ღმერთი კაცისათვის არის წყარო იმგვარ სისრულისა და იმგვარ ნეტარებისა, როგორსაც კაცს მთელი ქვეყანაც კი ვერ მისცემს. ღმერთი ყველაფერია კაცისათვის.

**წმიდა სამება.** მრწამსის სიტყვები: „მრწამს ერთი ღმერთი მამა“ გვიჩვენებს სამების საიდუმლოს. (ღმერთი ერთია არსებით, ეს თავის თავადაც ცხადია. ღმერთი არის ყველაფრით სრული ყველა არსებაზე; სრული არსება კი მხოლოდ ერთი უნდა იყოს, ორისა ან რამდენისამე სრულის არსების ერთად ყოფნა შეუძლებელია, რომ იყვნენ სხვა არსებანი მისი ტოლნი, მაშინ ის დაჰკარგავს სისრულეს, ესე იგი ღმერთი აღარ იქნებოდა. კაცობრიობას, უპირველეს ხანებში სწამდა მხოლოდ ერთი ღმერთი და მას სცემდა თაყვანს. მაგრამ შემდეგ, როცა კაცი დაშორდა ღმერთს, ერთ ღმერთობის ადგილი დაიჭირა მრავალ-ღმერთობამ, ანუ წარმართობამ. მაგრამ წარმართთა უკეთესი სწავლულები და ბრძენებიც ერთღმერთობას მრავალ-ღმერთობაზე მაღლა აყენებდნენ); ღმერთი არსებით ერთია, მაგრამ პიროვნებით სამი, - მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმიდა ღმერთი, რომლებიც შეადგენენ ერთ არსსა და განუყოფელს სამებას. საიდუმლო წმიდა სამებისა იყო გამოცხადებული ძველ აღქმაშიც. მაგალითად, დავით წინასწარმეტყველი სწერს: „სიტყვითა უფლისათა ცანი დაემტკიცნეს, და სულითა პირისა მისისათა ყოველი ძალი მათი.“ (ფს. 32,6). წმიდა სამების აზრით, აქ "სიტყვად" იგულისხმება ძე ღმერთი, "სულად" - სული წმიდა, ხოლო "უფლად" - მამა ღმერთი. უფრო მკაფიოდ, ცხადად და ნათლად საიდუმლო წმ. სამებისა გამოთქმულია ახალ აღთქმაში. იესო ქრისტემ უბრძანა მოციქულებს: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს ჰსცემდით მათ სახელითა მამისათა, და მისათა და სულისა წმიდისათა;“ იოანე მოციქული ბრძანებს: „სამნი არიან, რომელნი სწამებენ ცათა შინა; მამა, სიტყვა და სული წმიდა და ესე სამნი ერთნი არიან.“ (1-იოანე, 5,9). პავლე მოციქული ასე ათავებს კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლეს: „მაღლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა და მამისა და ზიარება სულისა წმიდისა თქვენ ყოველთა თანა, ამინ.“ (2-კორ. 13,13). მამას, ძეს და სული წმიდას აქვთ ერთნაირი ღირსება, ერთნაირი სისრულე და ამიტომ მათ სამთავეს შეჰფერის ერთნაირი პატივი და თაყვანის-ცემა. არსებით ერთნი, სამების პირნი განირჩევიან პიროვნული თვისებით - მამა ღმერთი არც იშვების, არც გამოდის არავისგან, ძე ღმერთი იშვების მამა ღმერთისაგან, სული წმიდა ღმერთი გამოვალს მამა ღმერთისაგან. რით განირჩევა შობა ძისა სულის გამოვლისაგან, ჩვენ ამას ვერ მივხვდებით, რადგანაც ეს შეეხება ღვთაების შინაგანს, მიუწვდომელს ცხოვრებას, მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვაღიარებთ ამ განჩევას, რადგანაც ასე გვასწავლის საღმრთო წერილი. არც იმის გაგება შეგვიძლია, როგორ არის სამი სახე განუყოფელი ღვთის ერთს არსებაში, მაგრამ გვრწამს ეს

ღრმა საიდუმლო, რადგანაც ასე გვასწავლის საღმრთო წერილი (წმიდა მამები ცდილობდნენ დაეხლოვებინათ კაცის გონებისათვის და ადვილ გასაგებად აეხსნათ საიდუმლო წმიდა სამებისა; ამიტომ ისინი წმიდა სამების საიდუმლოს მსგავსებას გვიჩვენებდნენ ხილულ ბუნებაში. ხილული ბუნებიდან მოჰყავდათ მაგალითად მზე, რომელიც არსებობს თავის თავად, მაგრამ ამავე დროს იძლევა სხივებს და ანათებს და არ იყოფა ნაწილ-ნაწილად, ცეცხლი, რომელიც არსებობს თვითონ, იძლევა სინათლეს და სითბოს, რომლებსაც აქვთ ერთმანეთთან ერთობა და გარჩევაც და სხვა. მაგრამ ეს მსგავსებანი ძალიან შორს არის საგნის არსებისაგან, რადგანაც აღებულია იმ ბუნებიდან, რომელსაც არაფერი კავშირი არა აქვს სულიერ არსებასთან).

## ღმერთი, შემოქმედი უხილავის ქვეყნისა

"მრწამსი" გვასწავებს, რომ ღმერთი არის შემოქმედი ცისა და ქვეყნისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა. საღმრთო წერილის პირველსავე სტრიქონში სწერია, რომ დასაბამად ჰქმნა ღმერთმან ცაი და ქვეყანა (დაბადება 1,1). უფრო გარკვევით ამის შესახებ სწერს პავლე მოციქული: „მის მიერ დაებადა ყოველივე ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, ხილულნი და არა ხილულნი: ანუ თუ საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინა თუ მთავრობანი, გინა თუ ხელმწიფებანი: ყოველივე მის მიერ და მისა მიმართ დაებადა.“ (კოლას. 1,16). "არა ხილულებად" "მრწამსში" იგულისხმებიან უხილავნი სულნი, ანუ ანგელოზნი. ანგელოზნი არიან უსხეულო სულნი, რომელთაც აქვთ გონება, ნება და გრძნობა უფრო უმაღლესი ხარისხისა, ვიდრე კაცსა. სიტყვა ანგელოზი ბერძნულია და ქართულად ნიშნავს მოციქულს, მოამბეს ანუ მაუწყებელს. ასეთი სახელი იმიტომ ეწოდებათ უსხეულო სულებს, რომ ისინი ღვთისაგან იგზავნიებიან მისი ნების საუწყებლად. მაგალითად, ანგელოზებმა აუწყეს ქვეყანას მაცხოვრის შობა, მისი აღდგომა, მისი მეორედ მოსვლა. ანგელოზები ღმერთმა გააჩინა უწინარეს ხილულის ქვეყნისა; ეს იქიდან სჩანს, რომ მოთხრობაში ხილული ქვეყნის გაჩენაზე არ არის მოხსენებული ანგელოზთა გაჩენა, მაგრამ, სამოთხიდან ადამ და ევას განდევნის შემდეგ, ღმერთმა სამოთხის კარის მცველად დააყენა ქერუბიმი; მაშასადამე, ანგელოზები უკვე გაჩენილი ყოფილან უწინ. იობის წიგნშიც თვით უფალი ღმერთი ბრძანებს: „ოდეს შექმნულ იქმნენ ვარსკვლავნი, მაქებდეს მე ხმითა დიდითა ყოველნი ანგელოზნი ჩემნი.“ (იობი. 38,7). ამ სიტყვებიდან სჩანს, რომ ანგელოზები უკვე არსებობდნენ მეოთხე დღეს. მაგრამ, რადგანაც პირველს სამს დღეში მოსე არას ამბობს ანგელოზების გაჩენისას, უნდა ვიგულისხმოდეთ, რომ ანგელოზები შექმნილ არიან პირველ დღის წინად ანუ ხილული ქვეყნის გაჩენამდე.

სისრულით ანგელოზები განიყოფებიან ცხრა გუნდად - საყდარნი, ქერუბიმი, სერაფიმი, უფლებანი, ძალნი, ხელმწიფებანი, მთავრობანი, მთავარ-ანგელოზნი და ანგელოზნი. ეს სახელწოდებანი ანგელოზთა აღებულია საღმრთო წერილიდან, მაგრამ საღმრთო წერილი არ გვიხსნის ანგელოზების დამოკიდებულებას ამ გუნდთა შორის.

**მცველი ანგელოზები.** ეკლესია გვასწავლის, რომ თვითეულ ქრისტეანს ნათლის-ღების ჟამს ეძლევა მცველი ანგელოზი, რომელიც მუდამ მასთან არის, იცავს ბოროტისაგან და აყენებს კეთილს გზაზე. ეკლესიის ეს სწავლება დამყარებულია საღმრთო წერილზე: „ანგელოზთა თვისთა და უბრძანებიეს შენთვის დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა.“

(ფს. 90,14). ქრისტეც ბრძანებს: „ეკრძალენით, ნუ უკვე ვუნძე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი; გეტყვით თქვენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ჰხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ-არს ცათა შინა.“ (მათე, 18,10). რადგანაც ანგელოზები არიან უსხეულონი და ამიტომაც უხილავნი, კაცი ვერ ჰხედავს თავის მფარველ ანგელოზს, რომლის სასიკეთო გავლენაც სწარმოებს უხილავად, იმიტომ რომ მცველი ანგელოზი მოქმედებს ჩვენზე შთაგონებით და არა გარეგანი, მგრძნობელი ორგანოებით. ამიტომ ანგელოზისაგან შთაგონებული აზრები ჩვენად მიგვაჩნია. მხოლოდ სულიერის გამოცდილების უმაღლეს საფეხურზე კაცი გაარჩევს ხოლმე და გრძნობს მფარველი ანგელოზის მოქმედებას.

**ბოროტნი სულნი.** ანგელოზები ღმერთმა კეთილად შექმნა, მაგრამ შემდეგ ზოგიერთი მათგანი განშორდა ღმერთს. ანგელოზთა დაცემის მიზეზად საღმრთო წერილი ასახელებს ამპარტავნებას; ზოგმა მათგანმა მოინდომა დამოუკიდებლობა ღვთისაგან და ამისათვის განდევნილ იქმნენ. იუდა მოციქულის სიტყვით, ესენი არიან ანგელოზნი, „რომელთაც არა დაიმარხეს თავისი იგი სამთავრო, არამედ დაუტევეს სამკვიდრებელი მათი.“ (იუდა, 6). ბოროტ ანგელოზებს უწოდებენ ეშმაკებს, რადგანაც ისინი ცდილობენ ავნონ კაცს, აცდუნონ და ბოროტ გზაზე დააყენონ. იესო ქრისტე ეშმაკათვის ბრძანებს: „რამეთუ კაცის მკვლეელი იყო დასაბამიდგან და ჭეშმარიტებას არა დაადგრა, რამეთუ ჭეშმარიტება არა არს მისთანა, ოდეს იტყვიან ტყუილსა, თვისისაგან გულისა იტყვიან; რამეთუ მატყუარი არს და მამაცა მისი მატყუარი არს.“ (იოანე, 8,44). საღმრთო წერილისა და ეკლესიის სწავლებით, ბოროტნი სულნი ისე გაფიცხებულნი არიან ბოროტებით, რომ მათი მოქცევა შეუძლებელი-დაა.

## შექმნა ხილულის ქვეყნისა

უხილავი ქვეყნის შემდეგ, ღმერთმა გააჩინა ხილული ქვეყანა. სულ პირველად, ესე იგი როცა ჯერ არა იყო-რა, ღმერთმა შექმნა ცა და ქვეყანა. ეს იყო მასალა, რომლისაგანაც ღმერთმა შემდეგ, ექვსი დღის განმავლობაში, თანდათანობით გააჩინა ხილული ქვეყანა. პირველ დღეს ღმერთმა შექმნა ნათელი, მეორე დღეს - სამყარო, ანუ ხილული ცა, მესამე დღეს განჰყო ხმელეთი წყლისაგან და უბრძანა მიწას მცენარეებისა და ხეების აღმოცენება, მეოთხე დღეს გააჩინა ღმერთმა ორი მთავარი მნათობი და ვარსკვლავები, მეხუთე დღეს - თევზნი და ფრინველნი, მეექვსე დღეს - ოთხფეხა ცხოველები და შემდეგ - კაცი. მეშვიდე დღეს ღმერთმა განისვენა ყოველთაგან საქმეთა თვისთა; ამიტომ მეშვიდე დღეს იწოდება შაბათად, ანუ განსვენებად.

ამ წესით არის მოთხრობილი საღმრთო წერილში მოსესგან გაჩენა ხილული ქვეყნისა. ეს წესი ქვეყნის გაჩენისა სავსებით ეთანხმება ახლანდელი მეცნიერების დასკვნას ქვეყნის გაჩენის შესახებ. მოსე ცხადად ამბობს, დედა - მიწა მზეზე უძველესია, მზის გაჩენამდე დედამიწას ანათებდა განსაკუთრებული ნათელი და დედა - მიწა დაფარული იყო წყლით. სიცოცხლე ცხოველთა დაიწყო ოკეანეებში, დედა - მიწაზე ცხოველები შემდეგ გაჩნდნენ, ხოლო ყველა ცხოველის შემდეგ გაჩნდა კაცი. ასეთი განსაცვიფრებელი სწავლის წარმოთქმა დედა - მიწისა და ზედ ცხოველთა გაჩენის შესახებ ათას ხუთასი წლის წინათ ქრისტეს შობისა შეიძლება მხოლოდ ღვთის შთაგონებით.

**შექმნა კაცისა.** მეექვსე დღის დასასრულს ღმერთმა შექმნა კაცი. გაჩენა კაცისა განირჩევა ყველა სხვა ქმნილებათა გაჩენისაგან. ისინი ღმერთმა გააჩინა ერთი თავისი სიტყვით, კაცის გაჩენას კი წინ უძღვოდა ბჭობა, რომელზედაც ღმერთმა ბრძანა: ვქმნეთ კაცი ხატებისამებრ ჩვენისა და მზგავსებისა (დაბადება. 12,6). ეს სიტყვები გვანიშნებს უმაღლესს ღირსებას კაცისას. ღმერთმა შექმნა ხორცი პირველ კაცის ადამისა მიწისაგან, შთაბერა მას შინა

სამშენიველი ცხოვრებისა, ესე იგი სული უკვდავი, გონიერი, თავისუფალი და წმიდა; ყველა ამით კაცი მსგავსია, - თუმცა კი ძალიან სუსტად, - ღვთის სისრულისა. ხორცი კაცისა ღმერთმა შექმნა მიწისაგან, როგორც ხორცი ყველა სხვა ცხოველისა, სული კი შექმნილია ღვთის ყოვლადშემძლებელის ძალით, როგორც სრულიად ახალი ქმნილება, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ნივთიერ ქვეყანასთან.

ღმერთმა შეიყვანა ადამი მშენიერს სამოთხეში და დაადგინა უფლად ყველა ცხოველისა. საჭმელად ღმერთმა მისცა ყველა ნაყოფი სამოთხის ხეებისა და მათ შორის ნაყოფი ხისა ცხოვრებისა; ამ ხის ნაყოფი დაიცავდა კაცს სნეულებისა და სიკვდილისაგან. მაგრამ ღმერთმა აუკრძალა ადამს ჭამა ნაყოფისა ხისაგან ცნობისა კეთილისა და ბოროტისა მისთვის, რომ ღვთის მცნების ასრულებით განემტკიცებინა თვისი ნებისყოფა; შემდეგ, პირველი კაცის ძილის დროს, ღმერთმა გააჩინა ადამის გვერდისაგან ევა, პირველი დედაკაცი ქვეყანაზედ.

მოსე წინასწარმეტყველის მოთხრობა კაცის შექმნის შესახებ ღრმა აზროვანია; თანახმად ამ მოთხრობისა, კაცი ქვეყანაზედ განსაკუთრებული არსებაა, რომელსაც აქვს გონიერი, თავისუფალი და უკვდავი სული. კაცს რომ არ ჰქონდეს ეს უებრო სული, ვერ შექმნიდა ვერც მეცნიერებას, ვერც ხელოვნებას, და მით უმეტეს, ვერც სჯულს. არაფერი მსგავსი ამისი, ესე იგი მეცნიერებისა, სჯულისა, ხელოვნებისა არ აქვთ თვით უმაღლესი ჯიშის ცხოველებსაც კი, თუმცა რამდენისამე ათას წლობით სცხოვრობენ ქვეყანაზე კაცთან ერთად. ცხადია, რომ კაცის ბუნებაში არის რაღაცა იმისთანა, რაც სრულიად არ მოიპოვება ცხოველთა ბუნებაში, ესე იგი ღვთის მსგავსი სული.

## სისრულე ღვთისგან შექმნილ ქვეყნისა

ქვეყანა, შექმნილი ღვთისაგან, იყო შესაფერი იმ აზრისა, რომელიც დაუნიშნა შემოქმედმა ღმერთმა, ანუ სრული: ასეც უნდა ყოფილიყო, - ყოვლად სრულის შემოქმედის ქმნილება არ შეიძლება იყოს არა - სრული. საღმრთო წერილიც გვემოწმება ამაზე; თვით ღმერთმა სცნა მის მიერ შექმნილი ქვეყანა ფრიად კეთილად.

ღვთის სახიერებით გაჩენილ ქვეყანაზე არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ბოროტი; ბოროტი არ არის საქმე უწმიდესის ღვთის ხელისა. ცხადია, თუ ვხედავთ ქვეყნად ბევრს ბოროტებას, ვხედავთ ქმნილებათა ჭირ-ვარამს, ტანჯვას, სატკივარს, კაცთა უსჯულოებას, სიკვდილის ბატონობას, ეს ბოროტება არ გაჩენილა ერთად ქმნილებასთან, არ გაჩენილა მათის არსებიდან, არამედ გაჩნდა შემდეგში; მაშასადამე, ბოროტის მიზეზი არ არის თვით შემოქმედი სოფლისა - ღმერთი.

## ღირსება პირველ-ქმნილისა კაცისა

პირველი კაცი ღმერთმა შექმნა სრული ბუნებით. ამ ბუნებაში ჩრდილიც კი არ ყოფილა ცოდვისა. მაგრამ სისრულე პირველი კაცის ბუნებისა არ ნიშნავდა მის სულიერ - ზნეობრივ სისრულეს. კაცს საკუთარი თვით-მოქმედებით უნდა განევიტარებინა და განემტკიცებინა თავისი ძალა. ღვთის მსგავს უცოდველ ბუნებაში შთანერგილი ჰქონდა მხოლოდ ნიჭი თანდათანობით და დაუსრულებლად განვითარებისა.

პირველ ქმნილ კაცს არ ჰქონია ნაკლულევიანება ბავშვური ასაკისა. მისი ძალი იყო მტკიცე, საღი, შეუმწიკვლელი ცოდვით, მაგრამ მისთვის ჯერ კიდევ საჭირო იყო განვითარება. გონება მისი იყო ნათელი, უცხო ყოვლისაგან ცდომილებისა, ცრუ რწმენისა;

შეძლო ადვილად და მალე გაეგო დანიშნულება ყოველი საგნისა, როგორც გვაჩვენებს ცხოველების სახელის დარქმევა ადამისგან, მაგრამ ამ გონებას არა ჰქონდა სრული ცნობა ქემმარიტებისა; შეძლო გადაეხვია კიდევ მართალი გზიდან და ძლეულ ყოფილიყო გველისაგან. პირველ კაცთა ნების-ყოფას ჰქონდა სრული შეუზღუდველი თავისუფლება არჩევისა; მან არ იცოდა შინაგანი ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის; მომატებულად მიდრეკილება ჰქონდა კეთილისადმი, თუმცა კი არ ყოფილა შეურყეველი სიწმიდის მდგომარეობაში, და იყო შესაძლებლობა ბოროტისა. გული მისი იყო უმანკო და არაფრით ცოდვიანით არ ღელდებოდა - „იყვნენ ადამ და ევა შიშველ და არ ჰრცხვენოდათ.“ (დაბადება. 2,25). მის გულს შეძლო აღეზარდა სიყვარული ღვთისადმი, მაგრამ შეძლო ხის ნაყოფითაც მოხიბლულიყო. სხეული პირველი კაცისა თავისუფალი იყო ბავშვურ უძლურებისაგან, სნეულებისა და სიკვდილისაგან. არ ჰქონია არავითარი ნაკლოვანება - არც შინაგანი, არც გარეგანი. პირველ ქმნილთა არ იცოდნენ ხორციელი ვნება, მაგრამ მათი სხეულის ძალებს სჭირდებოდათ მუდმივი განმტკიცება და განახლება, მთელი სხეულისთვის საჭირო იყო სიცოცხლის შენახვა.

**დანიშნულება კაცისა.** კაცის დანიშნულება ის არის, რომ განავითაროს ღვთისაგან მონიჭებული ძალი და ნიჭი და, რამდენადაც შესაძლებელია შეზღუდული არსებისათვის, მიაღწიოს სისრულეს და ღვთის მსგავსებას, მიიღოს რამდენადაც შეიძლება, მეტი მონაწილეობა საუკუნო საღმრთო ნეტარებაში. სულ უკანასკნელი მისწრაფება კაცისა არის ღმერთი, ერთობა ანუ ცხოველი კავშირი ღმერთთან. როგორც ღვთის სახედ და მსგავსად შექმნილ არსებას, კაცს არ შეუძლია არ ეძიოს ერთობა ღმერთთან. იესო ქრისტეს მსახურება სულ იმაზე იყო მიმართული, რომ გაერღვია შუა კედელი, რომელიც ჰყოფდა კაცს ღვთისაგან და შეერთებინა კაცი ღმერთთან. მაგრამ კაცი შესდგება არა მარტო სულისაგან, არამედ ხორცისაგანაც. აქედან ცხადია, რომ თავის დანიშნულებას კაცმა უნდა მიაღწიოს მიწის და ქვეყნის დახმარებით. მართლაცა და, ხილული ქვეყანა შემოქმედის სიბრძნით ისეა მოწყობილი, რომ მშვენივრად ეხმარება კაცს, რათა თავის დანიშნულებას მიაღწიოს. ხილული ქვეყნის შეგნებული განხილვით კაცს შეუძლია განავითაროს თავისი ნიჭი, განამტკიცოს ნების-ყოფა, განავითაროს გრძნობა სიმშვენიერისა, ხოლო როგორც დიდი წიგნი, დაუცხრომელად მქადაგებელი ღვთის სისრულეთა, ხილული ქვეყანა ასწავლის კაცს სულის ამაღლებას ღვთისადმი, რომ ქვეყანამ არ დაუშალოს კაცს თვით უმაღლესი დანიშნულების მიღწევა, შემოქმედმა დაადგინა კაცი მეუფედ და უფლად ხილული ქვეყნისა.

ასეთია, საღმრთო წერილის სწავლებით, დანიშნულება კაცისა. ეს იყო დანიშნულება პირველ ქმნილი კაცისა; ასევეა დანიშნულება პირველ ქმნილი კაცისა. განირჩევინა მხოლოდ გზანი, ამ დანიშნულებამდე მიმყვანელი. შეცოდებამდე, გზა სისრულის მისაღწევად იყო ნათელი, უსნეულო; შეცოდების შემდეგ კი, კაცმა ამ დანიშნულებას უნდა მიაღწიოს ცოდვასთან ბრძოლის, სიკვდილის, ხრწნილებისა და აღდგომის გზით.

**განგებულება ღვთისა.** ღმერთმა, შექმნის შემდეგ, ქვეყანა არ დასტოვა ზრუნვის გარეშე. ღვთის ამ ზრუნვას ქვეყანაზე ეწოდება განგებულება ღვთისა. ღმერთი ზრუნავს ყველა მისი გაჩენილი საგნისთვის, განურჩევლად იმისა, დიდია ეს საგანი, თუ მცირე. ღმერთი ეხმარება კაცს ყოველსავე კეთილს საქმეში; ბოროტს ღმერთი ყოველთვის წარმართავს ხოლმე სასიკეთოდ, თუმცა ისე კი, რომ არ ზღუდავს ამით კაცის თავისუფლებას. საღმრთო წერილი ცხადად ბრძანებს ღვთის განგებულებისათვის: „მიხედეთ მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა ჰმკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა. და მამა თქვენი ზეცათა ჰზრდის მათ. არამედ უფროს თქვენ უმჯობეს ხართ მფრინველთა.“ (მათე, 6,26).



## მრწამსის მეორე წევრი

მრწამსის მეორე წევრი იკითხება ესე:

**და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხოლოდ შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.**

ეს მუხლი შეიცავს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას იესო ქრისტეს ღვთაებობის შესახებ. იესო ქრისტე არის ისეთივე ღმერთი, როგორც მამა და სული წმიდა; ესრედ სწამს წმიდა ეკლესიას. ეს რწმენა დაფუძნებულია საღმრთო წერილზე, წმ. მოციქული იოანე სწერს: „პირველიდგან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღვთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი.“ (იოანე, 1,1).

აქ "სიტყვად" იგულისხმება იესო ქრისტე და იგი იწოდება ღმერთად. იგივე მოციქული უწოდებს იესოს ძედ ღვთისად, მხოლოდ შობილად: „სიტყვა იგი ხორციელ იქმნა, და დაემკვიდრა ჩვენ შორის და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება, ვითარცა მხოლოდ-შობილისა მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა.“ (იოანე. 1,14). გარდა ამისა, საღმრთო წერილში იესო ქრისტეს ეწოდება ღმერთი ჭეშმარიტი, დიდი ღმერთი, ღმერთი კურთხეული, უფალი და ღმერთი; მას მიეწერება ღვთის თვისებანი და მოქმედებანი, მაგალითად, საუკუნოობა, ყოვლად შემძლებლობა, ყოვლად მეცნიერება, შექმნა ხილულ და უხილავ ქვეყნისა, განგებულება და სხვა. აქედან სჩანს ცხადად, რომ საღმრთო წერილი სთვლის იესო ქრისტეს ჭეშმარიტ ღმერთად, როგორც მამა ღმერთს.

თვით იესო ქრისტე ცხადად ბრძანებდა თავის ღვთაებობისათვის. ცხოვართა საბანელთან განრღვეულის განკურნების გამო, ურიებმა დაიწყეს დრტვინვა, რადგანაც განკურნება მოხდა შაბათს და მოისურვეს მისი მოკვლა, მაგრამ იესომ უბრძანა: „მამა ჩემი მოაქამომდე იქმს და მეცა ვიქმ;“ ამითი მან გამოაცხადა თავისი თანასწორობა ღმერთთან და ხელმწიფება (უფლება) იმისვე ქმნისა, რასაც იქმს მამა; ამის გამო ურიები უფრო გაფიცდნენ და უმეტესად უნდოდათ იესოს მოკვლა, რადგანაც, გარდა შაბათის დარღვევისა, ღვთის ძეც უწოდა თავის თავს. მაშინ იესომ ვრცელი საუბრით დაუმტკიცა ურიებს, თანასწორი ვარ მამა ღვთისაო. იმავე საუბარში აჩვენა ურიებს სხვა მოწმობანიც თავის ღვთაებობისა, მაგალითად, იოანე ნათლისმცემლის მოწმობა, სხვა სასწაულები, მამა ღმერთის მოწმობა ნათლისღების დროს, საზოგადოდ ძველი აღთქმის საღმრთო წერილი, რომელიც ამტკიცებს მის ღვთაებობას. სიკვდილის წინაც, ურიათა მღვდელთმთავრის და მოხუცებულების მთავარმა ჰკითხა: „უკეთუ შენ ხარ ძე ღვთისა? - იესომ მიუგო: შენ სთქუ,“ ესე იგი შენმა პირმა აღიარა, რომ მე ვარ ძე ღვთისაო. ამრიგად მოწმობდა თავის ღვთაებობას იესო ქრისტე. სიმაღლე და ღირსება მისი მოძღვრებისა ამტკიცებს, რომ მისი ღვთაებობის შესახებ სწავლებაც სრული ჭეშმარიტებაა. არ შეიძლება, ვიფიქროთ რომ სცდებოდა, თავს იტყუებდა, ან სხვას ატყუებდა, - „მან ცოდვა არ ჰქმნა, არცა იპოვა ზაკვა პირთა მისსა.“ (1-პეტრე. 2,23). გარდა ამისა, თავის მოწმობის ჭეშმარიტება და სინამდვილე მან დაამტკიცა თავისი საქმეებით (სასწაულებით) და სისხლით. იესო ქრისტეს ღვთაებობას და მამა ღმერთთან ერთარსებობას სულაც არ ეწინააღმდეგება საღმრთო წერილის სიტყვები, რომლითაც ქრისტე თავის თავს მამა ღმერთზე უმცირესად სთვლის, მაგალითად, „მამა ჩემი უფროს ჩემსა არს.“ (იოანე. 14,28), რადგანაც აქ იგულისხმება არა ღვთაებრივი, არამედ კაცური კერძობა, კაცური ბუნება იესოს არსებისა. იესო, როგორც ღმერთი, თანასწორია მამისა ყოვლით, ხოლო როგორც კაცი უმცროსია მამაზედ - მორჩილი მისი.

სახელი იესო ნიშნავს **მაცხოვარს**, მხსნელს; ეს სახელი უწოდა მთავარანგელოზმა გაბრიელმა, როცა ახარა ყოვლადწმიდა ქალწულს მარიამს, მისგან შობა ღვთის ძისა, რადგანაც ის იშვა იმისთვის, რომ გამოიხსნას კაცნი ცოდვისაგან და საუკუნო წარწყმედისაგან. სახელი ქრისტე ნიშნავს **ცხებულს**. ქრისტეებს უწოდებდნენ ძველს აღთქმაში იმათ, ვისაც მსახურებად დადგენის დროს სცხებდნენ მირონს; მაგალითად, მეფეებს, მღვდელთ-მთავრებს და წინასწარმეტყველებს; მირონის ცხებით ეძლეოდათ განსაკუთრებული ნიჭი სულისა წმიდისა. თუმცა იესოსთვის მირონი არ უცხიათ, მაგრამ შობის ჟამს უზომოდ მიეცა ყოველივე ნიჭი სულისა წმიდისა. ასე რომ უზენაესი სისრულით ეკუთვნის ცნობა წინასწარმეტყველისა, სიწმიდე მღვდელთ-მთავრისა და ძლიერება მეფისა. იესო ქრისტე მსახურებდა ქვეყანაზე და გამოიხსნა კაცობრიობა წყევლისაგან, როგორც წინასწარმეტყველმა, მღვდელთ-მთავარმა და მეფემ.

როგორც წინასწარმეტყველმა, მან გაანათლა კაცობრიობა ჭეშმარიტი ღვთის მეცნიერების ნათლით, მისცა ახალი, დაუსრულებელი კანონი სარწმუნოებისა და სიყვარულისა; იწინასწარმეტყველა თავისი სიკვდილი და აღდგომა მკვდრეთით, აგრეთვე მომავალი თავგადასავალი მთელი ქვეყნისა.

როგორც მღვდელთ-მთავარმა, მან შესწირა თავი თავისი ღმერთს მსხვერპლად კაცთა ცოდვისათვის. მოვიდა ქვეყნად იმისთვის, რომ ემსახუროს კაცთა და არა იმსახუროს ვინმე. როგორც ძლიერმა მეფემ, იესომ ქმნა ბევრი სასწაული, აღადგინა მკვდარნი, დაამხო ძალი ჯოჯოხეთისა, აღსდგა მკვდრეთით და დიდებით დაჯდა ღვთის მარჯვენით, ეხლაც უფლებს მთელს ქვეყანაზე.

იესო ქრისტე არის ძე ღვთისა **მხოლოდ-შობილი**; ამ სახელით აღინიშნება ის, რომ ქრისტე არის ერთადერთი ძე ღვთისა, შობილი მამა ღვთის არსებიდან, ძე ბუნებითი და არ არის არავინ მსგავსი ძე. ამით ის აღემატება ანგელოზებს და წმიდა კაცებს, რომლებიც ხანდახან საღმრთო წერილში იწოდებიან ღვთის ძეებად, იესოს წყალობით და მადლით. იესოს წოდება მხოლოდ-შობილად აღებულია საღმრთო წერილიდან. იოანე მახარებელი სწერს: „სიტყვა იგი ხორციელ იქმნა და დამკვიდრდა ჩვენ შორის, და ვიხილეთ დიდება მისი. დიდება, ვითარცა მხოლოდ შობილისა მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა. ღმერთი არავინ სადა იხილა, მხოლოდ-შობილმან, რომელი იყო წიაღთა მამისათა მან გამოსთქვა.“ (იოანე, 1, 14-18). თვით იესო ქრისტე უწოდებს თავის თავს მხოლოდ შობილ ძეს: „ესრეთ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თავისი მხოლოდ-შობილი მისცა მას.“ (3,16).

მრწამსის სიტყვებით - **მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა** - ნაჩვენებია პიროვნული თვისება იესო ქრისტესი, - წინა საუკუნეთა შობა მამისაგან, - რომლითაც იგი განირჩევა სამების სხვა პირებისაგან. იესო შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ესე იგი უწინარეს დროისა; ძე ღვთისა იესო ქრისტე საუკუნოა, როგორც მამა ღმერთი და სული წმიდა. ამ სიტყვებით უარყოფილია არიოზის ცრუ მოძღვრება, რომელიც ამბობდა, რომ იყო დრო, როცა ძე ღვთისა არ ყოფილაო, და რომ ის არის ქმნილებათ. ამავე ცრუ მოძღვრების უარსაყოფელად არის მრწამსში სიტყვები: - **შობილი და არა ქმნილი**.

თვით სახე იესოს წინა საუკუნეთა შობისა მიუწოდომელია ჩვენი გონებისათვის; მრწამსის სიტყვებით: **ნათელი ნათლისაგან** რამდენადმე გამოხატულია მსგავსება ქრისტეს წინა საუკუნეთა შობისა მამა ღვთისაგან. როგორც მზე და მისგან გამომავალი ნათელი წარმოუდგენელია უერთმანეთოდ, როგორც ისინი არიან ერთის ბუნებისანი და განუყოფელნი ერთმანეთისაგან, საცა მზეა, იქ სინათლეცაა, - ისე მამა ღმერთი, რომელიც არის

**ნათელი** (1-იოანე. 1,5) და ძე მისი იესო ქრისტე **ნათელი** (იოანე 1,9) ერთნი არიან არსებით, განუყოფელნი ურთიერთისაგან და აქვთ ერთნაირი ღვთიური თვისებანი.

მრწამსის სიტყვებით **ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა** გამოიხატება ის აზრი, რომ იესო ქრისტეს ეწოდება ძე ღვთისა იმავე აზრით, როგორც მამა ღმერთს და ის ისეთივე ჭეშმარიტი ღმერთია, როგორც მამა. ეს სიტყვები აღებულია საღმრთო წერილიდან: „ვიცი, რამეთუ ძე ღვთისა მოვიდა და მომცა ჩვენ გონებაი, რათა ვიცოდეთ ჩვენ ჭეშმარიტი ღმერთი და ვართ ჩვენ ჭეშმარიტისა თანა ძისა მამისა იესო ქრისტესა, ესე არს ჭეშმარიტი ღმერთი და ცხოვრება საუკუნო.“ (1-იოანე. 5,21).

სიტყვები: **ერთარსი მამისა** - იმასა ნიშნავს, რომ იესო ქრისტე, როგორც მქონე ღვთის ყველა თვისებათა და როგორც შობილი მამა ღვთის არსებიდან, არის თანაარსი ანუ არსით ერთი მისი, ესე იგი ერთი არსებისა მამა ღმერთთან. თვით იესო ბრძანებს ამისათვის: „ძე და მამა ჩემი ერთ ვართ.“ (იოანე, 10,30).

იესო ქრისტე არის **შემოქმედი** ქვეყანისა ისევე, როგორც მამა და სული წმიდა ღმერთი; მან შექმნა ქვეყანა თავისი საკუთარი ძალით. „ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვინიერ მისსა არცა რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა.“ (იოანე, 1,3).

### **მრწამსის მესამე წევრი**

მრწამსის მესამე წევრი იკითხება ესე:

**რომელი ჩვენთვის, კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზევით და ხორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.**

ეს მუხლი შეიცავს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას იესოს განხორციელებაზე. მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს, რომ იესო ქრისტე, წმიდა სამების მეორე პირი, რომელიც წინა საუკუნეთა იშვა მამისაგან, გარდმოვიდა ზევით და ქვეყნად, მიიღო კაცური სული და ხორცი მარიამ ქალწულისაგან წმ. სულის მოქმედებით, ცხოვრობდა კაცთა შორის, მაგრამ იმავე დროს ღმერთიც იყო. საღმრთო წერილი ამის შესახებ ბრძანებს: „არავინ აღჰხდა ზევად, გარნა რომელი იგი გარდამოჰხდა ზევით, ძე კაცისა, რომელი არს ზევათა შინა.“ (იოანე. 3,13). როგორ მოხდა ქვეყნად მოსვლა ღვთის ძისა, ამას მოგვითხრობენ მოციქულები მათე და ლუკა. რომის იმპერატორის ავგუსტუსის დროს გალილეის ქალაქს ნაზარეთში ცხოვრობდა ასული კეთილმსახურთა მშობელთა იოაკიმ და ანნასი, დავით მეფის ტომისა, რომელიც მიზარებული იყო მოხუც იოსებისადმი; იოსები უნდა ყოფილიყო მისი მფარველი და მცველი; ხალხში კი მის ქმრად ითვლებოდა. ერთხელ მარიამს გამოეცხადა გაბრიელ მთავარანგელოზი და აუწყა, რომ მისგან იშვება მესია - მაცხოვარი, რომელსაც მოელის მთელი ერი ებრაელთა. წმიდა ქალწულის გაკვირვების გამო, - როგორ მოხდება ეს, რომ ქმარი არა მყავსო, მთავარანგელოზმა მიუგო, - ეს მოხდება სულის წმიდის მოქმედებით. მარიამმა სიმდაბლით უპასუხა: „აჰა, მხევალი უფლისა, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა.“ (ლუკა. 1,38) შემდეგ, როცა მოვიდა დრო ყრმის შობისა, მარიამს და იოსებს მოუხდათ ყოფნა ბეთლემში, იუდას ტომის ქალაქში და აქ, ქალაქთან ახლოს, გამოქვაბულში წმიდა ქალწულმა შვა მაცხოვარი სოფლისა, შეახვია და დასდვა ბაგაზე. ესეთ სიღარიბეში და უკიდურესი შეურაცხყოფით მოვიდა ქვეყნად ღმერთი ხორციითა და გვიჩვენა მაგალითი უდიდებულესი სიმდაბლისა.

**შეცოდება ადამ და ევასი.** ჩვენი წინაპარნი - ადამ და ევა - ღმერთმა დაასახლა სამოთხეში. თვით ღმერთი ეცხადებოდა მათ და ასწავლიდა სჯულს, როგორც მამა შვილებს. მათი ნებისყოფის განსამტკიცებლად სჯულის მორჩილებასა და კეთილ საქმეში, ღმერთმა

ამცნო, არ ეჭამათ ნაყოფი ხისგან "ცნობისა კეთილისა და ბოროტისა", და უთხრა ამასთანავე, შესჭამდნენ თუ არა მის ნაყოფს, სიკვდილით მოკვდებოდნენ. (დაბ, 2,17). რადგანაც ადამ და ევას ჰქონდათ ღვთისაგან მინიჭებული თავისუფალი ნება, ამ მცნების შესრულებით უნდა დაემტკიცებინათ სიყვარული და მორჩილება ღვთისა; მაგრამ ამის მაგივრად, ბოროტად მოიხმარეს თავისუფლება, შემოქმედისაგან მოცემული, და დაარღვიეს მცნება ღვთისა აკრძალული ხის ნაყოფის ჭამით. ეს ნაყოფი თავის თავად არ იყო სასიკვდილნი, მაგრამ მისი ჭამით გამოიხატა ურჩება ღვთისა.

სჭამეს თუ არა ადამ და ევამ ნაყოფი ხისა "ცნობისა კეთილისა და ბოროტისა," მაშინვე იგრძნეს სირცხვილი და შეეშინდათ ღვთისა. აქედან სჩანს, რომ მათი დამოკიდებულება ღმერთთან შეიცვალა; წინათ უყვარდათ ღმერთი და ენდობოდნენ, ახლა კი შეეშინდათ, ღმერთში დაინახეს არა მოსიყვარულე მამა, არამედ მრისხანე მსაჯული. ცოდვა შეიქმნა შუა კედლად მათსა და ღმერთს შორის. როგორც სინათლისაგან დაშორებული ბნელში ვარდება, ისე ღვთისაგან დაშორებული კაცი დაშორდა დიდს კედელს და სისრულეს და დაადგა სიკვდილისა და გახრწნის დამლუპველ გზას. გონება პირველ კაცთა, შეცოდების შემდეგ, დაბნელდა, ასე რომ მოინდომეს ყველგან მყოფის ღვთისაგან დამალვა; მათი ნებისყოფა დასუსტდა და კაცი შეიქმნა ცოდვის მონა; ხორციელი გრძნობა გაბატონდა სულიერ გრძნობაზე. კაცის სულიერ ბუნების წარყვანას მოჰყვა სულიერის წარყვანაც, გაჩნდა სნეულება და სიკვდილი. კაცის უფლება პირუტყვეებზე შემცირდა და შესუსტდა: ბევრი მათგანი კაცის მტრად გარდაიქცა. დასასრულ ყველა ამისა, კაცი განდევნილ იქმნა სამოთხიდან. ამ რიგად შესცოდეს ღმერთს ადამმა და ევამ. მათი ცოდვა იყო ურჩობა ღვთისა, გარდასვლა მისი ბრძანებისაგან.

როგორც მთელი კაცობრიობის წინაპართა, ადამმა და ევამ გადასცეს კაცობრიობას ისეთივე ბუნება, როგორც ჰქონდათ შეცოდების შემდეგ, ესე იგი წარყვნილი და დაცემული. მათი ცოდვა გადადის ყველაზე. პავლე მოციქული ბრძანებს: „ერთისა მის კაცისათვის ცოდვა სოფლად შემოჰხდა, და ცოდვისა ძალით - სიკვდილი: ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკვდილი მოიწია, რამეთუ ყოველთა შესცოდეს.“ (რომ. 5,12). ამ ცოდვას, რომელიც პირველ კაცის მიერ შემოვიდა ქვეყანაზე და შეიქმნა მიზეზად კაცთა სიკვდილისა, ეწოდება ცოდვა პირველი ანუ ცოდვა წინაპართა. ამ პირველ ანუ წინაპართა ცოდვად იგულისხმება ადამ და ევამში, როგორც თვით ცოდვა, აგრეთვე მათი ბუნების ცოდვითი მდგომარეობაც, რომელშიაც შევიდნენ ამ ცოდვის გამო. ჩვენში კი, მათ შთამომავლობაში, პირველ ანუ წინაპართა ცოდვად იგულისხმება მხოლოდ ცოდვითი მდგომარეობა ჩვენი ბუნებისა, რომლითაც და რომელშიაც ვიბადებით.

მაგრამ ადამ და ევას დაცემა არ იყო საბოლოო და სრული, როგორც არის მაგალითად დაცემა ბოროტ სულთა. ხატება ღვთისა კაცში ცოდვის გამო მხოლოდ დაიჩრდილა, წაიბილწა, მაგრამ სრულად არ მოსპობილა, არ დაკარგულა. კაცში დარჩა მისწრაფება კეთილისა და ჭეშმარიტებისა, დარჩა ამის მისაღწევი ძალაც, თუმცა კი ძალიან სუსტი, არა სრული; დარჩა კაცშიც სვინიდიციც, რომელიც ამხელს ბოროტს და აქეზებს კეთილისადმი. და აი, ამიტომ არის, რომ ვხედავთ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კეთილისა და ბოროტის შეურიგებელ ბრძოლას კაცის სულში; მაგრამ კაცი სუსტია და უძლური ამ ცოდვასთან ბრძოლაში; ამიტომ ღმერთმა აღუთქვა კაცს მაცხოვრის, გამომხსნელის მოვლინება.

**აღთქმა მაცხოვრისა; კაცობრიობის მოშინალება მაცხოვრის მისაღებად.** ადამ და ევამ, შეცოდების შემდეგ, მიიღეს ღვთისაგან შემდეგი აღთქმა: „თესლი დედაკაცისა დასთრგუნავს თავსა გველისასა.“ (დაბადება. 3,5). ეს აღთქმა იმას ნიშნავს, რომ გამოსჩნდება შთამომავალი დედაკაცისა, რომელიც სძლევს ეშმაკს და მოსპობს იმ ბოროტებას, რაც ამ ბოროტმა სულმა,

გველის დახმარებით, შემოიტანა ქვეყანაზე. ეს აღთქმა ადამმა და ევამ მიიღეს მალე, შემდგომ შეცოდებისა, მაგრამ თვით აღსრულება ამ აღთქმისა გვიან მოჰხდა. ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ კაცობრიობას შეეგნო თავისი უძლურება ცხოვნების საქმეში და საჭიროება უმაღლესი ღვთის შეწევნისა და მიეღო ეს შეწევნა, როცა მოვიდოდა.

ღმერთს არ დაუტოვებია კაცობრიობა, ზრუნავდა მისთვის და ამზადებდა აღთქმული მაცხოვრის მისაღებად. მოავლინა კაცები, რომლებიც უარჰყოფდნენ წარმართულ მრავალ-ღმერთობას, ასწავლიდნენ სინდისის ბრძანებით ცხოვრებას და უხილავი ღვთის თავყვანისცემას. მაგრამ განსაკუთრებით ამზადებდა ღმერთი მაცხოვრის მისაღებად ებრაელთა ერს, რომლიდანაც უნდა გამოსულიყო მესია. ღმერთმა მრავალგზის განუმეორა ებრაელებს აღთქმა მესისისა; აბრაამს უთხრა: „იკურთხეოდინ თესლისა მიმართ შენისა ყოველნი ნათესავნი ქვეყნისანი.“ (დაბადება. 27,18). დავით მეფეს უბრძანა: „აღვადგინო თესლი შემდგომად შენსა, და განვმართო საყდარი მისი უკუნისამდე.“ (2-მეფეთა, 7,12-13). ამ სიტყვებს ის აზრი აქვთ, რომ ქრისტე, რომელიც უნდა დაიბადოს ქალწულისაგან, იქნება შთამომავალი აბრაამისა და დავითისა და ის მისცემს ყველა ერს ღვთის კურთხევას და საუკუნოდ იუფლებს.

ბევრი შემთხვევა ებრაელთა ისტორიიდან მოასწავებდა იესოს ცხოვრების და მსახურების სხვადასხვა კერძობას. მაგალითად, ისააკის მსხვერპლად შეწირვა მოასწავებდა, რომ ღმერთი ერთადერთ თავის ძეს გამოგზავნიდა მსხვერპლად სოფლისა; კიბე, რომელიც იაკობ მამათმთავარმა იხილა სიზმარში, მოასწავებდა ყოვლადწმიდა მარიამ ქალწულს, რომლისაგანაც იშვა იესო ქრისტე; ისტორია იოსებისა, რომელიც გაჰყიდეს ძმებმა მონად ეგვიპტეში, რომელიც შემდეგ იდიდა და შეიქმნა კეთილისმყოფელი თავის ძმებისა და ებრაელთა მთელის ერისა, იყო მომასწავებელი იესოს ცხოვრებისა, ვნებისა და დიდებისა; ტარიგი, რომელსაც ურიები ჰკლავდნენ პასეჟში და სჭამდნენ მოსაგონებლად ეგვიპტის მონობიდან გამოხსნისა, მოასწავებდა იესოს ჯვარცმას, რომლითაც გამოიხსნა კაცობრიობა წყევლისაგან; გველი რვალისა, რომელიც მოსემ უდაბნოში დაჰკიდა ძელზე, მოასწავებდა იესოს ჯვარზე სიკვდილს; სამი დღით ყოფნა იონა წინასწარმეტყველისა ვეშაპის მუცელში, და მერე გამოსვლა მისგან, მოასწავებდა სამის დღის დაფლვას და მკვდრეთით აღდგომას მაცხოვრისას. სჯული, მოცემული მოსესაგან, იყო მომასწავებელი მომავალი მესიის სასუფეველისა, პირდაპირ აზრად ჰქონდა მომზადება ურიათა ქრისტეს მისაღებად; ამიტომაც პავლე მოციქული უწოდებს მას მზარდულად ქრისტეს მიმართ (გალ. 3,25-26). დასასრულ, ღმერთმა მოუვლინა ებრაელებს წინასწარმეტყველნი, რომელნიც უჩვენებდნენ ხალხს მომავალი მესიის ნიშნებს; ამ ნიშნებით ხალხს უნდა ეცნო იესო ქრისტე. ისაიამ იწინასწარმეტყველა იესოს შობა ქალწულისაგან: „აჰა, ქალწული მიუდგეს და ჰმეცს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ, რომელ არს თარგმანებით: ჩვენ-თანა ღმერთი.“ (ესაია. 7,14). მიქიამ წინასწარ სთქვა ქრისტეს დაბადება ბეთლემში, მალაქიამ, იერუსალიმში მეორე ტაძრის აშენების შემდეგ, იწინასწარმეტყველა, რომ მოახლოებულია მოსვლა მაცხოვრისა, და რომ მაცხოვარი მოვა ამ ტაძარშიო; რომ მაცხოვრის მოსვლის წინ მოვა წინამორბედი, მსგავსი ილია წინასწარმეტყველისაო. ზაქარია წინასწარ სთქვა მაცხოვრის დიდებით შესვლა იერუსალიმში; დავით წინასწარმეტყველმა ისეთი სიცხადით დახატა მაცხოვრის ვნება ჯვარზე, თითქოს იქ მდგარიყო და დასწრებიყოს ჯვარცმას. ასეთსავე სიცხადით აღწერა მაცხოვრის ჯვარცმა ისაია წინასწარმეტყველმა. დანიელ წინასწარმეტყველმა სთქვა, მაცხოვარი მოვა სოფლად სამოცდა ათის შვიდეულის გავლის შემდეგ, ანუ ოთხას ოთხმოცდა ათის წლის შემდეგ ბაბილონის ტყვეობის გათავებიდანო; აგრეთვე წინასწარ სთქვა ჯვარზე სიკვდილი მაცხოვრისა, მას შემდეგ იერუსალიმისა და მისი ტაძრის დარღვევა და შეწყვეტა

ძველი აღთქმის მსხვერპლთა. დავით მეფემვე იწინასწარმეტყველა მაცხოვრის ჯოჯოხეთად შთასვლა, მკვდრეთით აღდგომა, ამაღლება, და მარჯვენით მამისა დაჯდომა.

ბევრი სხვა შემთხვევაც იესოს ცხოვრებისა წინასწარ სთქვეს წინასწარმეტყველებმა, მაგალითად, მოგვთა თაყვანისცემა, იორდანეში ნათლისღება, გალილეიდან ქადაგების დაწყება, სასწაულთა ქმნა და მოციქულისაგან გაცემა.

**განხორციელება იესო ქრისტესი; შეერთება მასში ორი ბუნებისა.** როდესაც დადგა ღვთისგან დანიშნული დრო, აღსრულდა დიდი საიდუმლო - „ღმერთი გამოსჩნდა ხორციტ.“ (1-ტიმ. 3,16), ანუ განხორციელდა. მრწამსში ამის შესახებ ნათქვამია: ხორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცნა. განხორციელება იმას ნიშნავს, რომ ღვთის ძემ მიიღო ხორცი კაცური, გარდა ცოდვისა, იქმნა კაცად, მაგრამ იმავე დროს ღმერთიც იყო. იოანე მახარობელი ამბობს: „სიტყვა ხორციელ იქმნა,“ (იოანე. 1,14) ესე იგი ხორციელ იქმნა მხოლოდ-შობილი ძე ღვთისა. მაგრამ ძე ღვთისა, იესო ქრისტე არა მარტო განხორციელდა, არამედ განკაცდა კიდევ, ესე იგი მიიღო არა მარტო ხორცი კაცური, არამედ სულიც და გახდა სრული კაცი; ამიტომ მრწამსში ნათქვამია: განკაცნა; პავლე მოციქული ბრძანებს: „ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუამდგომელი ღმრთისა და კაცთა, კაცი იესო ქრისტე.“ (1-ტიმ. 2,5).

რა სახით არის შეერთებული იესო ქრისტეში ორი ბუნება - ღვთიური და კაცური, - ამის შესახებ საღმრთო წერილის საფუძველზე შედგენილია დოგმატური განჩინება მესამე, მეოთხე და მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებათაგან. მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ (ეფესოში 431წ.) უარჰყო ცრუ მოძღვრება ნესტორისა, რომელიც ასწავლიდა, იესო ქრისტე იშვა უბრალო კაცად, ხოლო ძემ ღვთისამ დაიმკვიდრა მასში, როგორც ტაძარში, ესე იგი შეერთდა მასთან მხოლოდ ზნეობრივად და არა გვამოვნებით. ამ ცრუ მოძღვრების საწინააღმდეგოდ კრებამ დაადგინა, აღიარონ ქრისტეში გვამოვნებითი შეერთება ღვთაებობისა და კაცობისა, ესე იგი შეერთება ორი ბუნებისა ერთ პიროვნებაში. მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებამ (ქალკედონში 451წ.) უარჰყო ცრუ მოძღვრება ევტიქისა, რომელიც იესო ქრისტეში ურევდა ორ ბუნებას ისე, თითქოს ღვთაებას სულ შთაენთქას კაცობა. ამ ცრუ მოძღვრების უარსაყოფელად კრებამ განაჩინა, აღიაროს ქრისტეში შეერთება ორთა ბუნებათა განუყოფელად, განუყრელად, შეურევნელად, უქცეველად. განუყოფელად, ესე იგი ორი ბუნება, შეერთებული ქრისტეში, არ შეადგენს ცალკე არსებულ პიროვნებას, არამედ ორივე ბუნება შეერთებულია ერთ გვამოვნებად; განუყრელად, ესე იგი შეერთება ორი ბუნებისა, დაწყებული ღვთის სიტყვის განხორციელების პირველ წამიდანვე, გაგრძელდა და გრძელდება მარადის; კაცობა იესოში არასოდეს არ ყოფილა განსაკუთრებულ პიროვნებად, არამედ მიღებულ იყო მისი ღვთაებობის პიროვნების ერთობაში ერთ გვამოვნებად; შეურევნელად, ესე იგი ორი ბუნება იესო ქრისტეში არ შერეულა ერთმანეთში ისე, რომ მათგან შემდგარიყო მესამე ბუნება, არამედ ორივე ბუნება იმყოფება მასში, როგორც ორი სხვადასხვანაირი ბუნება; უქცეველად, ესე იგი ღვთის ძისაგან კაცური ბუნების მიღებით არ შეცვლილა არც ღვთაებრივი და არც კაცური ბუნება - არც ღვთაებრივი ბუნება ქცეულა კაცურად, არც კაცური ღვთაებრივად; თითოეული ბუნება, შეერთების შემდეგაც, დარჩა უცვალეზლად და მთელად. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებამ (680წ.) უარჰყო ცრუ მოძღვრება ერთ-ნებისყოფიანთა, რომელნიც ქრისტეში ჰსცნობდნენ მხოლოდ ერთ ნების-ყოფას. კრებამ აღიარა ქრისტეში ორი ნების-ყოფა, არა მოწინააღმდეგე ერთი მეორისა, არამედ კაცური ნებისყოფა იესოსი იყო დამორჩილებული მის ღვთაებრივ ნების-ყოფას.

იესო ქრისტეში ღვთაებას ეკუთვნის სასწაულები და საზოგადოდ ყოველივე ის, რაც კი აღემატება კაცურ ბუნებას; კაცებას კიდევ ეკუთვნის მწუხარება, ვნება და ყოველივე, რაც

შესაფერია კაცის ბუნებისა, გარდა ცოდვისა. იესო არის ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტივე კაცი, ანუ, ერთი სიტყვით, ღმერთ-კაცი.

**პიროვნება იესო ქრისტესი.** ზნეობრივი და გონებრივი თვისებანი იესო ქრისტესი უეჭველად და უცილობლად გვაჩვენებს მის ღვთაებრივ პიროვნებას.

სიბრძნე მისი იყო არაჩვეულებრივი და არაკაცობრივი. ეს სიბრძნე იესოს არსად არ უსწავლია; მისი სიბრძნე აღემატებოდა ყოველ კაცთა სიბრძნეს; იესო იყო გულთამხილავი, იცოდა კაცის დაფარული ზრახვაც კი, ცხადად წინასწარ სცნობდა მომავალს. ყოველივე ეს ისეთი ცოდნაა, რომელიც შეეფერება მხოლოდ ღმერთს.

ზნეობრივად იესო არის უსრულესი მაგალითი და ხატი ყველა სათნოებათა. მან პირველმა აღასრულა ის, რასაც ჰქადაგებდა და სახარების მაღალი ზნეობრივი სწავლა უფრო მაღლდება მისი საკუთარი მაგალითით, მისი სრული უპოვარება, ღრმა სიმდაბლე, განმაცვიფრებელი სიმშვიდე, მოთმინება, სიკვდილი ტანჯვით და შეურაცხყოფით - ეს ისეთი თვისებანია, რომელთა მსგავსი არ იცის კაცობრიობის ისტორიამ. ყველაზე მაღლა კი დგას მისი სიყვარული. „გარდამოვხედ ზევით“ - ამბობს იესო, - „არა რათა ვყო ნება ჩემი, არამედ ნება მომავლინებელისა ჩემისა.“ (იოანე, 6,38), - „რათა სცნას სოფელმან, რამეთუ მიყვარს მე მამა და, ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრეთცა ვჰყო.“ (იოანე. 14,31). „ამისთვის მან დაიმდაბლა თავი თვისი და იქმნა იგი მორჩილ, ვიდრე სიკვდილამდე, და სიკვდილითა მათ ჯვარისათა.“ (ფილიპ. 2,8). რაც შეეხება მის სიყვარულს კაცთადმი, ეს გამოხატა ჯვარზე სიკვდილით, რომელიც მიიღო მხოლოდ კაცთა საცხოვნებლად: უსასტიკესის ტანჯვის ჟამს ღოგულობდა მტერთათვის. ამასთანავე იესო შორს იყო სულ მცირე ნაკლოვანებებისაგანაც კი. მისთა მოციქულთა მოწმობით, „მან ცოდვა არა ჰქმნა, არცა იპოვა ზაკვა პირსა მისსა.“ (1-პეტრე, 2,23); მისმა უბოროტესმა მტრებმაც კი ვერაფერი სამხილებელი ვერ უპოვეს. პილატემ, რომელმაც დაკვირვებით გამოიკვლია ყველა ბრალდება იესოს წინააღმდეგ, გულახდილად უთხრა მღვდელთ-მთავრებს: „არა რასა ბრალსა ვჰპოვებ კაცისა ამისა თანა.“ (ლუკა. 23,4), „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა.“ (მათე, 27,24). ქვეყნად მოსული და განხორციელებული იესო ბევრმა მაშინდელმა იცნა აღთქმულ მაცხოვრად და მხსნელად. ბეთლემელმა მწყემსებმა გაიგეს მისი შობა ანგელოზთაგან, რომლებმაც უთხრეს, დავითის ქალაქში იშვა მაცხოვარიო; მოგვებმა იცნეს იესო ვარსკვლავით, რომელიც გამოსჩნდა აღმოსავლეთით, ამ ვარსკვლავის წინამძღვრობით მოვიდნენ ბეთლემში და შესწირეს ახლად შობილს მაცხოვარს ოქრო, გუნდრუკი და მური. მოხუცებულმა სვიმეონმა და ანანამ იცნეს, სული წმიდის შთაგონებით, შობიდან მეორმოცე დღეს; ნათლისცემის დღეს; ნათლისცემის დროს იგი იოანემ სული წმიდის გადმოსვლით სახითა ტრედისათა, და მამა ღმერთის ხმაზედ: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ.“ (მათე. 17,5) ასეთივე ხმა მოესმათ მოციქულებს: პეტრეს, იაკობს და იოანეს ფერის-ცვალების ჟამს. ხალხთაგან მრავალმა იცნა იესო ღმერთად და მაცხოვრად მისი სწავლა-მოდღვრებით; იესო მოძღვრავდა და ასწავლიდა, არა როგორც ფარისეველი და მწიგნობარი, არამედ როგორც ხელმწიფების მქონე. მომეტებულად კი იცნეს სასწაულებით. იესო ჰკურნებდა უკურნებელ სენით შეპყრობილ სნეულებს, ეშმაკულებს ერთი სიტყვის წარმოთქმით, ან მხოლოდ ხელის შეხებით; აღადგენდა მკვდრებს; მაგალითად, აღადგინა ლაზარე, იაიროსის ასული, ნაინელი ქვრივის ძე. დადიოდა წყლებზე, აყურებდა ქარს და ღელვას, ერთხელ ხუთითა და მეორედ შვიდი პურით განაძლო რამოდენიმე ათასი კაცი. ბევრმა აღიარა ძედ ღვთისად ჯვარცმის ჟამს, როდესაც დაბნელდა მზე, იძრა მიწა და მოხდა სხვა სასწაულნი.



**კაცობრიობის გამოხსნა ქრისტეს მიერ.** იესო ქრისტემ კაცობრიობა გამოიხსნა ცოდვისაგან თავისი მოძღვრებით, ცხოვრებით, სიკვდილით, მკვდრეთით აღდგომით და დიდებული ამბლებით ზეცად.

იესომ ასწავლა კაცობრიობას ჭეშმარიტი ღვთის ცნობა - განაცხადა საიდუმლო წმიდა სამებისა, საიდუმლო გამოხსნისა დაცემულ კაცთა ნათესავისა მამა ღვთისა და ძის უსამღვრო სიყვარულით. ასწავლა სიყვარული ღვთისადმი როგორც უმაღლესი და უდიდესი მცნება, ასწავლა სიყვარული კაცთადმი, მტერთა სიყვარულიც და იქადაგა. გარდა ამისა, იესო ქრისტემ ასწავლა ხალხს ყველა სათნოება, რომლითაც შეუძლიათ მიუახლოვდნენ ღმერთს - სიწმიდე განზრახვათა, სიმდაბლე, მორჩილება.

იესო ქრისტემ განაცხოველა კაცთა გული სასოებით, როცა აღგვითქვა აღდგომა ხორცისა და მართალთა საუკუნო ნეტარება. თავის ცხოვრებით იესომ გვიჩვენა მაგალითი, როგორც უნდა აღსრულდეს მისი საღმრთო მოძღვრება. მთელი ცხოვრება იესოსი იყო განუწყვეტელი მორჩილება ზეციური მამის ნებისა და მსახურება კაცთა. როგორც კაცი, იესო ქრისტე ითმენდა შიმშილს, წყურვილს, ტანჯვის წინასწარ შიშს, ყველაფერში მსგავსი იყო ჩვენი, გარდა ცოდვისა. ქვეყნად მოვიდა სიმდაბლით, სიღარიბით და მსახურების ჟამს არა ჰქონდა, სადა თავი მიედრიკა. ამით უჩვენა მაგალითი ყველას ღვთის ნების უდრტვინველი მორჩილებისა ცხოვრების ყველა გარემოებაში; სიმდაბლით, მორჩილებით, სიმშვიდით, მოთმინებით და სხვა სათნოებით იესომ აჩვენა ხალხს, როგორ უნდა შესრულდეს მისი მოძღვრება. იწვევდა თავისთან ყველა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა და დაჩაგრულთა და უჩვენებდა მისაბამ მაგალითს.

## **პიროვნება ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისა და თაყვანის-ცემა მისი**

იესო მაცხოვარი ხორციელად იშვა მარიამ ქალწულისაგან. საღმრთო წერილის თანახმად, წმიდა ეკლესია გვასწავლის, რომ ქალწული მარიამი ქრისტეს შობის შემდეგაც დარჩა ქალწულად; ამიტომ ეწოდება მარადის ქალწული; ღვთის მშობლადაც უწოდებს ეკლესია, რადგანაც მისგან შობილი არის ჭეშმარიტი ღმერთი; მარიამ ქალწულის ღვთის-მშობლად წოდებას აქვს საბუთი საღმრთო წერილში. ისაია წინასწარმეტყველი ამბობს: „ქალწულმან ჰმვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ, რომელ არს თარგმანებით ჩვენ-თანა ღმერთი.“ (მათე. 1,22-23). მართალმა ელისაბედმა უწოდა მარიამს დედა ღვთისა: „ვინა ჩემდა ესე, რათა მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა ჩემდა?“ (ლუკა. 1,43). წოდება უფლის დედად თანასწორია ღვთისმშობლის წოდებისა. წმიდა ეკლესიას ისიცა სწამს, რომ შობა იესოსი ქალწულ მარიამისათვის იყო უსუნელო, უმტკივნეულო. როგორც მშობელი ღვთისა, მარიამ ქალწული მადლითა და ღმერთთან სიახლოვით აღმატება ყველა ქმნილ არსებას; ამიტომ ეკლესია სთვლის უპატიოსნესად ქერუბინთა და აღმატებით უზესთაესად სერაბინთა. მის სადიდებლად და საქებლად შედგენილია მრავალი საგალობელი, აღშენებულია მრავალი ეკლესია და დაწესებულია მრავალი დღესასწაული.



## მრწამსის მეოთხე წევრი

მრწამსის მეოთხე წევრი იკითხება ესე:

**და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონოელისა პილატეს-ზე, და ივნო, და დაეფლა.**

მრწამსის მეოთხე მუხლი შეიცავს სწავლებას იესო ქრისტეს ჯვარცმის, ვნებისა და დაფლვის შესახებ.

**მიზეზი იესო ქრისტეს ჯვარცმისა.** იესო ქრისტე სამი წლის განმავლობაში უქადაგებდა ურიებს ღვთის სჯულს და კეთილს. ბევრი სნეული განკურნა, მკვდრები აღადგინა; მისი მოძღვრება იყო ძლიერი და უმაღლესი; ასწავლიდა, როგორც მქონე უფლებისა; არაფერი ბოროტი არ უქმნია; იესოს ასეთ მოქმედებას მხოლოდ მადლობა და სიყვარული უნდა გამოეწვია ხალხისა; მართლაც, მდაბიო ხალხი გულმოდგინედ ისმენდა იესოს მოძღვრებას და სულ მას მისდევდა უკან; მღვდელთ-მთავრებს და ფარისეველ მწიგნობრებს ჩამოშორდა. ამან გამოიწვია შური ურიათა მოძღვარ-მღვდლებისა. იესო ქრისტე ამხელდა ამ მოძღვრების სჯულის წინააღმდეგ ცხოვრებასა და ცრუმოდვრებას; მათ ეგონათ, იესო დააფუძნებდა ქვეყნიურ სამეფოს, რომელშიც ურიებს პირველი ადგილი ეჭირებოდათ, მაგრამ ის კი ზეცათა სასუფეველს ჰქადაგებდა. ამის გამო მწიგნობრებმა, ფარისეველებმა და მღვდელთ-მთავრებმა ცილი დასწამეს იესოს, ვითომც ღმერთსა ჰგმობსო - თავის თავს ღმერთად რაცხს, უწოდებს თავს მეუფედ, რომის კეისრის წინააღმდეგია, - და ჯვარს აცმევენეს.

**დრო იესო ქრისტეს ჯვარცმისა.** იესო ქრისტეს ჯვარცმა მოჰხდა მაშინ, როდესაც ურიასტანს განაგებდა პონტოელი პილატე. პონტოელი პილატე იყო რომის იმპერატორისაგან დადგენილი ურიასტანის მმართველად. ეს გარემოება იმითია შესანიშნავი, რომ ცხადად სჩანს აღსრულება იაკობ მამათ-მთავრის წინასწარმეტყველებისა: „არა მოაკლდეს მთავარი იუდასგან, და წინამძღვარი წელთაგან მისთა, ვიდრემდის მოვიდეს, რომლისა დამარხულ არს; და იგი არს მოლოდება წარმართთა.“ (დაბადება. 49,10). ამ წინასწარმეტყველების აზრი ის არის რომ, ქრისტეს მოსვლამდე ურიებს ეყოლებოდათ საკუთარი მეფეები; ამ წინასწარმეტყველებით ცხადად არის ნაჩვენები დრო იესო ქრისტეს მოსვლისა - მოსპობა ურიასტანში საკუთარი მეფობისა.

მრწამსში კიდევ არის ნათქვამი, რომ იესო ქრისტე ივნო და დაეფლა; ეს სიტყვები მიმატებულია დასარწმუნებლად იმისა, რომ იესო ქრისტე ნამდვილად ივნო, ნამდვილად დაეფლა, რომ მისი ვნება დაფლვა არ იყო მხოლოდ მოჩვენებით ქმნილი, როგორც ეს ეგონათ ზოგიერთ ცრუ მოძღვრებს.

იესო ქრისტეს ვნების შესახებ ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ივნო და მოკვდა არა ღვთის ძეობით, არამედ კაცობით და არა იმიტომ, რომ არ შეეძლო თავიდან აცილება ვნებისა, არამედ იმიტომ, რომ თვითონ ინება ვნება: „მე დავსდებ სულსა ჩემსა, რათა კვალად მოვილო იგი; არავინ მიმიღოს იგი ჩემგან, არამედ მე დავსდებ მას თავით ჩემით: ხელმეწიფების დადებად მისა, და ხელმეწიფების კვალად მიღება მისა.“ (იოანე, 10,17-18).

**როგორ გამოგვიხსნა იესო ქრისტეს ჯვარცმამ, ვნებამ და სიკვდილმა?! საღმრთო წერილი ცხადად გვასწავლის, რომ იესო ქრისტე ჯვარს-ეცვა და მოკვდა ჩვენთვის, მართალი ცრუთათვის; მან დასთხია სისხლი თავისი კაცთა ცოდვათა მიტევებისათვის. თვითონ იესო ქრისტე ცხადად ბრძანებდა, რომ მას უნდა მიეცა სული თვისი საღმრთად მრავალთათვის; ის, რაც უნდა ეტვირთათ კაცთა თავის ცოდვისათვის, იტვირთა იესო ქრისტემ და კაცს მხოლოდ ამიტომ აქვს სიცოცხლე ღვთის წყალობით, რომ ყველასათვის მოკვდა ერთი იესო ქრისტე და გამოიხსნა კაცთა ნათესავი ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისაგან. ცოდვისაგან გამოიხსნა ზე პავლე მოციქული ბრძანებს, რომ „იესო ქრისტეს მიერ გვაქვს ჩვენ გამოიხსნა სისხლითა მისითა**

და მოტევება ცოდვათა ჩვენთა, სიმდიდრისაებრ მადლისა მისისა.“ (ეფეს. 1,7). წყევისაგან გამოხსნის შესახებ იგივე მოციქული ბრძანებს: „ქრისტემან მოგვიყიდნა ჩვენ წყევისა მისგან სჯულისა და იქმნა ჩვენთვის წყევასა ქვეშე.“ (გალ. 3,13). სიკვდილისაგან გამოხსნის შესახებ იგივე მოციქული სწერს: „ყრმათაცა ეზიარა ხორცთა და სისხლთა, და თავადმან მსგავსად მოილო მითვე, რათა სიკვდილითა მით განაქარვოს, რომელსა იგი ხელმწიფეზაი აქვდა სიკვდილისა, ესე იგი არს ეშმაკი, და განათავისუფლნეს ესენი, რავდენნი შიშითა სიკვდილისათა, სამარადისოდ ცხოვრებად, თანამდებ იყვნეს კირთებისა.“ (ებრ, 2,14-15).

როგორ გვიხსნის ჩვენ იესო ქრისტეს სიკვდილი ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისაგან, ამას საღმრთო წერილი ხსნის იესო ქრისტეს და ადამის შედარებით. ადამი არის ხორციელი თავი მთელი კაცობრიობისა, რადგანაც მისგან წარმოსდგენენ ყველანი; იესო ქრისტე არის თავი კაცობრიობისა სულიერი. ამიტომ, როგორც ადამის გამო ჩვენ ყველანი მივეცემით სიკვდილს წყევას და ცოდვას, ისე ქრისტეს მიერ გამოვიხსნებით ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისაგან.

იესო ქრისტეს ნებისითი სიკვდილი, როგორც უცოდველისა და წმინდისა, არა მარტო სრულიად აკმაყოფილებს ღვთის მართლმსაჯულებას, არამედ აძლევს მას ნებას მოგვანიჭოს მადლი ცოდვისა და სიკვდილის დასაძლევად. პავლე მოციქული ბრძანებს: „რამე თუ უკეთუ ერთისა მის შეცოდებითა სიკვდილი სუფევდა ერთისა მისგან, რავდენად უფროსს, რომელნი იგი უმეტესსა მას მადლისასა და ნიჭსა სიმართლისასა მიიღებენ, ცხოვრებასა შინა სუფევდენ ერთისა მისგან იესო ქრისტესა.“ (რომ. 5,17).

იესო ქრისტე ევნო ყველასთვის და მოუპოვა ცხოვნება ყველას მაგრამ მით ისარგებლებენ მხოლოდ ისინი, ვინც ნებაყოფლობით მიიღებენ მონაწილეობას მის ვნებაში - „თანა ხატ ექმნებიან სიკვდილსა მისსა.“ (ფილიპ. 3,12). ხოლო ჩვენ შეგვიძლია მივილოთ მონაწილეობა იესო ქრისტეს ვნებასა და სიკვდილში მხურვალე სარწმუნოებით, მისგან დაწესებულ საიდუმლოთა მიღებით და ჩვენთა ხორცთა ჯვარცმით ვნებითურთ და გულისთქმითურთ, ესე იგი ცოდვილი სურვილების ძლევიტ.

**ზნეობრივი მნიშვნელობა იესო ქრისტეს ჯვარცმისა.** იესო ქრისტეს ჯვარცმა გვიჩვენებს უაღრეს სიდიადეს ღვთის სიყვარულისას კაცთა მიმართ; ამით ის გვასწავლის ასრულებას ქრისტეს უმთავრესი მცნებისას, - შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა. იოანე მახარებელი, საყვარელი მოციქული ქრისტესი, სწერს: „ამით გამოცხადნა სიყვარული ღვთისა ჩვენ შორის, რამეთუ ძე თვისი მხოლოდ შობილი მოავლინა ღმერთმან სოფლად, რათა ვჰსცხოვდეთ მის მიერ. და ესე არს სიყვარული, არა რამეთუ ჩვენ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ, რამეთუ მან ჩვენ შემეყვარნა და მოავლინა ძეი თვისი მლხინებელად ცოდვათა ჩვენთა.“ (2-იოანე, 1,9-10). თუ ღვთის ამგვარ სიყვარულს კაცმა არ უპასუხა სიყვარულითვე და მორჩილებით, სჩანს, არ სურვებია და არ შესძლებია ღმერთთან ურთიერთობა. თუ ქრისტეს ჯვარცმის გახსენებამ არ ააღელვა ჩვენი გული და არ გამოიწვია პასუხად სიყვარულივე გამომხსნელისადმი, სჩანს, ჩვენს გულს არ შესძლებია უწმიდეს გრძნობათა განცდა. იესოს სიკვდილი ჯვარზე იყო უკანასკნელი ღონისძიება, რომლითაც ღმერთი იწვევს კაცს თავისადმი. დასასრულ, ქრისტე მისთვის ივნო, რომ გვაჩვენოს შეუძლებლობა ცხოვნებისა უჭირველად. ბოროტება ისე ღრმად არის გამჯდარი ჩვენს ბუნებაში, რომ მისი ძლევა უშრომელად და უჭირველად შეუძლებელია. ამიტომ, თუ ღმერთი მოგვივლენს ხოლმე ჭირსა და მწუხარებას, უნდა ვმადლობდეთ და გვიხაროდეს, რადგანაც ეს მწუხარებანი და შეჭირვებანი გვიადვილებს ცოდვასთან ბრძოლის სიმძიმეს და სწმენდს სულს.

**ჯვრის თაყვანის-ცემა; პირჯვრის წერა.** რადგანაც იესო ქრისტემ ინება ჩვენი ცხოვნებისათვის სიკვდილი ჯვარზე და არა სხვა რომელისამე სახით, ამიტომ ჯვარი, როგორც

იარაღი ჩვენი გამოხსნისა, როგორც სამსხვერპლო, რომელზედაც შეიწირა მსხვერპლი მთელი ქვეყნისთვის, როგორც ნიშანი სიკვდილისა და ეშმაკის ძლევისა, ღირსია მოკრძალებით პატივისა და თაყვანის-ცემისა. ჯვრის სახე თაყვანისაცემელია ჯვარზედ მომკვდარი მაცხოვრის გულისათვის; პავლე მოციქული სწერს: „ჩემდა ნუ იყოფინ სიქადული, გარნა ჯვართა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა.“ (გალ. 6,14).

ჯვარის თაყვანის-ცემა, უეჭველია, მოციქულთა დროიდან მომდინარეობს. მეორე და მესამე საუკუნის მწერლები ერთხმად ამბობენ, რომ ქრისტეანეთა შორის ხმარებაში იყო ჯვარი და ჯვრის გამოსახვა საიდუმლოების დაწესების დროს. საეკლესიო ისტორიაში მოხსენებულია ბევრი სასწაული, ქმნილი ჯვრის და ჯვარის სახით. ამიტომ ქრისტიანნი ჯვარს ატარებენ გულზე, ჯვარს ადგამენ ეკლესიებს თავზედ, აქვთ სახლში და პირჯვარს იწერენ ლოცვის დროს.

### **მრწამსის მეხუთე წევრი**

მრწამსის მეხუთე წევრი იკითხება ესე:

**და აღსდგა მესამესა დღესა, მსგავსად წერილისა.**

მეხუთე მუხლი შეიცავს სწავლებას იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისას მესამესა დღესა სიკვდილის შემდეგ, მსგავსად წერილისა.

**შთავსლა იესო ქრისტესი ჯოჯობეთად.** ხორციით დაფლვის შემდეგ, იესო ქრისტე სულით შთავიდა ჯოჯობეთად. ამის შესახებ წმ. პეტრე მოციქული სწერს: „ქრისტემან ერთ-გზის ცოდვათა ჩვენთათვის ივნო, მართალმან მან ცრუთათვის, რათა ჩვენ წარგვადგინნეს ღმრთისა: მოკვდა ხორცითა და ცხოველ იქმნა სულითა, რომლითაცა საპყრობილესა მას სულთასა მივიდა და ჰქადაგა.“ (1-პეტრ. 3,18-19). რა ჰქადაგა იესომ ჯოჯობეთში და რა იყო აზრი ამ ქადაგებისა, ამის შესახებ საღმრთო წერილი არაფერს არა სწერს. მაგრამ, თანახმად ძველი გარდამოცემისა, რომელიც, უეჭველია, მოციქულთა დროიდან მომდინარეობს, ეკლესია გვასწავლის, რომ იესო ქრისტემ ჯოჯობეთში იქადაგა მისგან კაცთა ნათესავის გამოხსნა, ძლევა ცოდვისა, სიკვდილისა და ამასთანავე გამოიყვანა ჯოჯობეთიდან სულნი მართალნი და ამით ნამდვილად დაარღვია ჯოჯობეთი და მეუფება ეშმაკისა; ზოგიერთი წმიდანი აღსდგა საფლავიდან და, იესოს მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, გამოეცხადა იერუსალიმში მრავალ მაცხოვრებელს. (მათე. 27,52-53).

**მკვდრეთით აღდგომა ქრისტესი.** იესო ქრისტე მოკვდა ჯვარზე პარასკევს, ნაშუადღევს მესამე ჟამზე (ებრაელთა ანგარიშით. მეცხრე ჟამს). იმავე საღამოს მისი გვამი დაფლეს იოსებმა და ნიკოდიმოსმა. ამ გვარად, იესომ საფლავში დაჰყო პარასკევ საღამო, შაბათი და დასაწყისი კვირიაკის პირველის დღისა; შემდეგ კი აღსდგა დიდებით. სიცოცხლეშივე იესომ რამდენჯერმე იწინასწარმეტყველა თავისი აღდგომა მკვდრეთით. ოთხივე მახარობელი ერთნაირად მოგვითხრობენ იესოს მკვდრეთით აღდგომის ამბავს. დაფლვიდან მესამე დღის დამდეგს, როცა მხედრები სცვლიდნენ იესოს საფლავს, მოხდა საშინელი მიწის ძვრა; ანგელოზი უფლისა, მოსილი სამოსლითა ელვართა, გარდამოხდა ზეცით, გადააგორა ლოდი, რომელიც ჰფარავდა საფლავს და დაჯდა ზედ. იესო გამოვიდა

საფლავიდან. მხედრებს ისე შეეშინდათ, რომ გრძობა დაკარგულები დაეცნენ მიწაზე; შემდეგ, როცა მოსულიერდნენ, გაიქცნენ ქალაქში და იქ იესო ქრისტეს აღდგომის ამბავი უთხრეს მღვდელთ-მთავრებს. გარდა მხედრებისა, იესოს აღდგომის ამბავი გაიგეს პირველსავე დღეს მარიამ მაგდალინელმა და სხვა მენელსაცხებელმა დედებმა, რომელნიც მიდიოდნენ იესოს გვამისთვის სურნელი ნივთიერების საცხებლად. აღდგომის შემდეგ, იესო გამოეცხადა მარიამ მაგდალინელს, მენელსაცხებელ დედებს, პეტრე მოციქულს და სხვა მოციქულებს. მოციქულებს არ სწამდათ მკვდრეთით აღდგომა იესოსი, იესო აყვედრიდა ურწმუნოებას, ნება მისცა ხელით შეხებისა, სჭამდა და სვამდა მათთან და მხოლოდ მას შემდეგ ირწმუნეს აღდგომა ქრისტესი და მოჰფინეს ეს ამბავი მთელს ქვეყანას.

მრწამსში სწერია, იესო აღსდგა მკვდრეთით მსგავსად წერილისაო, ესე იგი თანახმად ძველი აღთქმის საღმრთო წერილის წინასწარმეტყველებათა. ყველაზე ცხადი წინასწარმეტყველება ძველ აღთქმაში იესოს მკვდრეთით აღდგომის შესახებ აქვს დავით მეფეს: „არა დაუტეო სული ჩემი ჯოჯოხეთს, არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელი.“ სამის დღის ყოფნა იონა წინასწარმეტყველისა ვეშაპის მუცელში მოასწავებდა იესო ქრისტეს სამი დღის ყოფნას საფლავში. როგორც იონა წინასწარმეტყველი სამის დღის შემდეგ წარმოაგდო ვეშაპმა მუცლიდან, ისე იესო ქრისტე მესამესა დღესა აღსდგა საფლავით.

**მნიშვნელობა ქრისტეს აღდგომისა.** ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცხოვრებისათვის. ქრისტეს აღდგომით უეჭველად დამტკიცდა მისი ღვთაებრივი ღირსება; მხოლოდ ღმერთს შეეძლო ძლევა სიკვდილისა, ხოლო თუ იესო ქრისტე ღმერთია, მაშ, მისი სწავლა-მოდღვრებაც საღმრთოა. მკვდრეთით აღდგომით ქრისტემ დაამტკიცა, რომ მსხვერპლი, მის მიერ შეწირული, მიღებულია ღვთისაგან: მკვდრეთით აღდგომით ქრისტემ საფუძველი დაუდო საყოველთაო აღდგომას და უეჭველ ჰყო მისი შესაძლებლობა და სინამდვილე; ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და იქმნა დასაბამ შესვენებულთა.

**სინამდვილე ქრისტეს აღდგომისა.** არაქრისტიანნი უარყოფენ ქრისტეს აღდგომის სინამდვილეს. ზოგნი ურიათა მღვდელთ-მთავრისა და ფარისევლებისაგან მოგონილ ჭორს ქრისტეს აღდგომის შესახებ ეხლაც იმეორებენ, - მოციქულებმა მოიპარეს მკვდარი იესოს გვამი და მერე ხმა გაავრცელეს, მკვდრეთით აღსდგაო. ყოვლად შეუძლებელია, რომ მოციქულებს მოეპარათ მკვდარი იესოს გვამი; რისთვის უნდოდათ, ან რაში გამოიყენებდნენ, ან როგორ მიუშვებდნენ მხედრები მოსაპარავად? თუ მართლა მოციქულებმა მოიპარეს გვამი იესოსი, საიდან გაჩნდა მათ შორის რწმენა იესოს მკვდრეთით აღდგომისა? უაზრობა იქნება ვიფიქროთ, რომ მოციქულებმა გაავრცელეს ცრუ ამბავი ქრისტეს აღდგომისა და მერე თვითონვე ირწმუნეს ნამდვილად თავის გავრცელებული სიცრუე. განა ცრუ ამბავის ქადაგებისთვის შესწირავდნენ თავის თავს და სისხლს დასთხევდნენ? ზოგის აზრით, ქრისტე სულაც არ მომკვდარა ჯვარზე, - მხოლოდ გული შეუწუხდა და შემდეგ გრილს საფლავში გრძობაზე მოვიდა, გამოვიდა საფლავიდან და გამოეცხადა მოციქულებს; მათ კიდევ მკვდრეთით აღდგომილად ჩასთვალესო. მაგრამ შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ იესო მოატყუებდა მოციქულებს, და რომ ნდომოდა კიდევ მოტყუება, ვერ მიაღწევდა საწადელს, რადგანაც ნატანჯი და ნაწვალეები ქრისტე სულაც ვერ მოახდენდა მოციქულებზე სიკვდილისა და ჯოჯოხეთის მძლეველის შთაბეჭდილებას. გარდა ამისა, ისიც შეუძლებელია, რომ ფხეებ-გახვრეტილს იესოს ჯვარცმის მესამე დღეს შესძლებოდა სიარული, რათა მოციქულებს გამოსცხადებოდა. ამბობენ კიდევ, მენელსაცხებელ დედათა და მოციქულებს მხოლოდ მოეჩვენებოდათ ხოლმე იესო და იმათაც დაიჯერეს, ქრისტე აღსდგა მკვდრეთითო. მაგრამ მოციქულები სრულიად საღი სხეულისა და გონებისანი იყვნენ და, რომ მოსჩვენებოდათ

მკვდრეთით აღდგომილი ქრისტე, სრულიადაც არ მიიღებდნენ მოჩვენებას სინამდვილედ. მკვდრეთით აღდგომა ქრისტესი ისეთი დიდი საქმე და ამბავი იყო მოციქულთა ცხოვრებაში, რომ არ ერწმუნებოდნენ ადვილად და გამოუძიებელ-გამოუკითხავად. სახარებიდან ვიცით, რომ მოციქულებს დიდ ხანს არ სწამდათ აღდგომა ქრისტესი; ასე რომ ქრისტე აყვედრიდა კიდეც ურწმუნოებას. მხოლოდ როცა ხელი შეახეს იესოს წყლულებს, იხილეს მათთან ერთად პურის მჭამელად, მაშინ ირწმუნეს ნამდვილად და ჭეშმარიტად აღდგომა ქრისტესი და თავისი სისხლითაც აღბეჭდეს ეს რწმენა.

### **მრწამსის მეექვსე წევრი**

მრწამსის მეექვსე წევრი იკითხება ესე:

**და ამაღლდა ზეცად და დასჯდა მარჯვენით მამისა.**

ეს მუხლი შეიცავს ეკლესიის სწავლებას იესო ქრისტეს ამაღლებაზე ზეცად. საღმრთო წერილში იესო ქრისტეს ზეცად ამაღლება ასეა მოთხრობილი: აღდგომის მეორმოცე დღეს, იესო ქრისტე უკანასკნელად გამოეცხადა მოციქულებს, წაიყვანა იერუსალიმიდან ბეთანიამდე, ზეთის ხილის მთაზე; გზაზე საუბარში უბრძანა, არსად წასულიყვნენ იერუსალიმიდან სული წმიდის გარდამოსვლამდე. როცა აღვიდნენ მთაზე, იესო ქრისტემ აკურთხა მოციქულები და ამაღლდა ზეცად; ღრუბლებმა დაფარა იესო მოციქულთაგან. ანგელოზმა გამოეცხადა მოციქულებს, იესო, ასული ზეცად, კვალად მოვა დიდებითო. მოციქულები დაბრუნდნენ იერუსალიმში. უფალი იესო ქრისტე კი, როგორც მოგვითხრობს მარკოზ მახარებელი, - „ამაღლდა ზეცად და დასჯდა მარჯვენით მამისა.“ (მარკოზი. 16,19).

როგორც ღმერთი, იესო ქრისტე მუდამ არის და იყო ცათა შინა. აღდგომის მეორმოცე დღეს ამაღლდა ზეცად კაცობით, - კაცური სულით და ხორცით, ამით ადიდა და განაღმრთო თავისი კაცური ბუნება, რომელსაც ახლა აქვს ღვთაებრივი ღირსება და უფლება ყველაზე ცათა შინა და ქვეყანასა ზედა.

იესო ქრისტე მჯდომარე არს მარჯვენით მამისა, ესე იგი აქვს ერთი და იგივე ძალი და დიდება და უფლება მამა ღმერთთან.

**მნიშვნელობა ქრისტეს ზეცად ამაღლებისა ჩვენის ცხოვნებისათვის.** ქრისტეს ამაღლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ცხოვნებისათვის, იმიტომ რომ იგი დაკავშირებულია სული წმიდის მოსვლასთან, რადგანაც სული წმიდა არ გარდამოვიდოდა ზეცით, ქრისტე რომ არ ამაღლებულიყო. მეორედ იმიტომ, რომ იესო ქრისტე მარჯვენით მამისა მჯდომარე, მეოხ არს ჩვენთვის (რომ. 8,35), დასასრულ იმიტომ, რომ ქრისტემ ზეცად აღსვლით ადიდა ჩვენი კაცური ბუნება, ამაღლდა იგი უმაღლეს ქერუბინთა და სერაბინთა და გვიჩვენა, რომ ჩვენი მამული არის ცათა შინა, რომელიც ხსნილია ყველა ჭეშმარიტი მორწმუნისათვის; ამიტომ პავლე მოციქული უწოდებს ქრისტეს - ჩვენს წინა მორბედად ცათა შინა.



## მრწამსის მეშვიდე წევრი

მრწამსის მეშვიდე წევრი იკითხება ესე:

**და კვალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.**

მეშვიდე წევრი მრწამსისა შეიცავს სწავლებას მაცხოვრის მეორედ მოსვლისა, საშინელის სასჯელისა და მისი დიდებული დაუსრულებელი სუფევის შესახებ.

**მეორედ მოსვლა იესო მაცხოვრისა.** იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ ანგელოზმა უთხრა მოციქულებს, რომელნიც ზეთის ხილის მთაზე იდგნენ და უცქეროდნენ ზეცად ამალღებულს იესოს: „კაცო გალილეველნო! რასა სდგათ და ზეცად? ესე იესო, რომელი ამალღდა თქვენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად.“ (საქმე. 1,11). მეორედ მოსვლა მაცხოვრისა არ ემგვანება მის პირველ მოსვლას; პირველად მოვიდა შეურაცყოფილი, მონის სახით, მოვიდა მსახურებად ჩვენდა, მეორედ კი მოვა დიდებითა თვისითა და ყოველნი ანგელოსნი მისნი მისთანა, მოვა განკითხვად ჩვენდა. თვით მაცხოვარი მეორედ მოსვლის შესახებ ბრძანებს: „ვითარცა ელვა რა გამობრწყინდის მზისა აღმოსავლით და სჩანნ ვიდრე დასავლადმდე, ეგრედ იყოს მოსვლა ძისა კაცისა; ხოლო მეყვსეულად, შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთასა, მზე დაბნელდეს და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი და ვარსკვლავნი დამოსცივენ ზეციით და ძალნი ცათანი შეიძრნენ და მაშინ გამოსჩნდეს სასწაული ძისა კაცისა ცათა შინა და მაშინ იტყებდნენ ყოველნი ტომნი ქვეყანისანი, და იხილონ ძე კაცისა მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა..“ (მათე. 24,27-30)

**დრო მეორედ მოსვლისა იესო მაცხოვრისა.** როდის დადგება დიდი და საშინელი დღე ქრისტეს მოსვლისა, უწყის მხოლოდ ღმერთმა. მაგრამ თვით მაცხოვარმა გამოგვიცხადა ზოგიერთი ნიშანი, რომელთა მიხედვითაც მორწმუნე ქრისტეანებს შეუძლიათ ივარაუდონ ქრისტეს მეორედ მოსვლა. ეს ნიშნები შემდეგია: 1) სახარება იქადაგება მთელს ქვეყანაზედ და სულ ბოლო დროს ებრაელები გაქრისტიანდებიან; 2) გამრავლდება უსჯულოება და ურწმუნოება; 3) მოხდება საშინელი მიწის ძვრა, ომები; გაჩნდება გამანადგურებელი სატკივრები, შიმშილობა ქვეყანაზე. ეს უბედურებანი ისეთი დიდი და ძლიერი იქნება, რომ მოსპობს მთელს კაცობრიობას, მაგრამ ღმერთი რჩეულთათვის შეამოკლებს ამ უბედურების დღეებს. დასასრულ, ნიშანი ქრისტეს მეორედ მოსვლისა არის მოსვლა ანტიქრისტესი.

**ანტიქრისტე.** ანტიქრისტე, ანუ ქრისტეს მოწინააღმდეგე, საღმრთო წერილის სწავლებით, იქნება კაცი, უსჯულო, მყოფი დიდი ეშმაკის გავლენის ქვეშ, განლაღებული; მისი გავლენა გავრცელდება მთელს კაცობრიობაზე; ეცდება ცრუ სასწაულებით ქრისტეანობის დამხობას და მოსპობას, მალე მიემხრობიან ბევრნი, სუსტნი სარწმუნოებით და უღირსნი, დაუწყებს სასტიკს დევნას ქრისტეს მორწმუნეებს და ქრისტეს ერთგულებს. მისი ბატონობა გასტანს სამ წელიწად ნახევრამდე და გათავდება, როგორც მის, ისე მისი მომხრეების დაღუპვით და წარწყმედით, - ანტიქრისტეს სძლევს ქრისტე ღმერთი. ანტიქრისტეებად იწოდებიან ყველანი, ვინც ქრისტეს მოძღვრების და მისი სჯულის წინააღმდეგნი არიან. მაგრამ ეს უკანასკნელი ანტიქრისტე იქნება განსაკუთრებული მოწინააღმდეგე ქრისტესი. ანტიქრისტეს ძლევის შემდეგ დამყარდება საუკუნო სასუფეველი ქრისტესი.

**საშინელი სამსჯავრო.** იესო ქრისტეს მეორედ მოსვლასთან ერთად, მოხდება აღდგომა მკვდართა, ხოლო ვინც ცოცხლები დარჩებიან მეორედ მოსვლამდე, ისინი განახლდებიან; მათი სხეული გამოიცვლება და გახდება უკვდავი და უხრწნელი, როგორც მკვდრეთით აღდგომილთა. ამის შემდეგ დაიწყება თვით განსჯა. ეს განსჯა, განკითხვა იქნება:

**საყოველთაო** რადგანაც გამოსცხადდებიან სულ ყველანი და ღმერთი განსჯის ყველას; **საშინელი**, - ამ განსჯაზე განცხადდება მთელი ჩვენი ცხოვრება, მოქმედება, - არა მხოლოდ ყველა საქმე, რომელიც კი გვიქმნია სიცოცხლეში, არამედ ყოველი სიტყვა, ზრახვა და გრძნობაც კი განსჯილ იქნება ღვთისაგან. ეს განსჯა იქნება **უკანასკნელი და საბოლოო**, - ღმერთი ყველას საქმეთა მისთაებრ მიაგებს მისაგებელს, საუკუნოდ. ეს საყოველთაო და საშინელი განსჯა იესო ქრისტემ სახარებაში ასე ახსენა: „რაჟამს მოვიდეს ძე კაცისა დიდებითა თვისითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მისთანა, მაშინ დასჯდეს საყდართა დიდებისა თვისისათა; და შეჰკრბენ წინაშე მისსა ყოველნი ნათესავნი, და განარჩინეს იგი ურთიერთარს, ვითარცა იგი მწყემსმან რა განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან; და დაადგინეს ცხოვარნი მარჯვენით მისსა, და თიკანნი მარცხენით; მაშინ ჰრქვას მეუფემან მარჯვენითათა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნი მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისათ; რამეთუ მშობიდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და მასვით მე; უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე; შიშველ ვიყავ, და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპრობილესა ვიყავ, და მოხვედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქვან: უფალო! ოდეს გიხილეთ შენ მშვიერი, და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი, და გასვით შენ? ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ, და შეგიწყნარეთ? ანუ შიშველ, და შეგმოსეთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უძლური, ანუ საპრობილესა, და მოვედით შენდა? და მიუგოს მეუფემან მან, და ჰრქვას მათ: ამინ გეტყვი თქვენ: რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ. მაშინ ჰრქვას მარცხენითათა მათცა: წარვედით ჩემგან, წყულნი, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოსთა მისთათვის. რამეთუ მშობიდა და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და არა მასვით მე; უცხო ვიყავ, და არა შემიწყნარეთ მე; შიშველ ვიყავ, და არა შემმოსეთ მე; უძლურ ვიყავ, და საპრობილესა, და არა მოხვედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქვან: უფალო! ოდეს გიხილეთ შენ მშვიერი, ანუ წყურიელი, ანუ უცხოებასა, ანუ შიშლოებასა, ანუ უძლურებასა, ანუ საპრობილესა, და არა გამსახურეთ შენ? მაშინ მიუგოს მან და ჰრქვას მათ: ამინ გეტყვი თქვენ, რავდენი არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ. და წარვიდნენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი - ცხოვრებასა საუკუნესა.“ (მათე, 25,31-46).

**სასუფეველი ქრისტესი.** სასუფეველი ქრისტესი არის პირველად ყოველი ქვეყანა - ამას ეწოდება **სასუფეველი ბუნებისა**, მეორედ - ყოველნი მორწმუნენი ქვეყანაზე - ამას ეწოდება **სასუფეველი მადლისა** და მესამედ - ყოველნი წმინდანნი ცათა შინა, - ამას ეწოდება **სასუფეველი დიდებისა**. სასუფეველი ბუნებისა და სასუფეველი მადლისა არ არიან საუკუნონი, რადგანაც ქრისტეს, მეორედ მოსვლის ჟამს ქვეყანა შეიცვლება. ამიტომ მრწამსის სიტყვებში: რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ ეკუთვნის დიდების სასუფეველს და ნიშნავს იმას, რომ საშინელი განსჯის შემდეგ, დადგება საუკუნო დიდებული სუფევა ქრისტესი და მის რჩეულთა. ქრისტეს სუფევის საუკუნეობის შესახებ მთავარ-ანგელოზმა გაბრიელმა უთხრა ქალწულ მარიამს: „სუფევისა მისისა არ იყოს დასასრულ.“ (ლუკა. 1,32-33).

## მრწამსის მერვე წევრი

მრწამსის მერვე წევრი იკითხება ესე:

**და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისგან გამოვალს, მამისათანა და ძისათანა თაყვანის იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.**

მრწამსის მერვე მუხლი შეიცავს სწავლებას წმიდა სამების მესამე პირზე – წმიდა სულზე. სული წმიდა, მესამე პირი წმიდა სამებისა, არის ისეთივე ჭეშმარიტი და ძლიერი ღმერთი, როგორც მამა და ძე. საღმრთო წერილი ამოწმებს სული წმიდის ღვთაებობას, როცა მიაწერს: ა) ღვთიურ თვისებებს – ყოვლად-მეცნიერებას, ყოვლის შემძლებლობას, ყველგან მყოფობას, ბ) ღვთიურ სახელს, გ) ღვთიურ მოქმედებას, მაგალითად, ქვეყნის შექმნას, განგებულებას, მადლით მეორედ შობას, კაცთა განმართლებას და განწმენდას და დ) მამა ღმერთთან და ძესთან თანასწორობას. წმ. პეტრე მოციქულმა ანანიას სამხილებლად უთხრა: „რასათვის აღავსო გული შენი ეშმაკმან ცრუებად სულისა წმიდისა: არა ეცრუე შენ კაცთა, არამედ ღმერთსა.“ (საქმე. 5,3-4). სული წმიდა არის ცხოველსმყოფელი, იმიტომ რომ მამასთან და ძესთან ერთად აძლევს ცხოვრებას კაცთა და ყოველსავე ქმნილებას.

**პიროვნული ღირსება სულისა წმიდისა.** მრწამსის სიტყვები: – რომელი მამისაგან გამოვალს, გამოხატავს სულის წმიდის პიროვნულს თვისებას; ეს ის თვისებაა, რომ სული წმიდა მარადიულად გამოვალს მამისაგან. ეს პიროვნული თვისება სული წმიდისა ცხადად გამოთქვა იესო ქრისტემ შემდეგი სიტყვებით: „რაჟამს მოვიდეს ნუგემისმცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქვენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან სწამოს ჩემთვის.“ (იოანე. 15,26).

**სული წმიდის თანასწორობა მამასთან და ძესთან.** მრწამსის სიტყვებში: მამისა თანა და ძისა თანა თაყვანის იცემების და იდიდების, გვიჩვენებს სულის წმიდის თანასწორობას მამასთან და ძესთან. ამიტომ სული წმიდას, როგორც ღმერთს, შვენის ისეთივე თაყვანის-ცემა და პატივისცემა, როგორც მამას და ძეს. სული წმიდის თანასწორობა მამასთან და ძესთან დაფუძნებულია მაცხოვრის სიტყვებზე, რომლითაც მან მიმართა მოციქულებს: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.“ (მათე, 28.19).

მრწამსის სიტყვები: – რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ, - გვასწავებს, რომ საღმრთო წერილის წიგნები წინასწარმეტყველებმა დაწერეს სულიწმიდის შთაგონებით. რადგანაც ქრისტეანობის პირველ საუკუნეებში გაჩნდნენ ცრუ მოძღვარნი, რომელნიც ძველი აღთქმის წიგნებს სთვლიდნენ უბრალო კაცურ ნაწარმოებებად, ამიტომ მათ სამხილებლად, წმიდა მამებმა მრწამსში ჩაურთეს სწავლება იმის შესახებ, რომ სულიწმიდის შთაგონებით სწერდნენ წმიდა წინასწარმეტყველნი; რომ წინასწარმეტყველთა მიერ იტყოდა სული წმიდა, ამაზე საღმრთო წერილი ბრძანებს: „არა ნებითა კაცთათა მოსადმეიწია წინასწარმეტყველება, არამედ წვევითა სულისა წმიდისათა იტყოდეს წმიდანი ღმერთისა კაცნი.“ (2–პეტრ. 1,21). სული წმიდა მოციქულთა მიერაც იტყოდა, მაგრამ მრწამსში ეს არ არის მოხსენებული, იმიტომ რომ მრწამსის შედგენის ჟამს ამის შესახებ უთანხმოება არ აღძრულა. რომ მოციქულებიც სულიწმიდით განბრძნობილნი ქადაგებდნენ და სწერდნენ, ამაზე პეტრე მოციქული ბრძანებს, რომ მოციქულთ გამოეცხადათ, „რამეთუ არა თავთა თვისთა, არამედ თქვენ გამსახურებდეს, მან, რომელი ესე აწ მიგიტხრა თქვენ მახარობელთა მათ თქვენთა მიერ სულითა წმიდითა, მოვლინებულთა ზეცით.“ (1–პეტრე. 1,12). აქ მოციქულები იწოდებიან



მახარებლად სულითა წმიდითა. სული წმიდა გადმოვიდა მათზე ცეცხლის ენათა მსგავსად ქრისტეს ამაღლებიდან მეათე დღეს და მისცა ნიჭი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკისა.

## მრწამსის მეცხრე წევრი

მრწამსის მეცხრე წევრი იკითხება ესე:

**ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.**

**ეკლესია** არის ღვთისაგან დაწესებული საზოგადოება კაცთა, რომელნიც შეერთებულ არიან მართლმადიდებელი სარწმუნოებით, ღვთის სჯულით, იერარქიით და წმიდა საიდუმლოებით. ამ საზოგადოებაში მორწმუნენი სულიერად ვითარდებიან, აღორძინდებიან, უმჯობესდებიან და მტკიცდებიან ღმერთთან კავშირით.

**ეკლესია ქრისტესი** არ არის უბრალო სარწმუნოებრივი საზოგადოება კაცთა, იმიტომ რომ მასში დამკვიდრებულია მაღლი სულისა წმიდისა, მასში მუდამ ჰგებებს ქრისტე მაცხოვარი, რომელმაც უბრძანა მოციქულებს: „მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა, და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა.“ (მათე. 28,20).

ეკლესიას შეადგენენ ქრისტეანი მორწმუნენი, რომელნიც ცხოვრობენ ქვეყანაზე, მართალნიც და ცოდვილნიც, აგრეთვე მომავალი აღდგომისა და საუკუნო ცხოვრების სასოებით მიცვალებულნიც, - წმიდა კაცები და ანგელოზები, ამ რიგად, ეკლესია განიყოფება ორ ნაწილად: - ქვეყნიურ ანუ ხილულ ეკლესიად და ზეციურ ანუ უხილავ ეკლესიად. ქვეყნიურ ანუ ხილულ ეკლესიას ეწოდება კიდევ ეკლესია მებრძოლი, რადგანაც ებრძვის სარწმუნოების მტრებს, იღვწის და შრომობს თავის შვილთა აღზრდისათვის; უხილავ ეკლესიას ეწოდება ეკლესია მედღესასწაულეთა, რადგანაც თავისუფალია ბრძოლისა და განსაცდელისაგან, დღესასწაულობს ცოდვის მძლეველ ქრისტესთან.

**აზრი და დანიშნულება ეკლესიისა.** აზრი და დანიშნულება იესო ქრისტეს მოსვლისა სოფლად არის მოძიება და ცხოვრება წარწყმედულისა. რადგანაც ეკლესია არის განმაგრძობელი ქრისტეს საქმისა, ამიტომ განათლება და მეორედ შობა ცოდვილთა ახალი ცხოვრებისათვის, შეერთება მათი ქრისტესთან და მამა ღმერთთან და ამგვარად მიყვანება მათი ღვთის სასუფეველში არის აზრი და დანიშნულება ეკლესიისა: ეს აზრი ცხადად არის გამოთქმული წმ. პავლე მოციქულისაგან. „ქრისტემან შეიყვარა ეკლესია და თავი თვისი მიჰსცა მისთვის, რათა იგი წმიდა-ჰყოს, განსწმიდა იგი საბანელითა მით წყლისათა და სიტყვითა, რათა წარუდგინოს თავადმან თავსა თვისსა დიდებულად ეკლესია, რათა არა აქვდეს მწიკვლევენება, არცა ნაოჭ ბრძვილისა, არცა სხვა რა ესე-ვითარი, არამედ რათა იყოს წმიდა და უბიწო.“ (ეფეს. 5,25-27). გარდა ამისა, აზრი და დანიშნულება ეკლესიისა არის კიდევ გავრცელება მთელს ქვეყანაზედ და სრული ცნობა მისის წევრთაგან ღვთის ძისა. ამას ბრძანებს წმ. პავლე მოციქული შემდეგი სიტყვებით: „ქრისტემან მოსცნა, რომელნიმე მოციქულნი, რომელნიმე წინასწარმეტყველნი, რომელნიმე მახარებელნი, რომელნიმე მწყემსნი და მოძღვარნი, დასამტკიცებლად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებლად გვამისა ქრისტესისა.“ (ეფეს. 4,11-12).

**თავი ეკლესიისა - ქრისტე ღმერთი.** იესო ქრისტე მუდამ მტკიცე კავშირშია ეკლესიასთან, როგორც მისი უხილავი თავი. იესო ქრისტე არის ეკლესიისათვის წყარო ახალის, ცხოველის, წმიდა ცხოვრებისა. თვით ქრისტე ღმერთი ბრძანებდა, მე ვარ ვენახი ჭემმარტიო, ხოლო მორწმუნენი – რტოები, რომ უიმისოდ, მეორედ უმოხელად, დაუმყნელად ქრისტესთან შეუძლებელია ნაყოფიერება, როგორც ხისგან მოცილებულ

რტოსი; „თვინიერ ჩემსა არა რა ძალგიძსთ ყოფად არცა ერთი; არავინ მოვიდეს მამისა ჩემისა, გარნა ჩემ მიერ,“ - ბრძანა მაცხოვარმა. (იოანე. 15,1-16)

**ეკლესიის თვისებანი.** მრწამსში ჩამოთვლილია ეკლესიის თვისებანი. – ეკლესია არის ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო; ეს არის არსებითი თვისებანი ეკლესიისა და უამათოდ ეკლესია ეკლესიად აღარ იქნება.

**ერთობა ეკლესიისა.** ჭეშმარიტი ეკლესია არის ერთი. ქრისტემ დააფუძნა ერთი ეკლესია. როცა ბრძანებდა ეკლესიის შესახებ იგავებს, ისე ჰქონდა ეკლესია წარმოდგენილი, - ერთ სამწყსოდ, რომელსაც ჰყავს ერთი მწყემსი, ერთ ეზოდ ცხოვართათვის, ერთ ვენახად; უბრძანა მოციქულებს ექადაგათ ერთი სარწმუნოება, დააწესა ერთი ზიარება და ერთი ნათლისღება. „ერთ ხორც და ერთ სულ, ვითარცა იგი იჩინებით ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქვენისათა; ერთ არს უფალი, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლის-ღება, ერთ არს ღმერთი და მამა ყოველთა,“ - ბრძანებს მოციქული პავლე (ეფეს. 4,4-6).

ერთობა ეკლესიისა არის შინაგანი და გარეგანი. შინაგანი ერთობის საფუძველი არის ერთობა ეკლესიის თავისა და ერთობა მისი განმაცხოვრებელი სული წმიდისა. სული წმიდით ყველა მორწმუნე ერთიანდება ქრისტეს მიერ, რომელიც აძლევს ეკლესიას სიცოცხლეს, როგორც თავი სხეულს და ძირი – ტოტებს. გარეგანი ერთობა ეკლესიისა გამოიხატება ერთი სარწმუნოების აღსარებით, ანუ სჯულის მოძღვრების ერთობით, ღვთის მსახურებისა და საიდუმლოთა, სამღვდელოებისა და ეკლესიურ წყობილების ერთობით.

თუმცა არსებობენ სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიები, მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება ეკლესიის ერთობას, რადგანაც ადგილობრივი ეკლესიები ერთმანეთისაგან განირჩევიან მხოლოდ ადგილ-მდებარეობით, ენით, რომლითაც სრულდება ღვთის მსახურება, მაგრამ ყველა ისინი შეადგენენ ერთ ეკლესიას, როგორც მისი ნაწილნი.

არას არ ჰკარგავს ეკლესიის ერთობა იმის გამოც, რომ არსებობდნენ და არსებობენ ქრისტიანეთა საზოგადოებანი, რომელნიც გამოცალკევდნენ მსოფლიო ეკლესიისგან, ან სულაც არ ყოფილან მის ნაწილად. თუ ჭეშმარიტი ეკლესია ერთია, მაშ მასთან ერთად არ შეიძლება არსებობა სხვა ეკლესიისა, რადგანაც შეუძლებელია იყოს ორი ჭეშმარიტება, ორი სასუფეველი ღვთისა, ერთმანეთის უარყოფელი.

**კავშირი ზეციურ და ქვეყნიურ ეკლესიათა.** ქვეყნიურ ეკლესიას აქვს მტკიცე და მჭიდრო ერთობა ზეციურ ეკლესიასთან. ეს ერთობა და კავშირი, ეკლესიის სწავლებით გამოიხატება იმით, რომ წმიდანი წევრნი მედღესასწაულეთა ეკლესიისა, ანგელოზებთან ერთად შუამდგომლობენ ღვთის წინაშე ქვეყნიურ ეკლესიის წევრთათვის და ღვთის ნებით და მადლით საკეთილოდ მოქმედებენ ეკლესიის ქვეყნიურ წევრებზე. ქვეყნიური მებრძოლი ეკლესიის წევრნი – კი თაყვანსცემენ და პატივს მიაგებენ იმათ, ვინც ღმერთმა ადიდა სათნო ცხოვრებისათვის ცათა შინა, მათს ნაშთებს და ხატებს. ხოლო მათთვის, რომელთაც ჯერ არ ღირსებიათ დიდება ღვთისაგან, ლოცულობენ, რომ ღმერთმა მიუტეოს ცოდვანი და შერაცხოს წმიდათა შორის.

**შუამდგომლობა წმიდათა მორწმუნეთათვის.** მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს, რომ წმიდანნი ანგელოზებთან ერთად შუამდგომლობენ ღვთის წინაშე ქვეყნიური ეკლესიის წევრთა სულიერ წარმატებისათვის და შეეწევიან მათ გაჭირვებასა და განსაცდელში. წმიდანნი შემწენი არიან არა მარტო საზოგადოდ ყველასი, არამედ თითოეული კაცისაც კერძოსა და პირად საჭიროებაში.

ძველი აღთქმის ეკლესიაშიც სწამდათ, რომ წმიდანნი შუამდგომლობდნენ ღვთის წინაშე ქვეყნის მცხოვრებთათვის. ღმერთმა უბრძანა იერემია წინასწარმეტყველს: „უკეთუ დადგეს მოსე და სამუილ წინაშე ჩემსა, არა არს სული ჩემი მათდა მიმართ.“ (იერემია. 15,1) ამ

სიტყვებით უფალი გვაჩვენებს, რომ სხვა დროს და სხვა გარემოებაში მოსესა და სამუილს, მაშინ უკვე გარდაცვალებულთ, შუამდგომლობა გაუწევიათ მიწაზე ღვთის ერისათვის და მათი შუამდგომლობა შეწყნარებული ყოფილა. ახალი აღთქმის საღმრთო წერილში ჭეშმარიტება წმიდათა შუამდგომლობისა დამოწმებულია იოანე ღვთისმეტყველისაგან. მან იხილა, რომ ოცდაოთხი მოხუცებული ლოცულობდა ტარიგის (კრავის) წინაშე ცოდვილთათვის.

წმიდა კაცები ქვეყნად ცხოვრების ჟამს ეხმარებოდნენ მოყვასთ, რითიც და როგორც შეეძლოთ; ეს იყო შედეგი მათი სიყვარულისა. ხოლო, რადგანაც სიყვარული არა სადა დავარდების, ამიტომ წმიდა კაცებს სიყვარული მოყვასთადმი საიქიოსაც გადააქვთ და იქაც ზრუნავენ ქვეყნად მყოფ ეკლესიის წევრთათვის, მით უმეტეს დაეხმარებიან მათ ცათა შინა, როგორც უფრო დაახლოვებულნი ღმერთთან; ზეცაში კი მათი დახმარება მხოლოდ ღმერთთან შუამდგომლობით გამოიხატება.

**ლოცვით მოწოდება წმიდათა ქვეყნიურ ეკლესიაში.** წმიდათა შუამდგომლობა წინაშე ღვთისა ქვეყნიური ეკლესიის წევრთათვის განსაცდელისა და საჭიროების დროს არის მტკიცე საფუძველი მათის მოწოდებაში ლოცვაში ცოდვილთაგან. უნდა მოუწოდოთ წმიდათა ლოცვაში, როგორც ღმერთთან დაახლოვებულთ და შუამდგომელთ, რომელთაც შეუძლიათ განაძლიერონ წინაშე ღვთისა ჩვენი ლოცვა და გამოითხოვონ მისგან წყალობა ჩვენთვის. ასეთი მოწოდება წმიდათა თანახმაა საღმრთო წერილისა და სათნოა ღვთისა. მაგალითად, ღმერთმა უბრძანა აბიმელექს ეთხოვა აბრაამისათვის ლოცვა წინაშე ღვთისა; და მართლაც აბრაამის ლოცვით ღმერთმა დაიფარა აბიმელექის ოჯახი. იობის ლოცვით ღმერთმა აპატია მის მეგობრებს შეცოდებანი. ახალი აღთქმის საღმრთო წერილში იაკობ მოციქული გვიბრძანებს: „ულოცევდით ურთიერთსა, რათა განიკურნეთ; რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა შეწევნად.“ (იაკობ. 5,16)

საღმრთო წერილიდან ცხადად სჩანს, რომ ზეცაში მყოფმა წმიდანებმა იციან საჭიროება და ისმენენ ქვეყნიური ეკლესიის წევრთა ლოცვებს. ქვეყნად ცხოვრების დროსვე ჰქონდათ ნიჭი ცოდნისა და შორს ხედვისა. მაგალითად, პეტრე მოციქულმა იცოდა განზრახვა ანანიასი, რომელმაც დამალა ვერცხლი; ელისე წინასწარმეტყველმა შეიტყო გიეზის განზრახვა და განუცხადა ისრაილთა მეფეს ასურეთის მეფის საიდუმლო განზრახვანი. მაშ, თუ ქვეყნად ცხოვრების ჟამს წმიდანებს ჰქონდათ ნიჭი დაფარული ცოდნისა და წინასწარ-ცოდნისა, მით უმეტეს ღვთის წინაშე დგომის ჟამს აქვთ ეს ნიჭი.

**თაყვანის-ცემა წმიდათა** გამოიხატება იმით, რომ მორწმუნენი მოკრძალებით იხსენებენ წმიდათა ღვაწლს იმ აზრით, რომ მიმბაძველ იქმნენ მათი; მორწმუნენი ადიდებენ მათს სიწმიდეს დღესასწაულობით, მათ სახელზე ტაძრების აშენებით, სანთელთა ანთებით და საკმევლის კმევით მათი ხატების წინაშე. ამასთანავე ეკლესია გვასწავლის, რომ წმიდანებს თაყვანი უნდა ვსცეთ, არა როგორც ღმერთს, არამედ როგორც ღვთის მეგობრებს, ღმერთთან დაახლოვებულთ, რომელნიც გახდნენ წმიდანები ღვთის მადლით.

**წმიდათა ნაწილთა თაყვანის ცემა.** წმიდანებთან ერთად, ეკლესია თაყვანსა სცემს მათ სხეულს ანუ ნაწილს, თუ ღმერთს ნებავეს ამ ნაწილთა დიდება უხრწნელებითა და სასწაულებით გამოაჩინოს. წმიდა ეკლესიამ დააწესა დღესასწაული წმიდა ნაწილთა აღმოყვანებისა, ერთი ქალაქიდან ქვეყნის მეორე ქალაქსა და ქვეყანაში გადასვენების დღეს: წმიდა ეკლესია აშენებს ტაძრებს, სადაც სიფრთხილით ინახავს ნაწილებს, მორწმუნენი ანთებენ წმიდა ნაწილების წინაშე სანთლებს და აკმევენ საკმეველს.

წმიდა ნაწილთა თაყვანისცემა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებიდანვე მომდინარეობს. მორწმუნენი დიდი მოწიწებით ინახავდნენ იოანე წინამორბედის და

მოციქულების ნაწილებს. დევნულების დროს საწამებელ ადგილებიდან გადაჰქონდათ მოწამეთა სხეულნი, ან სხეულის ნაწილნი, პატივით ასაფლავებდნენ მათ ნემსს და საფლავებზე იკრიბებოდნენ წირვის შესასრულებლად. აქედან მომდინარეობს ჩვეულება ტრაპეზში წმიდა ნაწილების ჩაყოლებისა. დევნულების გათავების შემდეგ, მორწმუნენი აშკარად და დაუფარავად სცემდნენ თავყვანს ნაწილებს. აღმოყვანება და გადასვენება ნაწილებისა სრულდებოდა დიდის დღესასწაულობით და ბრწყინვალეობით.

წმიდა ნაწილთა თავყვანისცემა დამყარებულია საღმრთო წერილზე. ძველი აღთქმის საღმრთო წერილში მოთხრობილია, მაგალითად, რომ ელისე წინასწარმეტყველის ძვლების შეხებით აღსდგა მკვდრეთით ერთი მიცვალებული; ილიას ხალენით ელისე წინასწარმეტყველმა განაპო იორდანე და განვიდა შიგ. პავლე მოციქულის ოლარისა და თავსახვევების შეხებით იკურნებოდნენ სნეულნი.

უწინაც იყვნენ და ახლაც არიან წმიდა ნაწილთა თავყვანისცემის უარისმყოფელნი. ისინი ჰსხნიან ნაწილთა უხრწნელებას ბუნებისა და ნიადაგის გავლენით. მაგრამ ეკლესია არასოდეს არ სთვლიდა წმიდა ნაწილებად მხოლოდ უხრწნელ სხეულს. უხრწნელება სხეულისა არ არის მაჩვენებელი მისი სიწმიდისა. უტყუარი მაჩვენებელი ნაწილების სიწმიდისა არის მათი სასწაულმოქმედება; ამიტომ, თუმცა უხრწნელად ინახება ეხლაც ზოგიერთი სხეული მღვდელთ-მთავართა, რომელნიც ცნობილნი იყვნენ სიცოცხლეში წმიდა ცხოვრებით, მაგრამ, რადგანაც მათგან არავითარი სასწაული არ მომხდარა, ამიტომ ისინი არც ითვლებიან წმ. ნაწილებად. ცარიელი უსხეულო ძვლებიც ხშირად წმ. ნაწილებად არის მიჩნეული, რადგანაც მათგან სასწაულები ხდება. წმ. ნაწილების უხრწნელობის ახსნა ნიადაგის გავლენით არ არის საბუთიანი. გაუხრწნელი სხეულები ხშირად უპოვნიათ იმისთანა ადგილებშიც, რომელიც ხელს უწყობდა გახრწნას. წმიდა ნაწილები, თუმცა ერთი ადგილიდან მეორეში გადააქვთ, თუმცა მათ ეხებიან მორწმუნენი, მაინც მთელი საუკუნეების განმავლობაში უხრწნელი რჩება.

**ხატთა თავყვანისცემა.** წმიდათა ნაწილებთან ერთად წმიდა ეკლესია მოკრძალებით პატივსა და თავყვანს სცემს მათ გამოხატულებასაც. ხატთა თავყვანისცემა ის არის, რომ მორწმუნენი მათ წინაშე სანთელს ანთებენ, საკმეველს აკმევენ, ეამბორებიან გამოსახულებას და საკვირველ-მოქმედ ხატთა პოვნის და გამოცხადების დღეს დღესასწაულობენ. ამასთანავე ეკლესია გვასწავლის, რომ თავყვანს ვცემთ არა იმ მასალას, ან საღებავებს, რომლითაც დახატულია ხატი, არამედ იმათ, რომელნიც გამოსახულნი არიან. ხატები უხვად მოიპოვება ყოველ მართლმადიდებელ ეკლესიაში და კერძო სახლებში და ცხადად და თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ ერთობას ზეციურ და ქვეყნიურ ეკლესიათა შორის.

ხატთა თავყვანისცემის საფუძვლად საღმრთო წერილი იძლევა მრავალ მაგალითს ქერაბინთა თავყვანისცემისას, ღვთის ნებით და ბრძანებით. ქერაბინთა სახენი მოსემ დადგა საწამებლის კარავში, რომელნიც ღვთის ბრძანებით გააკეთა. სჯულის კიდობნის თავზე მოსემ, ღვთის ბრძანებით, დადგა ორი ოქროს ქერაბინი მარჯვენა და მარცხენა მხარეზე. კრეტსაბმელზედ, რომელიც ჰყოფდა წმიდა წმიდათას წმიდა კარავისაგან და რომელიც უდრის ეხლანდელ ტაძრის კანკელს, იყო მოქარგული სახე ქერაბინთა. კარავს საწამებლისას კედლების და სახურავის მაგივრად ჰქონდა ფარდები, შიგნითა მხარეზედ მოქარგული ქერაბინები უდრიან ეხლანდელ ტაძრების კედლების და გუმბათის მოხატულობას. სოლომონ მეფის ტაძარში უფრო მეტი იყო ქერაბინთა სახენი. წმიდა წმიდათაში სოლომონმა დადგა ორი სახე – ქანდაკი ქერაბინთა კვიპაროზისა მოოქროვილი და ტაძრის კურთხევის დროს ამ ქერაბინთა ფრთებ ქვეშ დასდგეს კიდობანი სჯულისა; ტაძრის ყველა კედელზეც მეფე სოლომონმა გააკეთებინა ჩუქურთმიანი ქერაბინნი; კარებზედაც, რომელიც ჰქონდა წმიდა წმიდათას და რომელიც ეხლანდელ აღსავლის კარებს უდრის, იყო ქერაბინთა სახენი; სტოვის

კარებზეც იყო ქერაბინთა სახე. უფალმა არამც თუ არ ჩაუთვალა სოლომონს დანაშაულად ტაძარში ქერაბინების დადგმა, პირიქით, განსაკუთრებული სათნო-ყოფაც გამოუცხადა, როგორც ტაძრის ამშენებელს, ისე თავის ტაძარს.

თუ ქერაბინთა სახენი გააკეთა მოსემ ღვთის ბრძანებით და ისინი იხარებოდნენ ტაძარში, არ იქნება წინააღმდეგობა სჯულისა, რომ ასეთივე ბრძანება ღვთისა გავრცელებულ იქნას ხატების ხმარებაზედ ეკლესიებში და მათ გარეშეც. ასეთი ხმარება რომ წინააღმდეგი ყოფილიყო ღვთის სჯულისა, ამას უთუოდ ბრძანებდნენ ქრისტეც და მოციქულებიც. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ქრისტეს არასოდეს არ უბრძანებია წყრომა ტაძრისა და მის წმიდა კუთვნილებათა, პირიქით, იცავდა ტაძარს, როგორც წმიდა და ღვთის სამყოფელ ადგილს; მოციქულებიც ხშირად დადიოდნენ ტაძარში საქადაგებლად და სალოცავად და ამით დაამოწმეს, რომ ქრისტეანულ ტაძრებშიც შესაფერია და ნებადართულია წმიდა გამოსახულებანი.

ანგელოზების და წმიდა კაცების ხატთან ერთად ქრისტეანეთა ეკლესია თაყვანსა სცემს ღვთაების ხატსაც. მამა ღმერთი იხატება, როგორც მხცოვანი, ძე ღვთისა იესო ქრისტე – როგორც ბავშვი, ყრმა და ასაკოვანი კაცი, სული წმიდა – როგორც მტრედი, სული წმიდის ნიჭები – ცეცხლის ენათა მსგავსად.

რადგანაც ებრაელთა ერი მიდრეკილი იყო კერპთ-თაყვანისმცემლობისადმი, ამიტომ ძველ აღთქმაში აკრძალული ჰქონდა გამოხატვა ჭეშმარიტი ღვთისა რომელისამე განსაზღვრულის სახით, რომ ხალხს არ შეეძარებინა იგი წარმართთა ღმერთებთან. ახალ აღთქმაში კი ღმერთი გამოსჩნდა ხორციითა და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც დიდება მხოლოდ შობილისა მისა; იესო ქრისტე იყო ბრწყინვალე დიდებისა და ხატი არსებისა ღვთისა. რომელმან მიხილა მე, მამაცა იხილაო, - უბრძანა მან ფილიპე მოციქულს. სული წმიდაც გამოცხადდა, როცა გარდამოვიდა იესო ქრისტეზე მტრედის და მოციქულებზე ცეცხლის ენათა სახით. ამ განცხადებათა შემწეობით დარწმუნდნენ, რომ მოვიდა დრო ღვთის თაყვანისცემისა ხატებითაც, რომ ხალხი სულიერად მომწიფდა და ღვთაების დახატვა განსაკუთრებული სახეებით, რომლითაც იგი გამოცხადდა, არ იქნება მიზეზი ჭეშმარიტი ღვთის დადარებისა წარმართთა ცრუ ღმერთებთან.

საქრისტეანო ეკლესიაში ხატთა თაყვანისცემას დასაწყისი აქვს უძველეს დროში. ძველ ეკლესიის გარდამოცემის თანახმად, პირველი ხატი იყო ხელთ უქმნიელი ხატი მაცხოვრისა, რომელიც გამოიხატა ტილოზე თვით მაცხოვრისაგან ავგაროზ მეფესათან წარსაგზავნელად. ამგვარივე გარდამოცემა ხატების პირველ მხატვრად სთვლის ლუკა მოციქულს, რომელსაც მიაწერს ღვთისმშობლის პირველი ხატის დახატვას. ამ რიგად, ჯერ ისევ მოციქულთა დროიდანვე შემოსულა ქრისტეანეთა შორის ხატების ხმარება. უეჭველია, რომ ქრისტეანობის პირველ და მეორე საუკუნეშიც ხატების თაყვანისცემა გავრცელებული იყო მიუხედავად დევნულებისა. რასაკვირველია, სწორედ დევნულების შიშით ხატთა თაყვანისცემა არ იყო ცხადი და აშკარა. შიშის გამო ქრისტეანენი მაცხოვრის ხატის მაგივრად ხმარობდნენ მაგალითად, ხატს კეთილი მწყემსისას, რომელსაც მხრებით კრავი მიჰყავდა, იხმარებოდა აგრეთვე სახე კრავისა, თევზისა, ღუზისა, ფარშევანგისა (ნიშანი უკვდავებისა), მტრედისა (სახე სულისა წმიდისა), ფენიქსისა. გარდა ამისა, მეორე და მესამე საუკუნეებში იხმარებოდა კიდევ მაცხოვრის ცხადი ხატიც, ხატი ღვთისმშობლისა იესო ქრისტეთი ხელში, მოგვთა თაყვანისცემა, აბრაამისაგან ისააკის მსხვერპლად შეწირვა, მოსესგან წყლის გამოდინება კლდიდან და სხვა.

მეოთხე საუკუნიდან კი, როცა დასცხრა დევნულება წარმართთაგან, ხატები იხმარებოდა ყველგან – სახლებშიც და ეკლესიებშიც. მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებამ კი

საბოლოოდ დააკანონა ხატთა თაყვანისცემა. სასწაულები, რომლებსაც იქმს ღმერთი წმიდა ხატების შემწეობით, არის ერთი უდიდესი საბუთთაგანი ხატთა თაყვანისცემის სასარგებლოდ.

დასასრულ, შემდეგნი მოსაზრებანიც ასაბუთებს ხატთა თაყვანისცემის კანონიერებასა და სიკეთეს. თუ ბუნებრივია, რომ ყველას სურს იქონიოს სახე, ანუ სურათი საყვარელ და პატივცემულ კაცისა, რომლის ნახვაც პირადად არ შეუძლია, განა ბუნებრივი არ არის, რომ ქრისტიანებმაც იქონიონ ხატები იქონიონ უფლისა, მის წმიდათა, ანგელოზებისა და წმ. კაცთა, რომ ამ ხატთა თაყვანისცემით აზრით ამაღლდნენ პირველ ხატამდე? ხატები გაგვახსენებენ ღვთის აურაცხელ წყალობას და იმ დამოკიდებულებას, რომელიც უნდა ვიქონიოთ მათთან. იმ ღვაწლს, რომლითაც უნდა მივბაძოთ იმათ. ამიტომ ძველები ხატებს სამართლიანად უწოდებდნენ ყველასათვის ადვილად გასაგებ და ხელ მისაწვდომ წიგნებად.

ქვეყნიურ და ზეციურ ეკლესიის ერთობა გამოიხატება აგრეთვე ლოცვით და ქველმოქმედებით, ქვეყნიურ ეკლესიის წევრთა სარწმუნოებით და სინანულით გარდაცვალებულთათვის.

**სიწმიდე ეკლესიისა.** ეკლესია არის წმიდა იმოტომ, რომ წმიდაა მისი დამფუძნებელი და თავი – იესო ქრისტე და მისი მმართველი – სული წმიდა. იესო ევნო და ქრისტემ დასთხია სისხლი იმისთვის, რომ ეკლესია ჰყოს წმინდად და უბიწოდ. ისტორია ეკლესიისა მოწმობს, რომ ეკლესიაში მუდამ იყვნენ დიდი და მაღალი სიწმიდის კაცები. მოწამენი, აღმსარებელნი, ღირსნი, მმარხველნი, ნეტარნი, მართალნი, მაგრამ რადგან ეკლესიის სიწმიდის საფუძველი თავია მისი და არა წევრნი, და რადგან ეკლესიას აზრად აქვს განწმედა და სრულყოფა ცოდვილთა, ამიტომ მის წევრად ცოდვილნიც ითვლებიან. თვით მაცხოვარმა ამსგავსა ეკლესია ყანას, რომელშიც წმინდა პურთან ღვარძლიც არის, ბადეს, რომელსაც მოჰყვება ხოლმე კარგიც და უსარგებლო თევზიც. მაგრამ ცოდვილნი წევრნი სულაც არ უშლიან ხელს ეკლესიის სიწმიდეს, რადგანაც ეკლესიას აქვს ღონისძიება ცოდვილ წევრთა გამოსწორებისა. ზოგნი ცოდვილ წევრთაგანნი ეკლესიის მოქმედებით ინანიებენ ცოდვებს, ხოლო რომელნიც მოუწანიებელნი რჩებიან და არცა სურთ სინანული, ისინი განიკვეთებიან ეკლესიის სხეულიდან, როგორც უსარგებლო ასონი, ან ეკლესიის ხილული მოქმედებით ან ღვთის უხილავი მოქმედებით. მათ ხელმეორედ შეუძლიათ, მონანიების შემდეგ, დაუბრუნდნენ ეკლესიას.

ეკლესიის სიწმიდესთან დაკავშირებულია მისი უცთომელობა. უცთომელობა დაფუძნებულია სიწმიდეზე, - ეკლესია უცთომელია იმიტომ, რომ წმიდაა, თვით მაცხოვარი არის თავი ეკლესიისა და ჰგვიბს ეკლესიასთან საუკუნოდ, აღავსებს ეკლესიას. მაშ, შეუძლებელია, რომ ეკლესია შესცდეს, როგორც შეუძლებელია შესცდეს მისი დამაარსებელი ქრისტე და განმაცხოვრებელი სული წმიდა. ამიტომ შეუძწიკვლელად ინახება ეკლესიაში საღმრთო ჭეშმარიტება.

ეკლესია იცავს ქრისტეს მოცემულ ჭეშმარიტებას უცვალებლად. ეს ჭეშმარიტება მონიჭებული გვაქვს ცხოვრების სახელმძღვანელოდ, - იმისთვის, რომ შეგვეძლოს მართლად და საცხოვრებლად რწმენა ღვთისა და ღირსეულად თაყვანისცემა მისი; ეს ჭეშმარიტება მოცემულია ყველა დროსთვის. თუ ამ ჭეშმარიტებას მოემატება რაიმე სიცრუე წარყვნით, მაშინ დაითრგუნება ღვთის სარწმუნოებაც და თაყვანისცემაც. ამიტომ მოცემული ჭეშმარიტება უნდა ინახებოდეს სრულად, უცვალებლად, შეურყვევლად. არც არაფერი უნდა მიემატოს, არც არაფერი უნდა მოაკლდეს. ამრიგად, ეკლესიის უცთომელობის საგანია მხოლოდ ის ჭეშმარიტება, რომელიც მოცემულია საღმრთო განცხადებით. როცა ვამბობთ –

ეკლესიის მოძღვრება უცთომელიაო, ამით ვამტკიცებთ მხოლოდ იმას, რომ ეს მოძღვრება უცვალებელია, იგივეა, რომელიც მოეცა დასაბამიდანვე.

მცველი ამ გარდმოცემული ჭეშმარიტებისა არის თვითონ სხეული ეკლესიისა, ესე იგი მორწმუნენი, ანუ ერი. აღმოსავლეთის პატრიარქნი ბრძანებენ: "მცველი კეთილ მსახურებისა არის თვით სხეული ეკლესიისა, ანუ ერი". ამიტომ ამ შემთხვევაში შეუძლებელია გაყოფა ეკლესიისა ორ უთანასწორო ნაწილად – მასწავლებელ და მსმენელ ეკლესიად, თითქოს სამღვდელოება, თანახმად თავისი ვალდებულებისა, შეგნებით იცავდეს ჭეშმარიტებას, ერი კი მხოლოდ მორჩილებით იღებდეს მონაწილეობას ჭეშმარიტების დაცვაში. ყოველი შვილი ეკლესიისა – მწყემსიც და არ მწყემსიც – ვალდებულია მიაღწიოს სიწმიდეს.

ეკლესიის უცთომელობის გამომხატველნი არიან მსოფლიო საეკლესიო კრებანი.

**ეკლესია არის კათოლიკე.** ანუ, მსოფლიო, საყოველთაო, განუსაზღვრელი დროთი, ადგილითა, ერთი; ეკლესია შეიცავს ყველა დროის და ყოველგან მყოფ ჭეშმარიტ მორწმუნეებს.

ქრისტეს ეკლესია არ განისაზღვრება ადგილით: შეიცავს ცასა და ქვეყანას, რადგანაც ამ ეკლესიას ეკუთვნიან, როგორც ქვეყანაზე მყოფნი მორწმუნენი, ისე მიცვალებულნი აღდგომის სასოებით და სარწმუნოებით. თვით მაცხოვარმა უბრძანა მოციქულებს ექადაგათ მთელ ქვეყანაზე მისი სჯული და იმიტომ მიეცათ ნიჭი სხვადასხვა ენით ლაპარაკისა.

ეკლესიის მსოფლიოობა, საყოველთაოობა არ მოითხოვს უთუოდ, რომ ყველგან არსებობდეს ქვეყნად; ეკლესია ვრცელდება თანდათანობით; ის არის კათოლიკე – საყოველთაო თავისი დანიშნულებით, ამიტომ ეკლესიას მოციქულთა დროშიც და პირველ საუკუნეებშიც ეწოდებოდა კათოლიკე, თუმცა არ იყო ისე ვრცელი, როგორც შემდეგ და მისი საზღვრები დევნულების გამო შემოკლდებოდა ხოლმე.

ეკლესია არის კათოლიკე კიდევ იმიტომ, რომ არ განისაზღვრება დროთი. თვით ქრისტემ აღუთქვა მორწმუნეებთან ყოფნა აღსასრულამდე სოფლისა. შესაძლებელია მომავალში შემცირება ეკლესიისა, გაცემა მისი, როგორც თვით ქრისტეს ჰყავდა გამცემელი, მაგრამ შეუძლებელია ეკლესიის მოსპობა.

**ღვთის ეკლესია არის სამოციქულო,** ესე იგი გავრცელებული მოციქულთაგან, მათი ქადაგებით, შრომითა და ღვაწლით, და იცავს მოციქულთაგან გარდამოცემულ სწავლა-მოძღვრებას უცვალებლად და მტკიცედ. ამიტომ, თუ რომელსამე ეკლესიას არ ჰყავს საფუძვლად მოციქული, ის არც არის ქრისტეს ეკლესია. ჭეშმარიტ ეკლესიაში უნდა იყოს ყოველივე ის, რაც იყო მოციქულთა დროის ეკლესიაში. ამიტომ, სამოციქულო ეკლესია მხოლოდ ის არის, რომელსაც აქვს თვით მოციქულთაგან მემკვიდრეობა სული წმიდის ნიჭითა ხელდასხმით, ესე იგი რომელშიც მემკვიდრეობა იერარქიისა შეუწყვეტლად მომდინარეობს თვით მოციქულთაგან და რომელიც იცავს სამოციქულო გარდამოცემას მოძღვრებისა, მღვდელთ-მოქმედებასა და ეკლესიის წეს-წყობილებაში.

ამგვარი მემკვიდრეობა და ერთგულება სამოციქულო გარდამოცემათა დაცულია აღმოსავლეთის ეკლესიაში. არავის არ გასჩენია ეჭვი, რომ ამ ეკლესიაში შეუწყვეტლად მიმდინარეობს ხელდასხმა მოციქულთა დროიდან და თვით მისი მტრებიც მოწმობენ, რომ აღმოსავლეთის ეკლესიამ დაიცვა მოციქულთაგან გარდამოცემული სწავლა-მოძღვრება და წეს-წყობილება. ამიტომ აღმოსავლეთის ეკლესიას სამართლიანად ეკუთვნის წოდება – მართლმადიდებელი ეკლესია.



## მრწამსის მეათე წევრი

მრწამსის მეათე წევრი იკითხება ესე:

**აღვიარებ ერთსა ნათლის-ღებასა მოსატევებლად ცოდვათა.**

ეს მუხლი შეიცავს სწავლას საიდუმლოთათვის, მაგრამ აქ მოხსენიებულია მხოლოდ ერთი საიდუმლო – ნათლის-ღება, იმიტომ რომ ნათლის-ღება არის კარი, შემყვანებელი ქრისტეს ეკლესიაში, და კიდევ იმიტომ, რომ მრწამსის შედგენის დროს კამათი იყო, საჭიროა თუ არა მეორედ მონათვლა ზოგიერთი მწვალებლისათვის და აი, ამის გადასაწყვეტად მრწამსში მოიხსენიეს, საკმარისია მხოლოდ ერთხელ ნათლის-ღება.

**საიდუმლო არის თვით იესო ქრისტესგან დაწესებული საღმრთო მოქმედება, რომლითაც მოქმედებს მორწმუნეზე მადლი და ძალი ღვთისა.** ამ რიგად საიდუმლოში გაირჩევა: 1) საღმრთო დაწესება, 2) ხილული მოქმედება და 3) უხილავი მოქმედება ღვთის მადლისა.

ღმერთი არის ერთადერთი წყარო და მომცემი მადლისა, ამიტომ არავის სხვას, გარდა ღვთისა, არ შეეძლო დაწესება საიდუმლოებისა, რომელშიც კაცს ენიჭება მადლი. იესო ქრისტემ, რომელიც არის თავი ეკლესიისა და რომელმაც გარდამოუვლინა მოციქულებს მადლი სულისა წმიდისა, დააწესა წმიდანი საიდუმლონი ზოგი მკვდრეთით აღდგომამდე, ზოგიც აღდგომის შემდეგ, ორმეოცი დღის განმავლობაში, როცა ეცხადებოდა მოციქულებს და ასწავებდა სასუფეველისათვის ღვთისა.

**რიცხვი საიდუმლოთა.** მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს შვიდ საიდუმლოს: ა) ნათლის-ღება, ბ) მირონ-ცხება, გ) ზიარება, დ) სინანული, ე) მღვდლობა, ვ) ქორწინება, ზ) ზეთის კურთხევა. თუმცა ყველა საიდუმლოში კაცს ეძლევა მაცხოვრებელი ძალა ღვთისა, მაგრამ თითოეულ საიდუმლოშიც ეძლევა განსაკუთრებული მადლი.

ნათლის-ღებაში კაცი საიდუმლოდ იშვება სულიერი ცხოვრებისათვის, მირონ-ცხებაში იღებს სულიერად აღმზრდელს და ამალორძინებელ მადლს, ზიარებაში – სულიერად საზრდოობს; სინანულში იკურნება სულიერ სნეულებათაგან – ცოდვათაგან; მღვდლობაში იღებს მადლს სხვების აღზრდისას სულიერი მოძღვრებით და საიდუმლოებით; ქორწინებაში იღებს მეუღლეობის, შვილების შობის და აღზრდის მაკურთხეველ მადლს; ზეთის კურთხევაში იკურნება სულიერ და ხორციელ სნეულებათაგან.

**სინამდვილე საიდუმლოთა.** მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით, საიდუმლო ნამდვილია და მადლი ღვთისა უეჭველად გადმოდის კაცზე მაშინ, როდესაც შესრულებულია წესიერად, სწორად. სწორი და წესიერი შესრულება საიდუმლოსი ის არის, რომ შესრულების დროს დაცულ იქმნას ყოველივე მოთხოვნა აღმასრულებელისა და თვით აღსრულების შესახებ.

საიდუმლოს აღმსრულებლად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონიერად არჩეული და კანონიერად ხელ-დასხმული მღვდელთმთავარი და მღვდელი.

საიდუმლოს აღსრულების დროს უნდა დაცულ იქმნას და აღსრულებულ იქნას, რაც არის ამ საიდუმლოში უცვალებელი, ღვთისაგან მოცემული კუთვნილება. თითოეული საიდუმლოს შესრულების დროს უნდა იხმარებოდეს ის ნივთიერება, რომელიც ბრძანა თვით საიდუმლოს დამწესებელმა (მაგალითად: ნათლის-ღებისათვის – წყალი, მირონ-ცხებისათვის - მირონი, ზიარებისათვის - პური და ღვინო და სხვა) და განსაზღვრული ხილული ნიშანი (მაგალითად: ნათლის-ღებაში სამ-გზის წყალში შთაფლვა და სხვა). საიდუმლოს სინამდვილისათვის საჭიროა კიდევ "მოწვევა სულისა წმიდისა და ცნობილი ფორმა სიტყვათა, რომლებითაც მღვდელი განსწმენდს საიდუმლოს ძალითა სულისა წმიდისათა."



მოწვევა სულიწმიდისა და წარმოთქმა დაწესებულ სიტყვათა აძლევს გარეგან მოქმედებას საიდუმლოს შესრულების დროს – საიდუმლო-მადლიან მნიშვნელობას.

### ა) ნათლის-ღება

**ნათლის-ღება არის საიდუმლო, რომელშიც მორწმუნე სხეულის წყალში სამ-გზის შთაფლვით და მოწოდებით ღვთისა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა განიწმიდება ცოდვისაგან და მეორედ იშვება ახალ სულიერ ცხოვრებისათვის.**

**დაწესება ნათლის-ღებისა.** ამ საიდუმლოს დაწესება შეემდო მხოლოდ თვით ქრისტეს. ქრისტემდე იყო მხოლოდ ზოგიერთი წესი, რომელიც გარეგნობით ჰგავდა ნათლის-ღებას (მაგ. ნათლის-ცემა იოანესი, ურიათა წყლით განბანა). იოანესაგან ნათლის-ღებით თვით მაცხოვარმა განწმინდა და აკურთხა წყალიც და ნათლის-ღებაც. მაგრამ თვით დაწესება ნათლის-ღებისა, როგორც საიდუმლოსი, მოხდა იესოს მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, როცა ორმოც დღის განმავლობაში ეცხადებოდა მოციქულებს და ასწავებდა. გამოეცხადა იესო მოციქულებს და უბრძანა: „მომეცა მე ყოველი ხელმწიფება ცათა შინა და ქვეყანასა ზედა; წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი, და ნათელს-სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქვენ.“ (მათე. 28,18-20); „რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ჰსცხოვნდეს; ხოლო რომელსაც არა ჰრწმენეს დაისაჯეს.“ (მარკ. 16,16). ამ სიტყვებით ნათლის-ღება არის საიდუმლო ყველასათვის და სამუდამოდ დაწესებული აღსასრულამდე სოფლისა. მოციქულებმა სული წმიდის მოვლის შემდეგ ჰქადაგეს ქრისტეს მოძღვრება და ნათელ-სცეს მრავალთ. მათ შემდეგ ამ საიდუმლოს ასრულებენ მღვდლები.

**ხილული მხარე ნათლის-ღებისა.** ნათლის-ღების საიდუმლოს ხილულს მხარეს ეკუთვნის: 1) მასალა საიდუმლოსათვის – წყალი, 2) შთაფლვა წყალში სამ გზის და 3) სიტყვები: ნათელს იღებს მონა ღვთისა, სახელისა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.

**უხილავი მოქმედება ნათლის-ღებისა.** ნათლის-ღებაში მორწმუნე განმართლდება და განიწმიდება, როგორც პირველ ქმნილ, ისე პირად, საკუთარ ცოდვებისაგან, რომელიც უქმნია ნათლის-ღებამდე. პეტრე მოციქული მაგალითად უბრძანებდა ახალ მორწმუნეებს: „შეინანეთ და ნათელს-იღეთ კაცად კაცადმან თქვენმან, სახელითა იესო ქრისტესითა მისატევებლად ცოდვათა.“ წმიდა მოციქული ანანია ეუბნება სავლეს: „აღსდეგ და ნათელ-იღე და განიბანენ ცოდვანი შენნი.“ (საქმე. 22,16). პავლე მოციქული სწერს კორინთელთა, რათა განიბანენ, განიწმინდნენ და განმართლდნენ სახელითა უფლისა იესოსითა.

**ნათლის-ღება ბავშვთა.** ნათლის-ღება საჭიროა ყველასათვის, როგორც ბრძანებს მაცხოვარი, „უკეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესვლად სასუფეველსა ღვთისასა.“ (იოანე. 3,5). ეკლესია გვასწავლის, რომ ნათლის-ღება საჭიროა ბავშვთათვისაც, რადგანაც ისინიც ექვემდებარებიან პირველ ქმნილს ცოდვას და ნათლის – უღებელად ვერ მიიღებენ ამ ცოდვის შენდობას. უფალმაც აგვიხსნა ეს, როცა ბრძანა პირდაპირ: უკეთუ ვინმე არა იშვეს, ე. ი. ქრისტე მაცხოვრის მოსვლის შემდეგ ყველანი, ვისაც უნდა შესვლა ზეცათა სასუფეველში, უნდა მეორედ იშვნენ. ხოლო თუ ბავშვებს ესაჭიროებათ ცხოვნება, მაშასადამე, ნათლის-ღებაც ესაჭიროებათ. ისინი კი, ვინც მეორედ არ შობილან და არ

მიუღიათ შენდობა პირველ ქმნილ ცოდვისა, თანამდებ არიან საუკუნო სასჯელისა ამ ცოდვისათვის და არც სცხონდებიან. მაშასადამე, ბავშვთათვისაც საჭიროა ნათლის-ღება (ეპისტოლე აღმოსავლეთის პატრიარქთა). ბავშვთა ნათლის-ღების საბუთიც ისიც არის, რომ ძველ აღთქმაში ღმერთმა უბრძანა მოსეს ბავშვთა წინადაცვეთა; ახალ აღთქმაში წინადაცვეთა შეიცვალა ნათლის-ღებით, მაშასადამე, თუ ბავშვები წინადაცვეთებოდნენ, უნდა მოინათლონ კიდევ. ბავშვთა ნათლის-ღება ეკლესიაში შემოღებულია მოციქულთა დროიდან. მოციქულებმა მონათლეს მთელი ოჯახი კორნილიოსისა, ლვიდიასი, სტეფანაისი; უეჭველია ამ ოჯახებში ბავშვებიც იქნებოდნენ. (საქმე. 10,47-48; 16,31-34; 19,5-6)

რადგანაც ბავშვებს არ შეუძლიათ აღიარონ, ან დაამტკიცონ თავისი სარწმუნოება, ამიტომ მათ ნათელს-სცემენ მშობელთა და მიმრქმელთა, რომ აღზრდიან და განამტკიცებენ მართლმადიდებელ სარწმუნოებაში ნათლულებს, სანაცვლოა ბავშვთა სარწმუნოებისა. სახარებიდან ვიცით მაგალითები, რომ მაცხოვარი, ამა თუ იმ კაცის სარწმუნოების მეოხებით, ჰკურნებდა სნეულებას, - მაგალითად, ქანანელის ქალის ეშმაკისეულის ასულის განკურნება, განკურნება ყრუ-მუნჯისა (მათე. 15, 22-28), (მარკ. 9, 17-26). სხვისი სარწმუნოების მეოხებით არა მარტო სხეულზედ, სულზედაც-კი გადმოდიოდა მადლი ღვთისა; ასე მოხდა განკურნება განრღვეულისა, რომელიც მოიყვანეს იესოსთან და ჩაუშვეს სახლის სახურავიდან; მაცხოვარმა იხილა სარწმუნოება განრღვეულის მომყვანთა, მიუტევა განრღვეულს ცოდვანი და შემდეგ განკურნა კიდევ.

ნათლის-ღება სრულდება ერთხელ და მისი გამეორება აღარ შეიძლება. ნათლის-ღება არის სულიერი შობა, ხოლო რადგანაც კაცი ხორციელად ერთხელ იშვება, სულიერი შობაც ერთი უნდა იყოს.

ნათლის-ღების ჟამს იხმარება ზოგიერთი წესი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, შეფუცება. მღვდელი შეფუცების ლოცვებში, იესო ქრისტეს სახელით, უბრძანებს ეშმაკს განვიდეს მოსანათლად განზადებულ ბავშვისაგან და ნულარ დაბრუნდება; შემდეგ მიმრქმელი ნათელ-ღებადის მაგივრად სამ-გზის აღიარებს, რომ განაგდებს სატანას და შეუდგება ქრისტეს და სწამს იგი, ვითარცა ღმერთი და მაცხოვარი და წაიკითხავს მრწამსს. წყალში შთაფლვის წინ ნათელ-ღებადს სცხებენ ზეთს, ქრისტესთან შეერთების ნიშნად; წყლიდან აღმოყვანის შემდეგ, აცმევენ თეთრ სამოსელს, ნიშნად სულისა განწმედისა, აძლევენ ჯვარს, ნიშნად სურვილისა იესოს მცნების აღსრულებისა: „რომელი ჰნებავ შემოდგომად ჩემდა, უარ-ჰყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდეგინ მე.“ (მათე. 16,24), დასასრულ, მოჰკვეცენ ჯვარის სახედ თმას, ნიშნად ქრისტეს მორჩილებისა.

## **ბ) მირონცხება**

ნათლის-ღებით კაცი იშვება სულიერ ცხოვრებისათვის და, განწმენდილ-განმართლებული, შედის ქრისტეს სასუფეველში, მაგრამ, როგორც ბუნებრივს ცხოვრებაში კაცისთვის შობის შემდეგვე საჭიროა ჰაერი, სინათლე, საზრდო, ისე სულიერ ცხოვრებაში განსამტკიცებლად კაცისათვის საჭიროა მადლი და ძალი სულისა წმიდისა. **მირონცხება არის საიდუმლო, რომელშიაც მორწმუნეს სხეულის ნაწილთა ნაკურთხს მირონის ცხებით, სული წმიდის სახელით, ეძლევა ნიჭნი სულისა წმიდისანი, აღმალორძინებელნი და განმამლიერებელნი სულიერს ცხოვრებაში.**

სახარებაში ცხადად არის მოხსენებული, რომ მირონცხება დაწესებულია იესო ქრისტესაგან, მაგრამ, უეჭველია, რომ ეს საიდუმლო ღვთის დაწესებულია. იესო ქრისტე ცხადად ასწავლიდა, რომ ყველა მორწმუნე მიიღებს სული წმიდის მადლს (იოან. 8, 27-39).

მოციქულები მოქმედებდნენ სული წმიდის შთაგონებით და გარდამოიწვევდნენ ხოლმე სული წმიდის მადლს იმ მორწმუნეებზე, რომელნიც უკვე ნათელდებულ იყვნენ, ხელდასხმით, რომელიც მალე თვითონ მოციქულებმაც შესცველეს მირონ-ცხებით. როცა ფილიპე დაიკონმა მონათლა სამარიელები და შეატყობინა ეს ამბავი იერუსალიმში მყოფ მოციქულებს, ამათ გაჰგზავნეს სამარიელებთან მოციქულები პეტრე და იოანე იმ აზრით, რომ გარდამოიწვიათ მათზე მადლი სულისა წმიდისა. ასევე პავლე მოციქულმა ხელდასხმით გარდამოიწვია სული წმიდა მონათლულ ეფესელებზე. აქედან სჩანს, რომ მოციქულების დროს გაირჩეოდა ერთმანეთისაგან ნათლის-ღება და სული წმიდის მადლის გარდამოწვევა ხელდასხმით და რომ ეს გარდამოწვევა ისევე საჭიროდ ითვლებოდა მორწმუნეთათვის, როგორც ნათლისღება.

ახალ აღთქმის სხვა საღმრთო წიგნებიდან სჩანს, რომ მოციქულთა დროსვე შემოიღეს ხელდასხმის მაგიერ, მირონის ცხება მორწმუნეთაგან სული წმიდის ნიჭთა მისაღებად. ამის მიზეზი ალბად ის იყო, რომ ნათელდებულთა სიმრავლის გამო მოციქულები ვერ ახერხებდნენ ყველას ხელდასხმას და ამიტომ დაიწყეს კურთხევა მირონისა, რომელსაც, მათის ნებართვით, მღვდელნი სცხებდნენ ნათელ-ღებულთ.

**ხილული, გარეგანი მხარე მირონცხებისა** ის არის, რომ მღვდელი ნაკურთხ მირონს სცხებს ნათელ-ღებულს შუბლზე, მკერდზე, ყურებზე და თვალებზე, ხელებზე და ფეხებზე და წარმოთქვამს თითოეულ ცხებაზე: - ბეჭედი ნიჭისა სულისა წმიდისა.

**უხილავი მხარე, შინაგანი მოქმედება მირონცხებისა** ის არის, რომ მორწმუნეს ეძლევა მადლი სულისა წმიდისა, საჭირო სულიერ ცხოვრებისათვის. ამასთან განიწმიდება მთელი არსება ქრისტეანისა და შეიქმნება ღვთის სახლად და სული წმიდის სადგურად. შუბლზე მირონ-ცხებით განიწმიდება გონება და აზრი, თვალებზე და ყურებზე მირონცხებით – გრძნობანი, მკერდზე მირონცხებით განიწმიდება გული და გულის თქმანი, ხელებსა და ფეხებზე მირონცხებით განიწმიდება ყოველივე საქმე და მოქმედება ქრისტეანისა.

მირონცხება არ განმეორდება ისევე, როგორც ნათლის-ღება. მართლმადიდებელ მეფეთა მირონცხება არ არის ცალკე საიდუმლო, არამედ უმაღლესი საშუალება სული წმიდის ნიჭთა მოცემისა დიდი სამეფო მსახურებისათვის.

## **გ) ზიარება**

**ზიარება არის საიდუმლო, რომელშიც მორწმუნე, პურისა და ღვინის სახით, მიიღებს იესო ქრისტეს ჭეშმარიტს ხორცს და ჭეშმარიტს სისხლს საუკუნოდ საცხოვრებლად.**

ეს წმიდა საიდუმლო ზიარებისა იესო ქრისტემ დააწესა თავისი ვნების და სიკვდილის წინ საიდუმლო სერობაზე, როცა აიღო პური, აკურთხა, განსტეხა, მისცა მოციქულებს და უბრძანა: - მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი; შემდეგ აიღო სასუმელი, აკურთხა, გადასცა მოციქულებს და უბრძანა: - „ჰსუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა;“ შემდეგ დაუმატა: „ამას იქმოდეთ მოსახსენებლად ჩემდა.“ ამ რიგად დაწესდა ერთი უდიდესი ახალ აღთქმის საიდუმლოთაგანი. იესოს მცნების თანახმად, მოციქულები მუდამ ასრულებდნენ ამ საიდუმლოს, მაცხოვრის მოსახსენებლად. სრულდება ეს საიდუმლო ეხლაც და შესრულდება მუდამ, ვიდრე არსებობს ქვეყნიერება.

**ხილული მხარე ზიარებისა.** ზიარების საიდუმლოს ხილული მხარეა მასალა, რომელიც იხმარება საიდუმლოსათვის – პური და ღვინო და ღვთის მსახურება, რომელზედაც სრულდება თვით ეს საიდუმლო.

პური, რომელიც იხმარება საიდუმლო ზიარებისათვის, უნდა იყოს ხორბლისა, გაღვივებული, სუფთად მომზადებული და გამოცხობილი. თვით იესომ, საიდუმლო სერობის დროს, როცა დააწესა ზიარება, განუტეხა და მისცა მოციქულებს გაღვივებული პური.

ზიარებისათვის შემზადებულ პურს ეწოდება "ტარიგი", რადგანაც წარმოადგენს თავით თვისით ვნებულს, იესო ქრისტეს, ისე როგორც ძველ აღთქმაში ქრისტესვე წარმოადგენდა ტარიგი პასექისა.

ღვინო ზიარებისათვის უნდა იყოს ნამდვილი ყურძნის, სუფთად დაყენებული, წითელი; საიდუმლოს აღსრულების დროს, ღვინოში ურევენ წყალს მოსახსენიებლად იმისა, რომ იესო ქრისტეს გვერდიდან გადმოვიდა სისხლი და წყალი, როცა უგმირა ლახვარი ერთმა მხედართაგანმა.

მღვდელ-მოქმედებს, რომელზედაც მზადდება მასალა ამ საიდუმლოსათვის, ეწოდება ლიტურგია, ანუ წირვა, ხოლო იმ ნაწილს წირვისას, რომელზედაც სრულდება თვით საიდუმლო - ლიტურგია მართალთა. მღვდელი იტყვის მაცხოვრის სიტყვებს: მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, ჰსუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი... შემდეგ წინა დაგებულ ძღვენზე (პურსა და ღვინოზე) გარდამოიწვევს სული წმიდას ლოცვით და სიტყვებით: გარდმოავლინე სული შენი წმიდა ჩვენზედა და წმიდასა ამას ძღვენსა ზედა და, დასასრულ, აკურთხეbs სამ-გზის პურსა და ღვინოს შემდეგი სიტყვების წარმოთქმით: "ჰყავ უკვე პური ესე პატიოსან ხორც ქრისტეს შენისა, ხოლო ბარძიშსა ამას შინა - პატიოსან სისხლ ქრისტეს შენისა, - შესცვალე სულითა შენითა წმიდითა". ამ სიტყვების წარმოთქმის დროს, სრულდება დიდი და კაცის გონებისათვის მიუწვდომელი საიდუმლო, პური და ღვინო გარდაიქცევა ქრისტეს ჭეშმარიტ ხორცად და სისხლად. თუმცა მიუწვდომელია კაცის გონებისათვის საიდუმლო პურისა და ღვინის შეცვლისა სისხლად და ხორცად, მაგრამ ეკლესია მაინც იძლევა რამდენიმე განმარტებას ასაცილებლად არასწორ წარმოდგენათა ამ საიდუმლოს შესახებ.

ა) თუმცა პური და ღვინო გარდაიქმნება ქრისტეს სისხლად და ხორცად, მაგრამ ქრისტე იმყოფება ამ საიდუმლოში, არა მარტო ხორცით და სისხლით, არამედ მთელი არსებით, როგორც ღმერთი სრული და კაცი სრული; „რომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, ჩემთანა დადგრომილ-არს, და მე მისთანა,“ - ბრძანა იესომ. (იოანე. 6,56)

ბ) თუმცა მორწმუნეთა საზიარებლად ქრისტეს სისხლი და ხორცი განიყოფება ბევრ ნაწილად, მაგრამ აქ განიყოფება მხოლოდ სახე პურისა და ღვინისა, რომელთაც ვხედავთ, თორემ თავის თავად კი სისხლი და ხორცი განუყოფელია. თითოეულ შეცვლილ პურსა და ღვინის პატარა ნაწილში იმყოფება არა რომელიმე პატარა ნაწილი უფლის ხორცისა და სისხლისა, არამედ მთელი ქრისტე ღმერთ-კაცი: ამიტომ მსოფლიო ეკლესია მუდამ ამბობს: "განიტეხების და განიყოფის ტარიგი ღვთისა, რომელი განიტეხების და არა განიყოფის, მარადის იჭამების, და არა დაიღვევის, არამედ მაზიარებელთა განსწმენდს". მიმღებელი სისხლისა და ხორცის მცირე ნაწილისა მიიღებს მთელს ქრისტეს.

გ) თუმცა ერთსა და იმავე დროს სრულდება ქვეყანაზე მრავალი წირვა, მაგრამ ყველგან ერთი და იგივე ქრისტეა ჭეშმარიტად და ნამდვილად და ყველა ეკლესიაში არის მისი ერთი და იგივე სისხლი და ხორცი. ეს იმიტომ კი არა, რომ ხორცი უფლისა, რომელიც არის ზეცას, ჩამოდის ეკლესიაში, არამედ იმიტომ, რომ პური და ღვინო, რომელიც ცალ-ცალკე მზადდება სხვადასხვა ეკლესიაში და შეიცვლება სისხლად და ხორცად, ერთი და იმავედ ხდება ღვთის ხორცთან, რომელიც არის ზეცას. უფალს ყოველთვის აქვს ერთი ხორცი და არა ბევრი, ბევრ ადგილას.

**შინაგანი მოქმედება ზიარებისა მორწმუნეზე.** ზიარება იესო ქრისტემ დაადგინა სულიერ საზრდოდ მორწმუნეთათვის და ამ საზრდოს მიმდებელი მორწმუნენი მიიღებენ დიდთა კეთილთა სულისათვის. სულიერად და ხორციელად მორწმუნენი უკავშირდებიან იესოს: „რომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, ჩემთანა ჰკიეს და მე მისთანა.“ (იოანე. 6,56)

იესო ქრისტეს სისხლის ღირსეულ მაზიარებელთა ეძლევათ მიტევება ცოდვათა, რადგანაც თვით მაცხოვარმა ეს საიდუმლო დააწესა მისატევებელად ცოდვათა. მაზიარებელი იესოს სისხლისა და ხორცისა ხდება მონაწილე საუკუნო ცხოვრებისა - „რომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქენდეს ცხოვრება საუკუნო და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა.“ (იოანე. 6,53-54)

ზიარება საჭიროა ყოველი ქრისტიანისათვის და პირველნი ქრისტიანენი ეზიარებოდნენ ხოლმე ყოველ კვირას.

### **დ) სინანული ანუ აღსარება**

**სინანული არის საიდუმლო, რომელშიც მორწმუნე აღმსარებელი ცოდვათა მღვდლის წინაშე, მიიღებს ცოდვათა მიტევებას იესო ქრისტესაგან უხილავად.**

ეს საიდუმლო დააწესა იესო ქრისტემ, როცა უბრძანა მოციქულებს: „მიიღეთ სული წმიდა უკეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ.“ (იოანე, 20,22-23).

**ხილული მხარე საიდუმლოსი.** ხილული მხარე სინანულის საიდუმლოსი ის არის, რომ მორწმუნე აღიარებს ცოდვებს ღვთის წინაშე მღვდელთან და მღვდელი კითხულობს ლოცვას, რომელშიც ევედრება ღმერთს, შეუხდეს აღმსარებელს ცოდვანიო.

**უხილავი მოქმედება ამ საიდუმლოსი** ის არის, რომ ცოდვათა აღმსარებელი უხილავად თვით ქრისტესაგან განიკურნება და განიწმიდება ცოდვათაგან, ურიგდება ღმერთსა და წმიდა ეკლესიას. იოანე მოციქული ბრძანებს: „უკეთუ აღვიარნეთ ცოდვანი ჩვენნი, სარწმუნო არს და მართალ, რათა მოგვიტევნეს ჩვენ ცოდვანი ჩვენნი და განწმიდნეს ჩვენ ყოვლისაგან სიცრუისა.“ (იოანე, 1,9).

როდის და როგორ უნდა ესარგებლათ ეკლესიის მწყემსთ იესოსგან მინიჭებული უფლებით ცოდვათა მიტევებისა, ამაზე იესო ქრისტეს პირდაპირ არა უბრძანებია რა, მაგრამ, თუ მივხედავთ მის მოძღვრებას, მივხვდებით, რომ ცოდვათა მიტევება ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ აღმსარებელი გულწრფელად ინანიებს ცოდვებს და აქვს მტკიცედ გადაწყვეტილი, აღარ შესცოდოს, თუ მტკიცედ სწამს ღვთის წყალობა, თუ აღიარა ცოდვები, როგორც უძღებმა შვილმა, მეზვერემ. ზაქემ, ცოდვილმა დედაკაცმა, რომელმაც ცრემლებით განბანა იესოს ფეხები; ყველა ამათ მიიღეს მიტევება ცოდვათა მხოლოდ მას შემდეგ, როცა არა მარტო შეინანეს, არამედ აღიარეს კიდევ ცოდვები.

მოციქულებიც სარგებლობდნენ ქრისტესაგან მოცემული უფლებით, მაგალითად, პავლე მოციქულმა შეუხდო ცოდვები ეფესელებს.

ხანდახან, დიდ ცოდვათა და სინდისის ქენჯნის გამო, მღვდელი აღმსარებელს დაადებს ეპიტემიას, ანუ საკანონოს, ურჩევს აღასრულოს ისეთი საქმე, რომელიც შეაძლებინებს ცოდვილ ჩვეულებათა ძლევას; მაგალითად, ზარმაცებს ურჩევს ხშირად სიარულს წირვა-ლოცვაზედ, ანგარებს - მოწყალების გაცემას და სხვა. მძიმე ცოდვისათვის მღვდელს შეუძლია, სულაც არ აზიაროს მორწმუნე.



## ე) მღვდლობა

მღვდლობა არის საიდუმლო, რომელშიც კანონიერად არჩეულ მორწმუნეს სული წმიდა, მღვდელთ-მთავრის ხელდასმით, დაადგენს აღსასრულებლად საიდუმლოთა და მწყემსად ქრისტეს ეკლესიას.

საიდუმლო მღვდლობა დაწესებულია იესო ქრისტესაგან. მან გამოირჩია თორმეტი მოციქული, მისცა ხელმწიფება მოძღვრებისა და საიდუმლოთა შესრულებისა; ამალეების შემდეგ, მაცხოვარმა გარდამოუვლინა სული წმიდა მოციქულებს, რომელმაც მისცა სამსახურებლად საჭირო ძალი. მოციქულები ქადაგებდნენ ქრისტეს სწავლებას სხვადასხვა ქვეყანაში, ირჩევდნენ მორწმუნეთაგან ღირსეულთ, რომლებსაც ხელდასმით ეძლეოდათ მაღლი მღვდლობისა; ამ რიგად არჩეულ იქმნენ დიაკონნი და შემდეგ ხუცესნი (მღვდელნი) და, დასასრულ ეპისკოპოზნი, რომელთაც მოციქულებმა გადასცეს თავისი საღმრთო უფლება ხელდასხმისა რჩეულთა და მომზადებულთა.

**ხილული მხარე საიდუმლოსი** მღვდელთ-მთავრის ხელდასხმა, რომელიც შეკავშირებულია ლოცვასთან, საიდუმლო ესე ყოველთვის სრულდება წირვაზე საკურთხეველში.

ეპისკოპოსად ხელდასხმა სრულდება შესვლის შემდეგ, მღვდლად - ძღვენთა კურთხევის შემდეგ. მღვდლად და დიაკონად კურთხევა შეუძლია ერთ ეპისკოპოზს, ეპისკოპოზის კურთხევაში კი მონაწილეობა უნდა მიიღოს ორმა ეპისკოპოზმა მაინც.

**უხილავი მოქმედება ამ საიდუმლოსი** ის არის, რომ მორწმუნეს მღვდელთ-მთავრის ხელდასხმით ეძლევა, თანახმად მის მომავალ მსახურებისა, სამღვდლო მაღლი სულისაგან წმიდისა. ამის შესახებ ცხადად უბრძანებს პავლე მოციქული ტიმოთე მღვდელთ-მთავარს: „მოგახსენებ შენ განცხოველებად მხურვალედ მაღლსა მას ღმრთისასა, რომელ არს შენთანა დასხმითა ხელთა ჩემთათა;“ (2-ტიმ. 1,6) იგივე მოციქული ეუბნება ეფესელ მწყემსთ: „ეკრძალენით უკუე თავთა თქვენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა ეგე თქვენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოღვაწედ და მწყსად ეკლესიასა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა.“ (საქმე. 20,28).

**გარჩევა მღვდლობის ხარისხითა.** მღვდელობაში გაირჩევა სამი ხარისხი: ა) ეპისკოპოზისა, ბ) მღვდლისა და დ) დიაკონისა. ეპისკოპოზობა არის უმაღლესი ხარისხი ეკლესიაში. ეპისკოპოსი არის მასწავლებელი სჯულისა და აღმასრულებელი ყველა საიდუმლოსი; მისგან იღებენ ხელდასხმას მღვდელი და დიაკონი. მღვდელი ასრულებს ზოგიერთ საიდუმლოს ეპისკოპოსის ხელდასხმით და ნებართვით; დიაკონი მხოლოდ მსახურობს საიდუმლოთა შესრულების დროს; შესრულება საიდუმლოთა და მღვდელთ-მოქმედება არ შეუძლიათ. საიდუმლო მღვდელობა არ განმეორდება.

## ვ) ქორწინება

ქორწინება არის საიდუმლო, რომელშიც ეკლესია აკურთხებს სასიძოსა და სასძლოს მეუღლურ კავშირს სახედ ქრისტეს სულიერ კავშირისას ეკლესიასთან და ითხოვს მათთვის მაღლს ერთსულოვნებისას შვილთა შობისათვის და ქრისტეანულად აღზრდისათვის.

თვით ღმერთმა დააწესა და აკურთხა მეუღლური კავშირი სამოთხეშივე, როდესაც მიუყვანა ადამს ცოლი ევა და უთხრა: „აღორძინდით და განმრავლდით და აღავსეთ ქვეყანა.“ (დაბადება. 1,28) ახალ აღთქმაში თვით მაცხოვარმა აკურთხა მეუღლეთა ქორწილი კანას გალილიას მისვლით ქორწილში და საბოლოოდ დაამტკიცა კანონი ქორწინებისა, როცა

ბრძანა: „რომელნი იგი ღმერთმა შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნ.“ (მათე. 19,6). პავლე მოციქული ქორწინებას ჰრაცხს დიდ საიდუმლოდ; „საიდუმლო ესე დიდ არს, ხოლო მე ვიტყვი ქრისტესათვის და ეკლესიისა.“ (ეფეს. 5,32-33). მაშ საიდუმლო ქორწინება ყოფილა განუყრელი კავშირი სიყვარულისა, მსგავსი ქრისტეს კავშირისა ეკლესიასთან.

**ქორწინების ხილული მხარეა** აღთქმა სასიძოსი და სასძლოსი ეკლესიისა და მღვდლის წინაშე, რომ ერთმანეთის თანხმობით და არა იძულებით იქორწინებენ და დაიცავენ კავშირს განუყრელად ცხოვრების დასასრულამდე: კურთხევა მათ კავშირისა მღვდლისაგან, როცა დაადგავს თავზედ გვირგვინს და იტყვის: უფალო ღმერთო, დიდებითა და პატივითა გვირგვინოსან ჰყავ ესენი.

**უხილავი მხარე** ამ საიდუმლოსი ის არის, რომ თვით ღმერთი საიდუმლოდ აკურთხევს, ამტკიცებს მათს კავშირს სახედ თავის კავშირისა ეკლესიასთან და აძლევს მადლს შვილების აღსაზრდელად.

ქორწინება არ არის სავალდებულო ყველა მორწმუნესათვის, ვისაც შეუძლია დაიცვას სიწმიდე და სურს შესწიროს თავისი ძალა ღვთისა და მოყვასისადმი სამსახურს, მას ქრისტე და მოციქულები ურჩევენ უქორწინებლად დარჩენას (მათე. 19, 11-12). (1-კორ. 7,32-33...38).

## **ზ) ზეთის კურთხევა**

**ზეთის კურთხევა არის საიდუმლო, რომელშიც სხეულის ნაწილთა ნაკურთხი ზეთის ცხების დროს მოიწვევის სნეულზე მადლი ღვთისა, განმკურნებელი სულიერ და ხორციელ უძლურებათა.**

საიდუმლო ზეთის კურთხევისა დაწესებულია იესო ქრისტესაგან. მან წარგზავნა მოციქულები ურიასტანის სოფლებსა და ქალაქებში და მისცა ხელმწიფება ყოველთა სენთა და უძლურებათა განკურნებისა; მოციქულებიც ჰქადაგებდნენ „და სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განკურნებდეს.“ (მარკ. 6,13). შემდეგ ეს საიდუმლო მოციქულებმა გადასცეს მღვდლებს, როგორც სჩანს წმ. იაკობ მოციქულის სიტყვებიდან: „უძლურ თუ ვინმე არს თქვენს შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა და ილოცონ მის ზედა, და ჰსცხონ მას ზეთი სახელითა უფლისათა; და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი, და აღადგინოს იგი უფალმან; დადაცათუ ცოდვაი რაიმე ექმნეს, მიეტეოს მას.“ (იაკობ. 5,14-15).

**ხილული მხარე ზეთის კურთხევისა** არის შვიდ-გზის ცხება ნაკურთხ ზეთითა და ღვინით სნეულის შუბლისა, ნიკაპისა, თვალებისა, ყურებისა, ხელებისა, ფეხებისა, გულის ლოცვა, რომლითაც მღვდელი სთხოვს ღმერთს განკურნოს სნეული: სახარების დასვენება სნეულის თავზე.

**უხილავი მხარე** ამ საიდუმლოსი ის არის, რომ სნეული იკურნება სენთა და ცოდვათაგან.

ზეთის კურთხევა უნდა შეასრულოს შვიდმა მღვდელმა, მაგრამ, თუ შვიდი ვერ შეიკრიბა, ერთიც შეასრულებს.



## მრწამსის მეთერთმეტე წევრი

მრწამსის მეთერთმეტე წევრი იკითხება ესე:

**მოველი აღდგომასა მკვდრეთით.**

მრწამსის მეთერთმეტე წევრი შეიცავს სწავლებას მკვდრეთით აღდგომაზე.

**აღდგომა მკვდრეთით არის აღდგომა და განცხოველება ღვთის ძალით თვით იმ სხეულთა, რომელნიც შეერთებულ იყვნენ სულებთან ამ ცხოვრების განმავლობაში.**

ახალი აღთქმის საღმრთო წერილი სიცხადით ამტკიცებს მომავალ აღდგომის სინამდვილეს. იესო ქრისტე ბრძანებს: „მოვალს ჟამი, რომელსაც ყოველთა რომელნი იყვნენ საფლავებსა, ისმინონ ხმისა მისისა (ღვთის ძისა) და გამოვიდნენ კეთილის მოქმედნი აღდგომასა ცხოვრებისასა, ხოლო ბოროტის მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა.“ (იოანე. 5,28-29). პავლე მოციქულიც ბრძანებს მკვდართა აღდგომისათვის და ხსნის მკვდართა აღდგომას პურის მარცვლის მსგავსებით, რომელიც ჯერ უნდა დალპეს და მერე ამოვიდეს. (1-კორ. 15,35-54)

აღდგებიან მკვდრეთით ყველა მიცვალებულნი, მართალნიც, ცოდვილნიც, მორწმუნენი და ურწმუნონიც ერთსა და იმავე დროს - ქრისტეს მოსვლის დღეს. ამ რიგად, აღდგომა მკვდართა იქნება საყოველთაო და ერთ-დროებითი. (მათე. 25,31-46; იოანე. 5,29; )

**განახლება ცოცხალთა.** იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის დროსთვის ყველანი არ მოკვდებიან ხორციელად, არამედ ზოგნი ცოცხლად დარჩებიან, მაგრამ რადგანაც ხრწნილები უხრწნელებს ვერ დაიმკვიდრებს (1-კორ. 15, 50), ამიტომ ცოცხლად დარჩენილთა სხეულები, ერთად მკვდრებისებთან, უხრწნელნი შეიქმნებიან, სწრაფი განახლების გამო. წმ. პავლე მოციქული სწერს კორინთელებს; „აჰა ესერა საიდუმლოსა გითხრობ თქვენ: ყოველთავე უკუე არა შევისვენოთ, ხოლო ყოველნივე განვახლდეთ, მეყსა შინა წამსა თვალისასა უკანასკნელითა მით საყვირითა; რამეთუ საყვირსა დაეცეს, და მკვდარნი იგი აღსდგენ უხრწნელნი და ჩვენ განვახლდეთ; რამეთუ ჯერ არს ხრწნილისა ამის შემოსვად უხრწნელები და მკვდართა ამის შემოსვად უკვდავებაი.“ (1-კორ. 15,51-53). სხვა ეპისტოლეში იგივე მოციქული ბრძანებს: „ხოლო ამას გეტყვით თქვენ სიტყვითა უფლისათა, ვითარმედ ჩვენ ცხოველნი ესე, რომელ დაშთომილ ვიყვნეთ მოსვლასა მას უფლისასა, ვერ მივეწიფნეთ შესვენებულთა მათ: რამეთუ თავადი უფალი ბრძანებითა და ხმითა ანგელოსთ-მთავართა და საყვირითა ღმრთისათა. გარდამოხდეს ზეცით, და მკვდარნი იგი ქრისტეს-მიერნი აღსდგენ პირველად; მაშინლა ჩვენ, ცხოველნი ესე, რომელნი დაშთომილნი ვიყვნეთ, მათ თანავე აღვიტაცნეთ ღრუბლითა შემთხვევად უფლისა ჰაერთა ზედა.“ (1-თეს. 4,15-17). როგორც აღდგომა მკვდართა იქნება საყოველთაო, აგრეთვე განახლდებიან ყველანი, ვინც კი დარჩებიან ცოცხლად იესოს მოსვლამდე.

**თვისება მკვდრეთით აღდგომილ და განახლებულ სხეულთა.** არსებით მკვდრეთით აღდგომილთ ხორცი იქნება ისეთივე, როგორც ეხლა არის, მაგრამ ექნება ახალი თვისებანი: „ჯერ არს ხრწნილისა ამის შემოსვად უხრწნელები და მოკვდავისა ამის შემოსვად უკვდავებაი.“ (1-კორ. 15,53) ესე იგი ხორცმა, რომელსაც ახლა ჰფლობს სული, უნდა შეიმოსოს უხრწნელობა და უკვდავება და არა რომელსამე სხვამ.

პავლე მოციქული გვიჩვენებს იმ თვისებასაც, რომელიც ექნება მკვდრეთით აღდგომილ და განახლებულ ხორცს - „დაეთესვის ხრწნილებით, და აღსდგების უხრწნელებით; დაეთესვის გინებით, და აღსდგების დიდებით; დაეთესვის უძლურებით, და აღსდგების ძლიერებით; დაეთესვის ხორცი მშვინვიერი, და აღსდგების ხორცი სულიერი.“ (1-კორ. 42, 44). ამ სიტყვებიდან სჩანს, რომ მკვდრეთით აღდგომილთა და განახლებულთა სხეული იქნება: ა)

უხრწნელი, ესე იგი არ განიხრწნება, არ მიეცემა სნეულებას, ტკივილს და უძლურებას; აღარ იქნება მათთვის საჭირო სასმელ-საჭმელი; ბ) ძლიერი, ეხლანდელ უძლური სხეულის მაგიერ. უძლურება ჩვენი სხეულისა ის არის, რომ იმყოფება გარეგანი გავლენის ქვეშ; იმაზედ მოქმედებს ჰაერი, სასმელ-საჭმელი; მკვდრეთით აღდგომის და განახლების შემდეგ კი ხორცი აღარ იგრძნობს დაღალვას, აღარ დასჭირდება დასვენება და ძილი, სასმელი და საჭმელი. დიდების სასუფეველში აღარ იქნებიან მოხუცნი და ბავშვები, რომლებსაც სჭირდებოდათ მოვლა-პატრონობა და სხვისი ყურადღება.

მკვდრეთით აღდგომილი სხეულები იქნებიან სულიერნი და არა მშვინვიერნი, როგორც ეხლა. ეხლანდელი ხორცი მეტ ნაწილად მშვინვიერია; კაცის სულსა და ხორცს შორის ბრძოლაა; ხორცი იმორჩილებს სულს და ბატონობს იმასზედ; აღდგომის შემდეგ კი ხორცი ჩვენი იქნება სულიერი, უკვდავი, უვნებელი; ხორცი შეიქნება სულის მორჩილ იარაღად. დასასრულ, დიდება იქნება გვირგვინი სხეულის ყველა თვისებათა, მას მიენიჭება ყველა მისთვის მისაწვდომი სისრულე და წაერთმევა შეურაცხყოფა.

**განახლება ქვეყნისა და ქმნილებათა.** წინაპართა ცოდვის გავლენით ხილული ქვეყანაც დამორჩილებულია ხრწნილებისაგან: ეხლანდელი ქვეყანა ისეთი არის, როგორც იყო უფლისაგან შექმნის დროს. ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს, როცა აღსდგებიან მკვდარნი და განახლდებიან ცოცხალნი, ბუნება და ქვეყანაც განთავისუფლდება წინაპართა ცოდვის შედეგის გავლენისაგან და განახლდება, შეიქმნება უხრწნელი და ცოდვისა აღარა შერჩება-რა.

მდგომარეობა მიცველებულების სულთა საზოგადო აღდგომამდე:

სიკვდილი თითოეულის კაცისა არის განშორება სულისა და ხორცისა, ხორცი იქცევა მიწად, სული კი, ხორცისაგან განშორების შემდეგაც, განაგრძობს სიცოცხლეს; მაგრამ ეს სიცოცხლე სულისა, ხორცის სიკვდილის შემდეგ, ყველასათვის ერთნაირი არ არის. მართალთა სულნი მხოლოდ გრძნობენ ნეტარებას. ცოდვილთანი კი გრძნობენ ტანჯვას. მაგრამ ეს ნეტარება და ტანჯვა არ არის საბოლოო და საუკუნო. "გვრწამს, რომ მიცვალებულთა სულნი ნეტარებენ ან იტანჯებიან საქმეთაებრ მათთა. მაგრამ არ განიცდიან არც სრულ ნეტარებას, არც სრულ ტანჯვას, რადგანაც სრულ ნეტარებას, ან სრულ ტანჯვას თითოეული მიიღებს საზოგადო აღდგომის შემდეგ." (ეპისტოლე აღმოსავლეთის პატრიარქთა).

ასეთი მდგომარეობა სულისა გადაწყდება ხოლმე კერძო განკითხვაზე. ეს განკითხვა იწოდება კერძოდ, რათა განვარჩიოთ საზოგადო განკითხვისაგან, რომელიც იქნება სოფლის აღსასრულის ჟამს.

რომ ნეტარება მართალთა და ტანჯვა ცოდვილთა იწყება სიკვდილის შემდეგვე, ეს მტკიცდება საღმრთო წერილით. იესო ქრისტეს იგავიდან ვიცით, რომ ლაზარე მაშინვე, სიკვდილის შემდეგ, წაიღეს ანგელოზებმა აბრაამის წიაღში; მონანულ ავაზაკს იესომ უბრძანა, დღესვე ჩემთან იქნები სამოთხეშიო, ესე იგი მაშინვე, სიკვდილის შემდეგვე. (ლუკა. 23,43)

რადგანაც კერძო განკითხვა არ არის საბოლოო, ამიტომ იმ მორწმუნეთა სულნი, რომელთაც ვერ მოასწრეს მონანიება ცოდვათა და მიიცვალნენ, განთავისუფლდებიან ცოდვათაგან ეკლესიის ლოცვით.

## მრწამსის მეთორმეტე წევრი

მრწამსის მეთორმეტე წევრი იკითხება ესე:

**და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა. ამინ.**

მრწამსის მეთორმეტე მუხლი შეიცავს სწავლას მომავალ საუკუნო ცხოვრების შესახებ, რომელიც დადგება ყოველთა აღდგომისა და ქრისტეს საშინელი განსჯის შემდეგ; მართალთათვის ეს ცხოვრება იქნება საუკუნო ნეტარებად, ხოლო ცოდვილთათვის - საუკუნო სასჯელად.

**საუკუნო ნეტარება მართალთა.** ნეტარება მართალთა ისეთი სრული იქნება, რომ კაცი დაუახლოვდება ღმერთს; რადგანაც ღმერთი არის წყარო ყოვლისავე სისრულისა, ამიტომ, ამ დაახლოების გამო, განვითარდება ყოველ მხრივ კაცის ყოველივე სულიერი ნიჭი. მართალნი დაუახლოვდებიან აგრეთვე წმიდანთ, ანგელოზთ. თვით განახლებული ბუნება, რომელშიაც აღარ იქნება არაფერი ბოროტება, - გახდება მართალთათვის წყარო ნეტარებისა; ნეტარებაში მიიღებს მონაწილეობას ხორციც, რომელიც გაბრწყინებულ იქნება ღვთის ნათელით, როგორც გაბრწყინდა იესო ქრისტეს სხეული თაბორზე ფერის-ცვალებით.

**ხარისხი მართალთა ნეტარებისა.** ნეტარება ყველა მართალთა ერთნაირი არ იქნება. ღმერთი თითოეულს მიაგებს საქმეთა მისთაებრ. ვინც როგორ იღწვოდა ამ სოფელში და წარმატებოდა კეთილ საქმეში, ისე მიიღებს ნეტარებას მომავალ ცხოვრებაში. მართალთა ნეტარების გარჩევის შესახებ პავლე მოციქული ბრძანებს: „სხვა დიდება არს მზისა, და სხვა დიდება არს მთოვარისა, და სხვა დიდება არს ვარსკვლავთა, რამეთუ ვარსკვლავი ვარსკვლავს ჰმატს დიდებითა; ეგრედვე აღდგომა მკვდართა.“ (1-კორ. 15,41-42). თუმცა დიდება და ნეტარება მართალთა ერთნაირი არ იქნება, მაგრამ თვითეული მათგანი კმაყოფილი იქნება თავისი ხვედრისა, რადგან ნეტარების თვით უკანასკნელი ხარისხიც კი მაღალი იქნება. შურიანობას სასუფეველში ადგილი არ აქვს. ეს ნეტარება იქნება საუკუნო, ანუ დაუსრულებელი.

**საუკუნო ტანჯვა ცოდვილთა.** ცოდვილნი, ურწმუნონი და უსჯულონი, საშინელი განსჯის შემდეგ, მიეცემიან საუკუნო სატანჯველს ეშმაკთან ერთად: „წარვედით ჩემგან, წყეულნი, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკთათვის და ანგელოზთა მისთათვის.“ (მათე, 25,41). ცოდვილთა სამყოფელ ადგილს საღმრთო წერილში ეწოდება სხვადასხვა სახელი: ჯოჯობეთი, უფსკრული, ბნელი, გარესკნელი. ტანჯვა ცოდვილთა ისე დიდი და დაუსრულებელია, რომ იქ იქნება ტირილი და ღრჭენა კბილთა. (მათე. 24,51; 25,30; ლუკა. 13,28; გამოცხ. 20,10)

ცოდვილთა ტანჯვაც არ იქნება ერთნაირი, არამედ შესაფერისი შეცოდებათა, რადგანაც ღმერთი ყველას მიაგებს საქმეთა მისთაებრ. (გამოცხ. 20,11-15)

მრწამსი მთავრდება სიტყვით - ამინ, რაც ნიშნავს - ჭეშმარიტად, იყოს ესე. ამ სიტყვის წარმოთქმით მრწამსის ბოლოში ვამოწმებთ, რომ ყოველივე მრწამსში ნათქვამი არის უეჭველი და უცვალებელი ჭეშმარიტება.

## ნაწილი მეორე - ზნე-მოდღვრებითი

### კავშირი საქრისტიანო ზნეობასა და სარწმუნოებას შორის

სახარებიდან ვიცით, რომ იესო ქრისტეს არ გაუყვია ერთმანეთისაგან სარწმუნოება და ზნეობა. ის იმასაც ასწავლიდა, თუ როგორ უნდა გვწამდეს ღმერთი და იმასაც, როგორ უნდა ვიცხოვროთ სარწმუნოების თანახმად. მართლაცა და, სარწმუნოებისა და ზნეობის მოძღვრება განუყოფელია ერთმანეთისაგან. თუ გულით გვრწამს, რომ ღმერთი არის, ზრუნავს ჩვენთვის, ცხადია, უნდა დავემორჩილოთ, ვიცნათ და თაყვანი-ვსცეთ; თუ გვრწამს, რომ ძე ღვთისა მოვიდა ჩვენს საცხოვრებლად, სიკვდილისა და წყევლისაგან გამოსახსნელად, ვალდებულნიც ვართ შევიყვაროთ ჩვენი მაცხოვარი, რომელმაც დასდვა თავი თვისი ჩვენთვის და აღვასრულოთ მისი მცნებანი. თუ გვრწამს, რომ ყველანი ძმები ვართ, როგორც ერთი წინაპრისაგან, ადამისაგან წარმომდგარნი და ქრისტეს სისხლით გამოსყიდულნი, რომ უყვარვართ ღმერთს, როგორც შვილები, ცხადია, რომ ჩვენც უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, როგორც ერთი მამის შვილებს. დასასრულ, თუ გვრწამს, რომ ქრისტემ დააფუძნა ეკლესია და თვითონ უხილავად იმყოფება ამ ეკლესიაში, ჩვენც უნდა ვიყვნეთ ერთგულნი და მორჩილი შვილები ეკლესიისა. ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ შეუძლებელია გაცალკეება ქრისტიანული ზნეობისა დოგმატური სწავლებისაგან, მხოლოდ ზნეობითი მოძღვრების მიჩნევა სავალდებულოდ; თუ უარვყოფთ სარწმუნოების დოგმატებს, მაშინ აღარცერთ ზნეობით მოთხოვნას აღარ ექნება საფუძველი და მტკიცე ნიადაგი.

მართალია, კაცის ბუნებას მინიჭებული აქვს შინაგანი ზნეობითი კანონი, ანუ სვინიდისი, რომელიც უწონებს კაცს ყოველსავე კეთილს მოქმედებას და ამხელს ბოროტისათვის, მაგრამ იგივე სვინიდისი ყოველთვის ცხადად არ ამბობს - თუ რა არის ბოროტი და რა არის კეთილი. სხვადასხვა ერს სხვადასხვანაირად ესმის კეთილი და ბოროტი: რაც ერთს მიაჩნია კეთილად, იმას მეორე ბოროტად სთვლის: კაცმა რომ ხშირად დაარღვიოს სვინიდისის ბრძანება, შეიძლება დააყრუოს იგი იმ ზომამდე, რომ სვინიდისი მთლად გაჩუმებული იქნება უსაძაგლეს მოქმედების დროსაც-კი. ცხადია, თვით სვინიდისისათვის საჭირო ყოფილა ხელმძღვანელი, და, აი ეს ხელმძღვანელია ზნეობითი სჯული ღვთისა, რომელსაც ღმერთი უცხადებდა ერს გამორჩეულთა პირით - მამათ-მთავართა და წინასწარმეტყველთა მიერ ძველ აღთქმაში და იესო ქრისტესა და მის მოციქულთა მიერ ახალში. ეს სჯული განიყოფება ძველი აღთქმის, ანუ მოსეს სჯულად და ახალი აღთქმის ანუ სახარების სჯულად.

## სჯული მოსესი ათი მცნება

მოსეს სჯული ეწოდება იმ ბრძანებათა და მცნებათ, რომელიც ღმერთმა მოსეს მიერ მისცა ებრაელებს. სჯული მოსესი შეეხება ებრაელთა ცხოვრების ყოველ წვლილს. უმთავრესი შინაარსი მოსეს სჯულისა ათს მცნებაშია მოთავსებული.

საღმრთო ისტორია ათი მცნების მოცემის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: მოსე წინასწარმეტყველმა, ღვთის ბრძანებით, გამოიყვანა ებრაელი ეგვიპტიდან და, სასწაულებრივ მეწამული ზღვის განვლის შემდეგ, მიიყვანა სინას მთასთან. აქ, ღვთის ბრძანებით, ებრაელი მოემზადნენ სჯულის მისაღებად. ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, ორმოცდამეათე დღეს ღმერთმა მისცა მათ წინამძღოლს, წინასწარმეტყველ მოსეს სჯული და უბრძანა, უმთავრესნი მცნებანი ამ სჯულისა დაეწერა ქვის ორ ფიცარზე, პირველზე ეწერა ის მცნებანი, რომელნიც განსაზღვრავენ კაცის ვალდებულებას ღვთის წინაშე: 1-4 მცნება, მეორეზე - რომელნიც განსაზღვრავენ კაცის ვალდებულებას კაცთა წინაშე; 5-10 მცნება. მოსეს სჯულის ზნეობითი კანონები და მცნებანი სავალდებულოა ქრისტიანეთათვისაც, რადგანაც ქრისტემ მიიღო და შეავსო. აი ეს მცნებანი:

- ა) მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე.
- ბ) არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენ არს ცათა შინა - ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა - ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა - ქვეშე ქვეყანისა: არა თაყვანი სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.
- გ) არა მოილო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამოსა ზედა.
- დ) მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი: ექვს დღე იქმოდე და ჰქმენ მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე - შაბათი - არს უფლისა ღვთისა შენისა.
- ე) პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვე ქვეყანასა ზედა.
- ვ) არა კაც-ჰკლა.
- ზ) არა იმრუშო.
- წ) არა იპარო.
- თ) არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.
- ი) არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არც მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა.

## პირველი მცნება

პირველი მცნება იკითხება ესე:

**მე ვარ ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე.**

პირველი მცნება გვაძალეს ღვთის ცნობას და თაყვანისცემას ერთი ჭეშმარიტი ღმერთისას.

ა) უნდა ვეცადოთ და ვიცნათ ჩვენი შემოქმედი ღმერთი. თუმცა უხილავია და მიუწოდომელი არსებით, მაგრამ მან გამოაცხადა თავი თვისი ქვეყნის შექმნით, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა და იესო ქრისტეს მიერ. ღვთის ცნობა არ უნდა განისაზღვროდეს მხოლოდ დოქტრინების და სხვადასხვა ისტორიულ შემთხვევათა შესწავლით; ცნობა ღვთისა უნდა გამოცხადდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ცხოვრებითა და მოქმედებით.

ბ) გულმოდგინედ უნდა ვისმენდეთ სწავლა-მოდღვრებას ღვთის შესახებ ეკლესიაში. ამისათვის კი საჭიროა ხშირად სიარული ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე, რომელიც მწყობრი და დიდებული ღვთის ქება-დიდებაა. საჭიროა აგრეთვე საუბარი საღმრთო საგნებზე სახლშიც.

**თაყვანისცემა ღვთისა.** რადგანაც კაცი შესდგება სულისა და ხორცისაგან, ამიტომ ღვთის თაყვანისცემაც ორნაირია: თაყვანისცემა შინაგანი და თაყვანისცემა გარეგანი.

### შინაგანი თაყვანის-ცემა:

ა) **რწმენა ღვთისა**, ესე იგი გულით დაჯერება და ცხოველი რწმენა სულისა ღვთის არსებობისა, თვისებისა და მოქმედებისა. მაგალითი ცხოველის სარწმუნოებისა არის მამა-მთავარი აბრაამი, რომელიც მსხვერპლადაც-კი სწირავდა ისააკს და მრავალნი ნეტარნი მამანი, რომელთაც ყოველივე დაუტევეს ღვთისათვის.

ბ) **შიში ღვთისა**, ესე იგი კრძალულება მის წინაშე, მორიდება იმ საქციელისა, რომელიც კი გაარისხებს ღმერთს.

გ) **სასოება ღმერთზე**, - იმედი და მინდობა მისი.

დ) **სიყვარული ღვთისა** ყოვლითა სულითა, გულითა და გონებითა.

ე) **მორჩილება ღვთისა**, ესე იგი ასრულება ყოველი მისი ბრძანებისა და უდრტვინველად მიღება მისგან მოვლენილი განსაცდელისა.

ვ) **თაყვანისცემა მისი**, როგორც უმაღლესის არსებისა.

ზ) **დიდება მისი**, როგორც ყოვლად სრულისა.

წ) **მადლობა მისი**, როგორც შემოქმედისა და მაცხოვრისა და

თ) **მოწოდება ღვთისა**, როგორც ყოვლად სახიერისა და ყოვლად შემძლებელისა.

### გარეგანი თაყვანის-ცემა

ა) **აღსარება ღვთისა**, ესე იგი ცხადად და აშკარად აღიარება წინაშე ყოველთა, რომ ის არის ჩვენი ღმერთი, აღიარება ისეთი სიმტკიცით და გულწრფელობით, რომ ვერც მოტყუებამ, ვერც მუქარამ, ვერც ტანჯვამ და ვერც თვით სიკვდილმა ვერ გვათქმევინოს უარი ღმერთზედ.

ბ) **მონაწილეობის მიღება საზოგადო ღვთის-მსახურებაში.** ღვთის მსახურებაში მონაწილეობის მიღებით და წირვა-ლოცვაზედ დასწრებით ჩვენ ვამტკიცებთ მორჩილებას; გარდა ამისა, საზოგადო ღვთისმსახურება განამტკიცებს მორწმუნეთა შორის სიყვარულსა და ძმობას; აქ ჩვენ როგორც შვილები ერთის მამისა, შევადგენთ ერთ ოჯახს და ერთითა გულითა ვადიდებთ და ვმადლობთ ღმერთსა და ვლოცულობთ ყველა ჩვენთა საჭიროებათათვის.



**ცოდვანი პირველ მცნების წინააღმდეგ.** რომ უფრო შეგნებით აღვასრულოთ პირველი მცნება ღვთის სჯულისა, საჭიროა ვიცოდეთ მისი საწინააღმდეგო ცოდვანი. ეს ცოდვანია:

ა) **უღვთოობა** - უარყოფა ღვთის არსებობისა. რაიცა იმით წარმოსდგება, რომ კაცი ცოდვის გამო შორდება ღმერთს, ივიწყებს და ბოლოს იმ აზრზე რჩება, ღმერთი არ არისო. ამისთანა კაცისათვის მართლაც არ არსებობს ღმერთი, რადგანაც არცა ჰხედავს და არცა ჰგრძნობს ღმერთს არც თავის სულში და არც ბუნებაში. ამისთანა კაცს საღმრთო წერილი უგუნურებს უწოდებს.

ბ) **მრავალ ღმერთობა** - თაყვანის-ცემა მრავალ ღმერთთა ერთის მაგიერ; თაყვანის-ცემა ქმნილებათა შემოქმედის მაგიერ.

გ) **ურწმუნოება** - უარყოფა ღვთის განგებულებისა, რომ ღმერთი განაგებს კაცისა და ქვეყნის საქმეს.

დ) **ერესი** - შერყვნაა საქრისტიანო სწავლა-მოდღვრების რომელისამე დოღმატისა; მაგალითად, არიოზის ერესი იყო შერყვნა ეკლესიის სწავლისა ქრისტეს პიროვნების შესახებ, მაკედონიოსისა - სულის წმიდის შესახებ.

ე) **განდგომილება სჯულისაგან** - უარყოფა ჭეშმარიტისა სჯულისა და სარწმუნოებისა კაცთა შიშითა, ან ქვეყნიური სარგებლობისათვის. ეს დიდი და მძიმე ცოდვაა, რადგანაც ჭეშმარიტი სჯული ქრისტესი უნდა იყვეს ყველაფერზე ძვირფასი.

ვ) **სასოწარკვეთილება** - იმედის დაკარგვა ღვთისაგან ცოდვათა მიტევებისა და წყალობის მიღებისა. სასოწარკვეთილება არის ცოდვა სული წმიდის წინააღმდეგ და არ მიეტევა კაცს არც საიქიოს და არც სააქაოს. სასოწარკვეთილების მაგალითი არის იუდა გამცემელი.

ზ) **გრძნულება** - დატოვება ჭეშმარიტი ღვთის სარწმუნოებისა და რწმენა ბუნების დაფარულ და მეტ ნაწილად კი ბოროტ ძალთა.

წ) **ცრუ მორწმუნეობა** - რწმენა უბრალო და ჩვეულებრივ მოვლენისა, რომელსაც აქვს ვითომ და ღვთიური ძალა და ან შიშს ეძლევიან და ან სასოებას მის წინაშე. მაგალითად, ცხვირის დაცემინება, თვალის თამაშობა და სხვა.

თ) **მცონარება ლოცვაში**, რაიცა მოწმობს იმას, რომ კაცს ნაკლებად აქვს ცხოველი სარწმუნოება ღვთისა და სასოება მისი.

ი) **სიყვარული ქმნილებისა უფროს შემოქმედისა**, როცა უმეტესად უყვართ კაცი, ან ცხოველი, ან სხვა რაიმე საგანი და ღმერთი კი დავიწყებული ჰყავთ.

ია) **კაცზე სასოება** არის დაკარგვა სასოებისა და იმედისა ღვთის მოწყალებაზე, როცა კაცს კაცის იმედი უფრო აქვს, ვიდრე ღვთისა.

თაყვანისცემა ანგელოზთა და წმიდათა არ ეწინააღმდეგება პირველ მცნებას, რომელიც გვიბრძანებს მხოლოდ თაყვანისცემასა და პატივის მიგებას იმიტომ, რომ წმიდათა და ანგელოზთა თაყვანისცემით ჩვენ თაყვანსა-ვცემთ ღმერთს, საკვირველს წმიდათა შორის თვისთა, რომელმაც მისცა მათ ესეთი სისრულე და დიდება.



## მეორე მცნება

მეორე მცნება იკითხება ესე:

**არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მზგავსი, რაოდენი არს ცათა შინა - ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა - ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა - ქვეშე ქვეყანისა; არა თავყანს-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.**

კერპი არის გამოსახულება რომელისამე ქმნილებისა, ცის მნათობისა, ცხოველისა, ფრინველისა, კაცისა რომელსაც თავყანსა-სცემენ და ემსახურებიან ჭემმარიტი ღვთის მაგიერ. გარდა ამის, კერპი არის ყოველივე ის, რასაც კაცი მისდევს თავგამოდებით და ამის გამო ივიწყებს თავის მოვალეობას ჭემმარიტი ღვთისა და სულისადმი. მაგალითად, ბევრი მისდევს მხოლოდ სიმდიდრის შეძენას, მისი კერპი არის სიმდიდრე; ზოგი მთელს სიცოცხლეს ანდომებს თავის თავმოყვარეობის დაკმაყოფილებას, ზოგი ხორცის ფუფუნებასა და სიამოვნებას ეძებს. მეორე მცნება გვიკრძალავს ამგვარ კერპთ-თავყანისმცემლობასაც. მაცხოვრის სიტყვით, კაცს არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს თავყანისცემა და მონება ორთა უფალთა. ერთ მათგანს უთუოდ უპირატესობას მისცემს.

მაგრამ უეჭველია, უმეტესად სცოდავენ მეორე მცნების წინააღმდეგ ისინი, რომელნიც მისდევენ მაგალითად, ლოთობას, ბანქოობას და საზოგადოდ გარყვნილ ცხოვრებას და ღმერთებად გაუხდიათ ხორციელნი ვნებანი. მიყოლა ამ ცუდ ჩვეულებათა სრულიად ავიწყებს კაცს ღვთისა და მოყვასის სამსახურს. ჰვნებს ჯანის სისალეს და ხშირად თავს აკვლევინებს კაცს.

მეორე მცნებას არ ეწინააღმდეგება თავყანისცემა ღვთისა და წმიდა კაცთა ხატებისა, წმ. ნაწილებისა და ჯვრისა. იმიტომ, რომ, ეკლესიის სწავლების თანახმად, ქრისტეანენი თავყანს-სცემენ არა იმ მასალას, რომლისაგანაც არის დახატული ხატი, არამედ იმას, რომელიც მასზეა გამოხატული.

## მესამე მცნება

მესამე მცნება იკითხება ესე:

**არა მოილო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოა ზედა.**

ეს მცნება გვიკრძალავს ღვთის სახელის წარმოთქმას წარამარა, **ამაოდ**, ანუ ტყუილად, როცა არ არის საჭირო, როგორც ხშირად იცის ხოლმე ზოგმა საუბრისა და სახუმარო ლაპარაკის დროს. მესამე მცნება გვიკრძალავს:

**ღვთის გმობას**, ანუ უკადრის და უშვერ სიტყვის თქმას ღვთის წინააღმდეგ;

**დრტვინვას** ღვთის განგებულებაზე;

**ქირდვას**, ანუ დაცინვას და გინებას ღვთისას და საღმრთო საგნებისას;

**ცრუ ფიცს**, ანუ დამოწმებას ღვთის სახელით იმისას, რაც ნამდვილი არ არის;

**ლოცვისადმი უყურადღებობას.**

**ფიცის გარდახდომას**, ფიცის და ღვთისათვის მიცემულ აღთქმათა დარღვევას.

ამ რიგად მესამე მცნება ამტკიცებს და აძლიერებს პირველ ორი მცნების აზრს. ღმერთს ისე უნდა ვცემდეთ პატივსა და თავყანს, რომ მისი სახელი ამაოდ არ იხსენებოდეს.

იესო ქრისტემ ბრძანა: „მე გეტყვი თქვენ არა ფუცვად ყოვლადვე, არამედ იყავნ სიტყვა თქვენი: ჰე, ჰე, და არა, არა; ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს.“ (მათე. 5,34-37).

ამ სიტყვებით მაცხოვარმა შეავსო და განმარტა ძველი აღთქმის მოძღვრება ფიცის შესახებ. ძველი აღთქმა უბრძანებდა კაცს აღესრულებინა ფიცი, ქრისტე კი გვიბრძანებს, ვიცხოვროთ ისე, რომ ფიცი სრულიად აღარ იყოს საჭირო; ვიყვეთ მართალნი და არა ცრუნი, მაშინ საკმარისი იქნება მხოლოდ "ჰო" და "არა". მაგრამ რადგანაც ეხლა კაცთა საზოგადოებაში არსებობს ცოდვა, სიცრუე და უნდობლობა, ამიტომ საჭიროა ნათქვამის სიმართლის დამტკიცება უწმიდესის ღვთის სახელით, რომ ფიცი მართლა საჭიროა, ვიდრე კაცთა შორის არსებობს ბოროტება და სიცრუე, რომ ქრისტეს ჭეშმარიტების დასამოწმებლად ფიცი არ აღუკრძალავს, ამას ვხედავთ სახარებიდან. კაიაფა მღვდელთმთავარს, რომელმაც ქრისტეს მოსთხოვა ფიც ქვეშ (გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა) ეთქვა, მე ღვთისა ხარ თუ არაო, მან მიუგო: "შენ სთქუ". თავის თავად ფიცი, როგორც მოკრძალებითი წარმოთქმა ღვთის სახელისა, არ არის ცოდვა, არამედ არის ლოცვით მოწვევა ღვთის სახელისა.

## მეთხე მცნება

მეთხე მცნება იკითხება ესე:

**მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი: ექვს დღე იქმოდე და ჰქმენ მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა.**

ამ მცნებით ღმერთი ებრაელებს უბრძანებდა შაბათის დაცვას სიწმიდით და მოსვენებით მოსაგონად იმისა, რომ ღმერთმა მეშვიდე დღეს განისვენა საქმეთა თვისთა და ამ დღეს უწოდა შაბათი - განსვენება. საქრისტეანო ეკლესიაში კი, მოციქულთა დროიდან, შაბათის მაგივრად, დღესასწაულობენ კვირიაკის პირველ დღეს - კვირას - ქრისტეს აღდგომის დღეს, რადგანაც ეს დღე არის დღე ჩვენი გამოხსნისა.

ქრისტეანებს, გარდა კვირა დღისა, სხვა დღესასწაულებიცა აქვთ, ამიტომ მეთხე მცნების ბრძანება შაბათის დღესასწაულისა და წმიდად დაცვისა შეეხება, გარდა კვირისა, სხვა დღესასწაულებსაც, რომელიც დაწესებულია ქრისტეს, ღვთისმშობლის და წმიდათა პატივის და თაყვანის-საცემად.

დღესასწაულობა კვირა-უქმეებისა ის არის, რომ ქრისტეანემ უნდა დაანებოს თავი ყოველდღიურ ჩვეულებრივ საქმე-მუშაობას, ილოცოს სახლში და ეკლესიაში, იკითხოს სულისათვის სასარგებლო წიგნები და ჰქმნას ქველი საქმე. მაგალითი იმისი, თუ როგორ უნდა გაატაროს ქრისტეანემ კვირა-უქმე დღეები, არის ქრისტე მაცხოვარი, რომელიც ყველა დღესასწაულს და შაბათს დადიოდა ხოლმე იერუსალიმის ტაძარში და იქმოდა კეთილ საქმეთა. ქრისტემ არ გაამტყუნა მოციქულები, რომელნიც შაბათ დღეს თავთავსა გლეჯდნენ და ჭამდნენ; ფარისეულებს სიტყვით და საქმით ასწავლიდა, რომ შაბათს შეიძლება კეთილის საქმის ქმნა, რადგანაც შაბათია გაჩენილი კაცისათვის და არა კაცი შაბათისთვისო. ამიტომ შეიძლება კვირა-უქმე დღესაც გააკეთოს ყოველივე ის, რაც აუცილებლად საჭიროა და რაც კი დაეხმარება მის წარმატებებს სათნოებასა და კეთილ საქმეში.

გარდა დღესასწაულებისა, მართლმადიდებელმა ეკლესიამ დააწესა კიდევ მარხვები. დღესასწაულებს და მარხვებს აქვთ დიდი და აღმზრდელი მნიშვნელობა ყველა ქრისტეანესათვის, რადგანაც მათი წესიერად დაცვით და აღსრულებით მტკიცდება კაცის ხასიათი, ნება და ბუნება. მაგრამ რომ ჩვენი მარხულობა ჭეშმარიტი იყოს, არამც თუ არ უნდა მივიღოთ აკრძალული, არამედ სამარხვო საქმელიც ზომიერად და დანიშნულ დროზე უნდა

მივიღოთ ხოლმე. უნდა დაუტევოთ ყველა ცუდი ჩვეულება, მძლე ვექმნათ და ვიმარხულოთ არა ორგულობით, კაცთა საჩვენებლად.

## მეხუთე მცნება

მეხუთე მცნება იკითხება ესრედ:

**პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათ კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვე ქვეყანასა ზედა.**

მეხუთე მცნება გვიბრძანებს დედ-მამის - მშობლების პატივისცემას და ამისათვის აღვითქვამს დღეგრძელობას და სიკეთეს. თვით ბუნებამ მჭიდროდ შეაკავშირა მშობლები და შვილები; ამიტომ სრულიად ბუნებრივია შვილებისაგან მშობელთა პატივისცემა და სიყვარული; ვინც წინააღმდეგია მშობლებისა, ის წინააღმდეგია თვით ბუნებისა. თვით მაცხოვარმა გვიჩვენა მაგალითი მშობელთა მორჩილებისა და პატივისცემისა - ქრისტე ემორჩილებოდა იოსებსა და მარიამს.

შვილები უნდა დაემორჩილონ მშობლებს იმ შემთხვევაშიც-კი, როცა ხედავენ მათს ნაკლულევანებას. (ეფეს. 6,1-3; კოლ. 3,20). სიყვარული, პატივისცემა და მორჩილება სასარგებლო და საკეთილოა შვილებისათვის. ამით სიყრმითვე ეჩვევიან პატიოსნებას, თავაზიანობას, ზრდილობას და მორჩილებას.

გარდა მშობლებისა, უნდა პატივი-ვცეთ და დავემორჩილოთ იმათ, ვინც ზრუნავენ ჩვენთვის და მშობლების მაგივრობას ეწევიან. ესენი არიან: ჩვენი ნათლიები, მოძღვარი, რომელიც გვასწავლის ღვთის სჯულს, ჩვენზე უფროსები ხნით, ხელმწიფე იმ ქვეყნისა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, რადაგანაც ხელმწიფე ზრუნავს ქვეყნისა და მცხოვრებთა მშვიდობიანობის დაცვისათვის და მისგან დადგენილი კანონიერი მთავრობა.

ღვთის სიტყვა ცხადად გვასწავლის, რომ ყოველივე ხელმწიფება ღვთისაგან არის დაწესებული, რომ საჭიროა მისი მორჩილება. „ყოველნი ხელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილნენ: რამეთუ არა არს ხელმწიფებაი, გარნა ღმრთისაგან, და რომელნი იგი არიან ხელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან.“ (რომ. 13,1).

კაცს აქვს მოთხოვნილება საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ხოლო საზოგადოებაში წესიერების და ყველა წევრის უფლებათა დასაცველად საჭიროა ცნობილი კანონები და მმართველები ამ კანონის დასაცველად. რაც უფრო რთულია საზოგადოება, მით უფრო რთულია კანონები საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მით უფრო საჭიროა კანონიერი მთავრობა. ფორმა საზოგადოების მართვა-გამგეობისა შეიძლება შეიცვალოს, დროების მოთხოვნილების თანახმად, მაგრამ მთავრობის საჭიროება კანონიერ მთავრობის მორჩილებისა უცვალელებელი რჩება.

მაგრამ ჩვენ არა ვართ ვალდებულნი, დავემორჩილნეთ მშობლებს, უფროსებს და მთავრობას მაშინ, როდესაც ისინი მოითხოვენ ჩვენგან სჯულის და სარწმუნოების წინააღმდეგ საქმეს. კაცთა არაგვარ ხელმწიფებას არა აქვს უფლება შეეხოს ღვთის დადგენილებათა და აღვიკრძალოს ღვთისაგან ნებადართული, ან დაგვავალოს აღსრულება ღვთისაგან აკრძალულისა. თუ ვხედავთ, რომ უფროსის ბრძანება წინააღმდეგია ღვთის სჯულისა, უნდა მოვერიდოთ მის აღსრულებას და ვუპასუხოთ ისე, როგორც მოციქულებმა უპასუხეს სინედრიონს წევრთ, რომელნიც უკრძალავდნენ ღვთის სჯულის ქადაგებას: „უკეთუ სამართალ არს წინაშე ღმრთისა თქვენის სმენა უფროს, ანუ ღმრთისა, საჯეთ? რამეთუ

ჩვენ ვერ ხელგვეწიფების, რომელი იგი გვესმა და ვიხილეთ, ვითარმცა არა ვიტყოდეთ.“ (საქმე. 4,19-20).

**მშობლების ვალდებულება შვილების წინაშე.** მშობლები ვალდებულნი არიან ასაზრდოვონ და აღზარდონ შვილები: შვილების აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მშობლების მაგალითსა და ყოფა-ქცევას; საშუალებანი შვილთა აღსაზრდელად არის: სწავლება, ყურისგდება, ბრძანება, რჩევა-დარიგება.

უპირველესად ყოვლისა, აღზრდა შვილთა უნდა იყოს სარწმუნოებრივი. სარწმუნოებრივი აღზრდა შვილთა უნდა იწყებოდეს ოჯახშივე; აქ პირველად სწავლობს ბავშვი კეთილმსახურებას; შემდეგ იწყება სარწმუნოებრივი სწავლება; „აცადეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგვიტართა არს საუფეველი ცათა.“ (მარკ. 10,14), - ბრძანებს იესო. გონებრივი აღზრდა შვილთა, მეტ ნაწილად სწარმოებს სასწავლებელში; ამ რიგად, აღზრდა უნდა იყოს არა მხოლოდ კერძო, ოჯახური, არამედ საზოგადოებრივიც. გარდა სულიერისა, მშობლები უნდა აქცევდნენ ყურადღებას შვილების ხორციელ აღზრდასაც.

მწყემსებმა და მოძღვრებმა უნდა იზრუნონ სულიერ შვილთათვის, ასწავლონ სჯული ღვთისა, უჩვენონ მაგალითი კეთილი ცხოვრებისა, კეთილი ზნეობისა, სიყვარულით გამოსასწორონ მათი შეცოდება-შეცდომანი, მოეპყრნენ ღმობიერად, თავმდაბლად. მთავრობა უნდა ზრუნავდეს ქვეშევრდომთა სიმრთელისა და მშვიდობით ცხოვრებისათვის.

## მეექვსე მცნება

მეექვსე მცნება იკითხება ესრედ:

**არა კაც-კვლა.**

მეექვსე მცნება გვიკრძალავს კაცის-კვლას, კაცის სიცოცხლის მოსპობას. სიცოცხლე არის უდიდესი და უძვირფასესი ნიჭი, რომელიც ღმერთმა კაცს უწყალობა. ამიტომ კაცის-კვლა, რა სახითაც უნდა იყოს, არის ღვთის ნების წინააღმდეგი საქმე და ცოდვა.

მეექვსე მცნება გვიკრძალავს ყოველ-ნაირ კაცის-კვლას: ტყვიით, ხმლით, საწამლავით ან სხვა რაიმე იარაღით. წინააღმდეგიეა ამ მცნებისა კაცის-კვლა ნელი, შეუმჩნეველი, თანდათან, მაგ. როცა კაცს ამუშავებენ იმაზე მეტს, რაც არ შეუძლია, უსაზღვრ ცხოვრების და არსებობის სახსარს; ახალ აღთქმაში სრულიად აკრძალულია არა მარტო კაცის-კვლა, არამედ სიძულვილიც კი მოყვასისადმი, რადგანაც ხშირად სიძულვილია მიზეზი კაცის-კვლისა.

მეექვსე მცნების წინააღმდეგია თავის მოკვლა, თვითმკვლელობა. თავის მოკვლა არის შედეგი ურწმუნოებისა და ზნეობით დასუსტებისა; თავის მკვლელს დაკარგული აქვს რწმენა და სასოება ღვთისა და დავიწყებული ის ზნეობრივი მოვალეობა, რომელიც დააკისრა შემოქმედმა ღმერთმა.

ამავე მცნების წინააღმდეგია დუელი, ანუ ხმაღში გაწვევა, როცა შეურაცხ-ყოფილს ჰგონია, სისხლით აღვადგენ ჩემს შეურაცხყოფილ სახელსა და პატიოსნებასო, მაგრამ დუელში იმარჯვებს ის, ვინც უფრო მარჯვეა, ვინც უფრო იცის იარაღის ხმარება; ამის გამო ხშირია, რომ კვდება შეურაცხყოფილი, და არა შეურაცხმყოფელი. ქრისტე მაცხოვრის მოძღვრების თანახმად, კაცმა უნდა მოითმინოს ყოველივე პირადი შეურაცხყოფა და არ იძიოს შური. გარდა ამისა, საჭიროა შევიგნოთ, რომ არავის არ შეუძლია წართმევა ჩვენის პატიოსნებისა და კარგის სახელისა; მხოლოდ ჩვენივე უპატიოსნო ყოფა-ქცევა თუ შებღალავს ჩვენს სახელს, სხვა არავინ და არაფერი.



ამავე მცნების წინააღმდეგია სულიერი კვლა კაცისა, ესე იგი ცთუნება, გარყვნა ზნეობრივი ცუდი მაგალითით, ცუდი ყოფა-ქცევით და ცუდი შინაარსის წიგნების კითხვით, გადაბირება ჭემმარიტი სჯულისაგან. რამდენადაც სული მაღალია ხორცზე, იმდენად სულიერი კვლა მძიმეა ხორციელ კვლაზე.

მეექვსე მცნება გვიკრძალავს კაცის კვლას და თან გვასწავებს სნეულთა მოვლა-მსახურებას, გლახაკთა შეწევნას, მწუხარეთა ნუგეშს, გაჭირვებაში მყოფთა დახმარებას, შეურაცხმყოფელთა შენდობას, მოჩხუბართა დაზავებას.

მეექვსე მცნების წინააღმდეგ ცოდვად არ ითვლება დასჯა კაცთა სიკვდილით მართლმსაჯულობის გადაწყვეტილებისამებრ, მოკვლა კაცისა თავის დაცვის დროს და აგრეთვე ბრძოლასა და ომში ხელმწიფისა და მამულისათვის.

## მეშვიდე მცნება

მეშვიდე მცნება იკითხება ესე:

**არა იმრუშო.**

მეშვიდე მცნება გვიკრძალავს მრუშობას, ანუ უწესო სქესობრივ კავშირს და ამით იცავს ოჯახურ ცხოვრებას დარღვევისაგან.

შექმნისთანავე ღვთისაგან მიენიჭა ერთი სქესის ადამიანს მიზიდულობა და მიქცევა მეორე სქესის ადამიანისადმი; ამიტომ მამაკაცსა და დედაკაცს შორის სიყვარული არაფრის საწინააღმდეგო არა არის, მაგრამ კაცმა, როგორც გონიერმა არსებამ, უნდა მოაწესრიგოს ეს ხორციელი მიზიდულობა და მამაკაცს უნდა უყვარდეს ერთხელვე არჩეული დედაკაცი, როგორც ცოლი, დედაკაცს - ერთხელვე არჩეული მამაკაცი, როგორც ქმარი; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება წესიერი ოჯახური და სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

თითოეული კაცი და ქალი რომ მიჰყვეს თავის ხორციელ გულისთქმის დაკმაყოფილებას, მაშინ ყველაფერი აირევა, მშობლები შვილებს ვეღარ იცნობენ და შვილები - მშობლებს.

მეშვიდე მცნების წინააღმდეგია, გარდა მრუშობისა, სიძვა, ანუ უწესო ხორციელი კავშირი იმათ შორის, რომელნიც არ იმყოფებიან მეუღლეობაში; სისხლის აღრევა, ანუ ხორციელი კავშირი მონათესავეთა. საზოგადოდ მეშვიდე მცნების წინააღმდეგია ყოველივე არა-ბუნებრივი დაკმაყოფილება ხორციელ ვნებისა, ანუ ის საიდუმლო ცოდვანი, რომელთა შესახებაც, პავლე მოციქულის სიტყვით, ლაპარაკიც კი სირცხვილია. (ეფეს. 5,11-12)

როგორც ყოველგვარ გარყვნილობით, ისე ამ საიდუმლო, ბუნების წინააღმდეგ ცოდვებით, იხრწნება და სუსტდება კაცის სულიერი ძალა. კაცი ნაადრევად ბერდება და სნეულდება, მეხსიერება მისი სუსტდება, გონება ვეღარ მუშაობს და ზნეობრივი გრძნობა ჩლუნგდება. ამიტომ მემრუშენი და მეძავნი სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ. (1-კორ. 6,9-10; გალ. 5,19-21; ეფეს. 5,5)

მაცხოვარი გვიბრძანებს, დავიცვათ გული ყოველგვარ უწმიდურ ზრახვათა და სურვილთაგან. გული არის წყარო ყოველგვარ მოქმედებათა და, ვისაც არა აქვს გული დაცული არა-წმიდა სურვილთაგან, ის ადვილად გადავა ცუდ სურვილთაგან ცუდ საქმეზე. ხოლო გულის დასაცავად სიწმიდით, საჭიროა მორიდება ყველა იმისი, რაც კი გამოიწვევს არაწმიდა წარმოდგენას და გრძნობას. მაგალითად, საჭიროა კაცი მოერიდოს ცუდი წიგნების კითხვას, ცუდს, გარყვნილ კაცს და საზოგადოებას. საჭიროა ზომიერება სასმელ-საჭმელში და ხშირი ლოცვა: იქ, საცა უძღურია და სუსტი ძალი ცოდვასთან ბრძოლაში, შეგვეწევა და გააძლიერებს უძღურ ძალს მხოლოდ ღმერთი.

## მერვე მცნება

მერვე მცნება იკითხება ესრედ:

**არა იპარო.**

ეს მცნება გვიკრძალავს სხვისი საკუთრების მითვისებას და დაჩემებას; სხვისი საკუთრების დაჩემება-კი შეიძლება ამ სახით: მძარცველობით, ანუ ძალათი წართმევით, ქურდობით, ანუ ფარულად წაღებით სხვის საკუთრებისა, მოტყუებით, როცა კარგი საქონლის მაგივრად აძლევენ ცუდს, ან მალავენ ქონებას; სიწმიდის მოპარვით, ანუ ეკლესიაში სახმარ ნივთების მოპარვით, ნაპოვნის დამალვით, მექრთამეობით, მევახშეობით, ანგარებით და სხვა. ყველა ამას გვიკრძალავს მერვე მცნება ღვთის სჯულისა.

მერვე მცნება, ამ რიგად, იცავს საკუთრების უფლებას. საკუთრება დაკავშირებულია შრომასთან, მშრომელს აქვს უფლება ისარგებლოს კიდევ ნაშრომის ნაყოფით. ჯერ ისევ სამოთხივეშივე უბრძანა ღმერთმა კაცს შრომა და მისცა უფლება ქვეყანაზე. მაგრამ საკუთრებით უნდა ვისარგებლოთ, თანახმად ღვთის ნებისა; თუ ღვთის ნება არ იქმნა, თუ ღმერთმა არ მოგვცა ძალი და ღონე, ხელის შემწყობი გარემოებანი და ყოველივე ის, რაც საჭიროა საკუთრების შესაძენად, მარტო ჩვენი შრომით ვერას გავხდებით, ამიტომ, თუ საკუთრება ღვთისაგან არის მოცემული, არ გვაქვს უფლება მარტო ჩვენთვის დავხარჯოთ ჩვენი საკუთრება, საჭიროა სხვასაც გავუნაწილოთ და შევეწიოთ.

მაგრამ სახარება არ გვიბრძანებს, რომ მდიდრებმა მთელი თავისი ქონება უთუოდ ღარიბებს დაურიგონ, ან სხვებს მისცენ. უპოვარება ყველასათვის არ არის სავალდებულო, არამედ მხოლოდ იმისთვის, ვისაც შეუძლია შესრულება და დატევნა ამ სათნოებისა, როგორც უბრძანა მაცხოვარმა მდიდარ ჭაბუკს: „უკეთუ გნებავს, რათა სრულ იყო, წარვედ, განჰყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქვდეს საუნჯე ცათა შინა, და მოვედ და შემომიდეგ მე.“ (მათე, 19,21).

## მეცხრე მცნება

მეცხრე მცნება იკითხება ესე:

**არა ცილი ჰსწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.**

ეს მცნება გვიკრძალავს მოყვასის შესახებ სიცრუის თქმას, ანუ ცილის წამებას, რა სახითაც და საცა უნდა იყოს - სასამართლოში, კერძო ლაპარაკში. წერილობით, პირში, პირს უკან. ცილის წამება სპობს თანხმობას და მეგობრულ ურთიერთობას კაცთა შორის და ხანდახან ზარალსაც აძლევს კაცის კეთილდღეობას. ამიტომ სახარება გვიკრძალავს არა მარტო ცილის წამებას, არამედ ლაპარაკსაც კი მოყვასის ნაკლულევანებაზე, თუ ამას თანამდებობა არ გვავალებს. ხშირად ვხედავთ სხვის თვალში წვილს, წირპლს და ჩვენსაში კი დვირესაც ვერ ვამჩნევთ. თუ გვინდა, სხვას უჩვენოთ მისი ნაკლულევანება, ჯერ უნდა ჩვენი შევიგნოთ. (მათე. 7,3-5)

## მეათე მცნება

მეათე მცნება იკითხება ესრედ:

**არა გული გითქმიდეს ცოლისასთვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვრისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა.**

ეს მცნება გვიკრძალავს იმისთანა გულისთქმას და აზრებს, რომელიც ეწინააღმდეგება მოყვასის სიყვარულს, გვიკრძალავს შურს და უკმარობას, როცა კაცი არ სჯერდება თავის ავლა-დიდებას. ცუდი გულისთქმა, ცუდი განზრახვა და ცუდი აზრები არის თესლი ყოველგვარი ცუდი საქმისა და ცუდი საქციელისა: „გულისაგან გამოვლენ გულის სიტყვანი ბოროტნი, კაცის კლვანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილის წამებანი, გმობანი.“ (მათე, 15,19). ამიტომ თვალ-ყური უნდა ვადევნოთ ჩვენი გულის მდგომარეობას და ლოცვით და მარხვით დავთრგუნოთ ყოველივე ცუდი ზრახვა და გულისთქმა, რომელიც კი ჩვენს გულში გაჩნდება.

## სჯული სახარებისა ანუ ახალი აღთქმისა

სჯული სახარებისა ანუ ახალი აღთქმისა ეწოდება ქრისტეს მიერ მოცემულ სჯულს, რომელიც გაავრცელეს ქვეყანაზე მისმა მოციქულებმა. სჯული სახარებისა არის ყოვლად სრული და ჭეშმარიტი; ამაზე სრულისა და მაღალი სჯულის მოცემა შეუძლებელია; ამიტომ ეს არის სჯული მსოფლიო, დამაკმაყოფილებელი ყველა ერის, დროისა და მდგომარეობის მოთხოვნილებათა, ყველასათვის გასაგები და ადვილად ასასრულებელი.

ქრისტე მაცხოვრის მთელი მოძღვრება არის ჩვენთვის სავალდებულო სჯული და კანონი; მაგრამ მკაფიოდ და მოკლედ სჯული ქრისტესი გამოთქმულია ცხრა გამონათქვამში ნეტარების სახით; ამიტომ ქრისტეს მცნებას უწოდებენ ამ ცხრა წარმონათქვამს.



## ცხრა ნეტარება

როგორც მოგვითხრობს მათე მახარებელი, (მათე. 5,1-12) იესო ქრისტემ ერთხელ ნახა სიმრავლე ერისა, რომელიც გარს შემოჰხვეოდა, ავიდა მთაზე, დაჯდა, აღალო პირი თვისი და სთქვა:

- ა. ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.
- ბ. ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.
- გ. ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა.
- დ. ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღნენ.
- ე. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.
- ვ. ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.
- ზ. ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფენი, რამეთუ იგინი პედ ღვთისად იწოდნენ.
- წ. ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.
- თ. ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყვედრიდნენ და გდევნიდნენ. და სთქვან ყოველი სიტყვაი ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის: გიხაროდენ და მხიარულ-იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდ არს ცათა შინა.

### პირველი მცნება ნეტარებისა

პირველი მცნება ნეტარებისა იკითხება ესე:

**ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.**

გლახაკი სულითა არის იმისთანა კაცი, რომელსაც აქვს შეგნებული თავისი სულიერი უღირსება ღვთის წინაშე; შეგნებული აქვს, რომ არაფრის ქმნა არ შეუძლია ღვთის შეუწევნელად; მოკლედ - სიგლახაკე სულისა არის სიმდაბლე. სიმდაბლე არის დასაწყისი ქრისტიანის სულიერი ცხოვრებისა, პირველი სათნოება მისი, რადგანაც აიძულებს კაცს ეძიოს შემწეობა ღვთისა და არ ჰქონდეს სასოება მარტო თავის თავისა; როგორც ამპარტავნება არის დასაწყისი ცოდვისა, ისე სიმდაბლე არის დასაწყისი ცხოვრებისა. გლახაკი სულითა შეიძლება იყოს ყოველი ქრისტიანი, მდიდარიც და ღარიბიც.

მაგალითი სიმდაბლისა არის მეზვერე, რომლის ლოცვაც - „ღმერთო მილხინე მე, ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე.“ ანუ ღმერთო, მეოხ მეყავ მე, ცოდვილსა ამას, არის ლოცვა ყოველთა მდაბალთა და გლახაკთა სულითა. სულით გლახაკებს ღმერთმა აღუთქვა სასუფეველი ცათა.

## მეორე მცნება ნეტარებისა

მეორე მცნება ნეტარებისა იკითხება ესე:

**ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.**

სიმდაბლის შეგნებას აუცილებლად მოსდევს გლოვა ანუ ტირილი ცოდვათა გამო. რაკი შეიგნებს ქრისტეანე თავის სულიერ სიდატაკეს და უძლურებას, უეჭველად იწყებს გლოვას და სთხოვს ღმერთს ცოდვათა მიტევებას და შეწევნას ზეგარდამო.

მაგალითები ცოდვათათვის მგლოვარებისა არის მეფე და წინასწარმეტყველი დავითი, რომელმაც მძიმედ სცოდა, რომელიც ყოველ ღამე სარეცელს ალტობდა ცრემლით, და მოციქული პეტრე, რომელიც მწარედ სტიროდა ქრისტეს უარყოფისათვის.

მგლოვარეთ ღმერთი ანიჭებს სულის მშვიდობას და ცოდვათა მიტევებას, მაგრამ სრულ ნუგეშს ცოდვათა მიტევების შესახებ მგლოვარენი მიიღებენ მომავალ ცხოვრებაში.

## მესამე მცნება ნეტარებისა

მესამე მცნება ნეტარებისა იკითხება ესე:

**ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დამკვიდრონ ქვეყანა.**

სიმშვიდე არის ისეთი მდგომარეობა სულისა, როცა ქრისტეანი კაცი არავის არ აბოროტებს, არ აწყენს და თვითონაც ერიდება განრისხება-გაბოროტებას. მშვიდი კაცი მზად არის მოითმინოს და აიტანოს სხვისაგან შეურაცხოვა უდრტვინველად. ცდილობს მოსპოს მტრობა და ბოროტება, თუნდაც რომ შეილახოს მისი უფლება და ზარალი მიეცეს მით. ეს არ ნიშნავს ხასიათის სისუსტეს. ამისთანა კაცს ყოველთვის შეუძლია ეძიოს თავისი, მხოლოდ განუბოროტებლად, სიყვარულით. უდიდესი მაგალითი სიმშვიდისა არის ქრისტე მაცხოვარი.

მშვიდთა ქრისტემ აღუთქვა დამკვიდრება ქვეყანისა, ანუ სრული დიდება მომავალს საუკუნეში, რომელშიც იქნება ახალი ცა და ახალი ქვეყანა.

## მეოთხე მცნება ნეტარებისა

მეოთხე მცნება ნეტარებისა იკითხება ესე:

**ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძლნენ.**

მშვიერი და მწყურვალი სიმართლისათვის არის იმისთანა კაცი, რომელიც არ ესავს თავის კეთილ საქმეებს, რაც უნდა ბევრი ექმნას, არამედ, როგორც მშვიერს უნდა პური და როგორც მწყურვალს - წყალი, ისე ეძიებს ღვთის სიმართლეს და განმართლებას მის წინაშე.

სიმართლისათვის მშვიერთ და მწყურვალთ ღმერთმა აღუთქვა განძღომა, ესე იგი სრული დაკმაყოფილება. სულიერნი განძღომა მისცემს მათ სულიერ სიმშვიდეს და ძალას ღვთის ნების და მცნებათა აღსასრულებლად. სრული განძღომა მშვიერთა და მწყურვალთა სიმართლისათვის მოხდება მომავალ ცხოვრებაში, როცა კაცი მიიღებს მონაწილეობას ღვთის დიდებაში.

## მეხუთე მცნება ნეტარებისა

მეხუთე მცნება ნეტარებისა იკითხება ესე:

**ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.**

მოწყალე არის იმისთანა კაცი, რომელიც ხედავს მოყვასის გაჭირვებას და ეხმარება ყველაფრით, რითაც კი შეუძლია - რჩევა-დარიგებით, ქონებით, ცოდნით; მოწყალეა არის მუდმივი თვისება ჭეშმარიტი ქრისტიანისა, რადგანაც სიყვარული არის უმთავრესი სჯული ქრისტესი. მოწყალეა არის სულიერი და ხორციელი: სულიერი მოწყალეა ეკუთვნის კაცის სულიერს მხარეს, ხორციელი - ხორციელს. მშვიდის გამოზრდა, შიშველის შემოსვა, ავადმყოფის მოვლა-ყურისგდება არის ხორციელი მოწყალეობა; მოქცევა ცთომილისა ჭეშმარიტს გზაზე, ნუგეშის-ცემა მწუხარისა, მიტევება შეურაცხყოფისა არის სულიერი მოწყალეობა.

მოწყალეთ ღმერთი შეიწყალებს საშინელი განკითხვის დროს იმისთვის, რომ მშვიდი გამოზარდეს, შიშველი შემოსეს. მაგალითი მოწყალეობისა მაცხოვარმა გვაჩვენა მოწყალე სამართელის შესახებ იგავით. (ლუკა. 10,25-37)

## მეექვსე მცნება ნეტარებისა

მეექვსე მცნება ნეტარების იკითხება ესე:

**ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.**

წმიდა გულით არის ის კაცი, რომელიც ცდილობს არაფერი ბოროტი და ცუდი განზრახვა არ იქონიოს გულში, რადგანაც გული არის ძირი და წყარო ყოველისავე კეთილისა და ბოროტისა. როგორც გული აქვს კაცს, მისი საქმეებიც ისეთი იქნება. წმიდანნი გულითა იხილავენ ღმერთს.

რადგანაც ღმერთი არის წმიდა არსება, ამიტომ მისი ხილვა შეუძლიათ მხოლოდ წმიდა გულის პატრონთ: ღმერთი არის ნათელი, ამიტომ ვერ მიეახლება მას ცოდვებით დაბნელებული კაცის გული.

## მეშვიდე მცნება ნეტარებისა

მეშვიდე მცნება ნეტარებისა იკითხება ესე:

**ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფენი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ.**

მშვიდობის მყოფელი ეწოდება იმისთანა კაცს, რომელსაც უყვარს მშვიდობით და მყუდროებით ცხოვრება; რომელიც, არამც თუ თვითონ არავის წაეჩხუბება და არ შეაწუხებს, არამედ ცდილობს შეარიგოს წაჩხუბებულნი და უკმაყოფილონი. მშვიდობის მყოფელი ცდილობს განამტკიცოს ქვეყანაზე სასუფეველი ღვთისა წინააღმდეგ ბოროტისა. მშვიდობის მყოფენი თავის მოღვაწეობით და მოქმედებით ემსგავსებიან იესო მაცხოვარს, რომელიც მოვიდა შეცოდებულ კაცთა შესარიგებლად ღმერთთან, და ამიტომაც იწოდებიან ღვთის ძედ.

## მერვე მცნება ნეტარებისა

მერვე მცნება ნეტარებისა იკითხება ესე:

**ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.**

ქრისტეს ჭეშმარიტ მონებს ამ სოფელში მოელით დევნულება, ტანჯვა, ცილის წამება, დაცინვა. ძნელია ქვეყანაზე სიმართლით ცხოვრება და მუდამ სიმართლის თქმა, მაგრამ ქრისტიანი უნდა მუდამ მხნე იყოს, მომთმენი და მტკიცე თავის აღსარებასა და სარწმუნოებაში.

დევნულთ სიმართლისათვის ქრისტე აღუთქვამს ზეცათა სასუფეველს ნაცვლად იმისა, რასაც მოაკლდებიან და დაჰკარგავენ აქ სიმართლისათვის დევნულების ჟამს.

## მეცხრე მცნება ნეტარებისა

მეცხრე მცნება ნეტარებისა იკითხება ესე:

**ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყვედრიდნენ და გდევნიდნენ, და სთქვან ყოველი სიტყვაი ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის: გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდ არს ცათა შინა.**

უდიდესი ნეტარება მოელით იმათ, ვინც ეწამებიან ქრისტეს სარწმუნოების სახელისათვის. ქრისტე ღმერთი ძვირფასია ყოველი ჭეშმარიტი ქრისტეანისათვის; მოციქულებმა, მოწამეებმა დასთხიეს ქრისტეს სიყვარულისათვის სისხლი და დაამტკიცეს ამითი სიყვარული მისი; ამიტომ ქრისტე აღუთქვამს მრავალ ჯილდოს ცათა შინა.

## ლოცვა

ლოცვა არის გულის და გონების აღვლენა ღვთისადმი, მოკრძალებით საუბარი კაცისა ღმერთთან.

ლოცვაში ჩვენ ვადიდებთ ღმერთს, მის დიდებას და სიბრძნეს, ვთხოვთ ჩვენთა საჭიროებათათვის და ვმადლობთ მოცემული წყალობისათვის. ამიტომაც არის სამი სახე ლოცვისა: ლოცვა თხოვნითი, სამადლობელი და დიდების–მეტყველებითი.

## ლოცვა უფლისა

უფალმა იესო ქრისტემ ასწავლა მოციქულებს ლოცვა, რომელიც არის მაგალითი ყველა საქრისტიანო ლოცვისათვის. ეს ლოცვა იკითხება ესე:

**მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,  
წმიდა იყავნ სახელი შენი,  
მოვედინ სუფევა შენი,  
იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა,  
ეგრეცა ქვეყანასა ზედა.  
პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს,  
და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი,  
ვითარცა ჩვენ მივუტევეთ თანამდებთა მათ ჩვენთა.  
და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა,  
არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.  
რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება,  
უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

**მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა.** მამად უწოდებთ ღმერთს. უფლება ღვთის წოდებისა მამად მოგვცა იესო ქრისტემ, ღვთის ძემ, რომელიც განკაცდა, ესე იგი მიიღო კაცური სული და ხორცი, როგორც კარგი ძე მუდამ ასრულებს მამის ბრძანებას და ნებას, ისე ჩვენ, თუ გვინდა, ღირსეული შვილები ვიყვნეთ ჩვენი ზეციური მამისა, უნდა ავასრულოთ მისი მცნება და ბრძანებანი. ერთი კაციც რომ ამბობდეს ამ ლოცვას, ღმერთს უნდა უწოდოს "მამაო ჩვენო" ქრისტიანულ ძმობისათვის. ვიწყებთ თუ არა ამ ლოცვას, უნდა დავუტევეთ ყოველივე სოფლიური ზრუნვა და გული და გონება აღვავლინოთ ცათამდე; ამას გვასწავლის სიტყვები: რომელი ხარ ცათა შინა.

**წმიდა იყავნ სახელი შენი.** ღვთის სახელი წმიდაა და ყოველთა სახელთა უწმიდესი; მაგრამ ამ სიტყვებით ვთხოვთ ღმერთს, რომ მისი სახელი იყოს წმიდა ჩვენს შორის ჩვენი კეთილი და წმიდა ცხოვრებით. როდესაც ჩვენი ცხოვრება არის წმიდა და ღვთის სათნო, მაშინ სახელი ღვთისა არის წმიდა და იდიდება ჩვენს შორის. თვით მაცხოვარი ბრძანებს: „ეგრეთ ბრწყინვდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენნი კეთილნი და აღიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა.“ (მათე: 5,16).

**მოვედინ სუფევა შენი.** სუფევა ღვთისა არის ორნაირი - ხილული და უხილავი. ხილული სუფევა არის ქვეყანა, ბუნება, რომელიც ღმერთმა გააჩინა; ხოლო უხილავი სუფევა ღვთისა არის კაცის გულსა და სულში და ისახება კაცის ყოფა-ქცევასა, გულის-თქმასა და აზრებში. ღვთის სუფევა მოვა მაშინ, როდესაც ჩვენ შორის დაიმკვიდრებს სიწმიდე, მყუდროება და სიყვარული. მაშასადამე, ამ სიტყვებით ვთხოვთ ღმერთს ისე განსწმიდოს ჩვენი ცხოვრება, რომ ვინც შემოგვხედოს, სთქვას, ამათ გულში სწორედ ღმერთი სუფევსო.

**იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.** ამ სიტყვებით ვთხოვთ ღმერთს, რომ ყოველივე ჩვენს ცხოვრებაში კეთდებოდეს თანახმად მისი ნებისა, რადგანაც მან, როგორც გულთა-მხილავმან და ყოვლის მცოდნემ, იცის ყოველი ჩვენი საჭიროება.

სიტყვებით "ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა" გვევალება, რომ ღვთის ნება ისევე აღვასრულოთ ქვეყანაზე, როგორც ცათა შინა ასრულებენ ანგელოზნი და წმიდანნი.

**პური ჩვენი არსობისა მომც ჩვენ დღეს.** ამ სიტყვებით ვთხოვთ ღმერთს მოგვცეს დღიური საზრდო, ესე იგი ყოველივე, რაც საჭიროა კაცის ხორციელი ცხოვრებისათვის - ტანისამოსი და სხვა; რადგანაც კაცს სულიცა აქვს და სულსაც საზრდო უნდა, ამიტომ ღმერთს უნდა ვთხოვდეთ სულიერ საზრდოსაც. სულიერი საზრდო არის სიტყვა ღვთისა და სისხლი და ხორცი იესოსი.

**და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა.** თანანადები არის ყოველი ცოდვა, რომელსაც კაცი იქმს ღვთის წინაშე. მაშ, ამ სიტყვებით ღმერთს ვევედრებით, მოგვიტეოს ჩვენი ცოდვები. მაგრამ ღმერთი გვაპატიებს ცოდვებს, თუ ჩვენც მიუტევებთ იმათ, ვინც ჩვენ შეგვცოდა. აქედან ცხადია, რომ ჯერ უნდა მიუტევეოთ ცოდვები ჩვენს მოყვასებს, და შემდეგ ვითხოვოთ ჩვენთა ცოდვათა მოტეება და მოგვეტეება კიდევ.

**და ნუ შემიყვენებ ჩვენ განსაცდელსა.** განსაცდელი არის იმისთანა შემთხვევა კაცის ცხოვრებაში, რომელიც შთააგდებს კაცს რაიმე ცოდვაში. ამ სიტყვებით ვთხოვთ ღმერთს, აგვაშოროს ყოველივე ცუდი შემთხვევა და დაგვიფაროს დაცემისაგან.

**არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.** ამითი ვთხოვთ ღმერთს აგვაცილოს ყოველი ბოროტი, რომელიც შეიძლება შეგვემთხვეს ამ ქვეყნად, გვიხსნას სულიერი მტრისაგან - ეშმაკისაგან და ყველა მისი მანქანებისაგან.

**რამეთუ შენი არს სუფევა, ძალა და დიდება უკუნისამდე, ამინ.** ეს დიდებისმეტყველება მიმატებულია ამ ლოცვაში იმიტომ, რომ, რაკი ვითხოვთ ზეციური მამისაგან მოწყალებას, ანდა უძღვნიდეთ კიდევ ღირსეულს პატივს; გარდა ამისა, დიდებისმეტყველება უფრო გაგვიმტკიცებს იმ იმედს, რომ ღმერთი უთუოდ აღგვისრულებს თხოვნას, რადგანაც მას შვენის დიდება, პატივი და თაყვანისცემა.

**ამინ** - ჭეშმარიტად - მიმატებულია დასამტკიცებლად იმისა, რომ ლოცვა შეიწირება სარწმუნოებით და უეჭველად.

